პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ლა მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—30.

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.
ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში—ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გაარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

— ბანკეტი საბჭოთა მეცნიერების საპატივსაცემოდ ბერლინში.
— კამპანია ინგლისის პროფკავშირების უფლებების დასაცავად.
— გერმანელ წითელფრონტელები [illegible]
— გერმანიის მოხელეები და პოლ[illegible] ჯამაგირების გადიდებას მოითხოვენ.
— საბჭოთა მოტოციკლისტები ვარშავაში.

ხუთშაბათი, 23 ივნისი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 141 (1886)

„კომუნისტი"
მიიღება ხელის მოწერა
ივლისისათვის
კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81

ოპოზიციის გზა

ყოველთვის, როდესაც პარტიის მიერ დაგმობილი სოციალ-დემოკრატიული გადახრის წარმომადგენლები ადგებოდენ ანტიპარტიულ გამოსვლების გზას, სცილდებოდენ ამხანაგური კრიტიკის ფარგლებს და პარტიული წესდების ჩარჩოს, ყოველთვის, როდესაც ისინი გადადიოდენ ანტიპარტიული „ფრონდის" რელსებზე და პარტიის ასობით ათას წევრის თვალწინ ათამაშებდენ განხეთქილების (უფრო სწორად ჩამოშორების, თუ მხედველობაში მივიღებთ პარტიის სოციალ-დემოკრატიულ უკლონისტების მიკროსკოპიულ პოლიტიკურ წონას) ჩირაღდანს, ყოველთვის მთელი ჩვენი პარტია და საკ. კომ. პარ. (ბ) ყველა ორგანიზაციები, დაწყებული ლენინის ხელმძღვანელ შტაბიდან და გათავებული საფაბრიკო-საქარხნო კოლექტივით ან და პროლეტარული უჯრედით, თავის დროულად და დაუყოვნებლივ უხვდებოდენ ამ გამოსვლებს და ღირსეულად აფასებდენ მას ლენინის თეორიისა და პარტიის ლენინისებური მთლიანობის დაცვის თვალსაზრისით. პარტიის ფხიზელი და გულ დასმითი დამოკიდებულება ისტორიის მიერ პოლიტიკურ ნამსხვრევებად ქცეული ოპოზიციური ბლოკის ყველა გამოსვლებისადმი. უნდა აიხსნას იმით, რომ იქ, სადაც ლაპარაკია ლენინიზმის საფუძვლებსა და ბოლშევიკური მთლიანობის პრინციპებზე, პარტიისათვის არ არსებობს რაიმე „უმნიშვნელო" და „უაზრო".

დაწყებული ცენტრალური კომიტეტის პლენუმიდან 1926 წლის ივლისში ტროცკი-ზინოვიევი-მედვედევის ბლოკის შექმნის მომენტამდე, ოპოზიციამ გაიარა მყვირალა სენსაციებისა და ბჟყვრიალა ეფექტების თითქმის ერთი წლის გზა, გზა, რომელიც მთლიანად უნდა იქნას აწონილი და შეფასებული.

თავის დროზე პარტიამ და პარტიულმა პრესამ სათითაოდ შეაფასა ოპოზიციის გამოსვლები. ეხლა დროა განვაზოგადოთ და ლენინის სასწორზე აწონოთ ოპოზიციის მთელი გზა, მოვაქციოთ ის დიდი ისტორიული პერსპექტივების ჩარჩოში და ჯამი გაუკეთოთ ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას. ოპოზიციის მოქმედების თითქმის წლიური შემოწმება არ შეიძლება არ გახდეს ჭკუის სასწავლებელი ჩვენი პარტიის წევრებისათვის.

პერიოდი 1926 წლის ივლისიდან ოქტომბრამდე იყო ოპოზიციური პარტიის თავისებური „ამავალი მრუდე". ოპოზიციური გამოსვლები „ავიოპრიბორსა" და „კრასნი პუტილოვეც"-ში წარმოადგენდენ ოპოზიციური გამთიშველობის კულმინაციურ წერტილს. მაგრამ იგივე გამოსვლები ნიშნავდენ ოპოზიციური ბლოკის პოლიტიკურ დაქვეითებას. ოპოზიციური ბელადების ისედაც შერყევი „ავტორიტეტი" წარსულში (ტროცკის ბრძოლა ლენინთან, ზინოვიევისა და კამენევის ოქტომბრის გმირობა) სამუდამოდ დაიბუგა ოპოზიციის მიერვე „ტყეში" და პროლეტარულ უჯრედებში გაჩაღებული ფრაქციული ბრძოლის ცეცხლში. უბრალო მუშა-ბოლშევიკები თავიდანვე მიხვდენ, რომ ზინოვიევისა და ტროცკის ზურგს უკან, რომლებიც ისროდენ გაიძვერულ მემარცხენე საპარლამენტო სიტყვებს, იმალებოდა ნეპმანური მაჩანჩალის ოსოვსკის რენეგატული ფიგურა. ბოლშევიკ—პროლეტარებმა სასტიკი დამარცხება აგემეს ოპოზიციას. ოპოზიცია იძულებული გახდა წამოჩოქებულიყო, დროებით დაემალა დროშა და დაედო საზეიმო ფიცი, რომ შესწყვეტდა ფრაქციულ ბრძოლას. მალე ამის შემდეგ მოწვეულმა პარტიის მე-XV კონფერენციამ დაგმო ოპოზიციის ხაზი, როგორც სოციალ-დემოკრატიული გადახრა.

ოქტომბრის დეკლარაცია და სრულიად საკავშირო მე-XV კონფერენცია იყო ოპოზიციის ერთი წლის ისტორიის მიჯნა. ოპოზიციას დარჩა ორი გზა: ან აღმოეფხვრა და დაეძლია სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის ტენდენცია, სამუდამოდ გამოსთხოვებოდა ბავეროვშჩინას და დაბრუნებულიყო ბოლშევიზმის იდეურ წიაღში, რასაც დაჟინებით მოითხოვდა მე-XV კონფერენცია, ან და განეგრძო ქანაობა ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შუა, ლენინსა და ოტო ბუერს შუა, მტკიცედ მიჰყოლოდა სოციალ-დემოკრატიულ მემარჯვენე გადახრას და სწრაფად ჩამოშორებოდა ლენინიზმს.

არა პარტიის, არამედ თვით ოპოზიციის ბრალია და უბედურობაა, რომ მან, ოპოზიციამ, აირჩია მეორე გზა და წავიდა მარჯვნივ, გატკეპნილი სოციალ-დემოკრატიული ბილიკით.

საკ. კომ. პარტ. (ბ) სრულიად საკავშირო მე-XV კონფერენციის შემდეგ აღნიშნული ჰქონდა ოპოზიციის შემდეგ გამოსვლებს:

კომინტერნის აღმასკომის მე-VII გაფართოვებულ პლენუმზე—ნაციონალ-რეფორმიზმის დაწამება საკ. კომ. პარტიისათვის (ბ); ცეკას თებერვლის პლენუმზე—ტროცკის გამოსვლა უმრავლესობის ცენტური გადაგვარების შესახებ; ცეკას აპრილის პლენუმზე—ბრძოლა ჩინეთის საკითხის გარშემო, ჩინეთის რევოლიუციის დამარცხების დაბრალება ჩვენზე, განსაკუთრებული ფარული დისკუსიის მოთხოვნა; საკ. კომ. პარტ. (ბ) ისტორიაში გაუგონარი, ზინოვიევის აპელიაცია უპარტიოთადმი ცეკას წინააღმდეგ „პრავდისტების" საიუბილეო კრებაზე; მაისსა და ივნისში—ოპოზიცია კვლავ კომინტერნის ტრიბუნაზე მოთხოვნა, რათა კომინტერნში დაგვებრუნებინა მასლოვ-რუტ ფიშერის კონტრ-რევოლიუციონური ჯგუფი, პარტიის „რეჟიმი" თურმე „ჩემბერლენზე საშიში" ყოფილა, გაისმის მყრალი სიტყვები ღალატის შესახებ; დაბოლოს ოპოზიციის მიერ ყოველგვარი ისეთი სახის „დოკუმენტების" დამზადება და გავრცელება, რომლებიც ძნელი გასარჩევიც კია მტრის დოკუმენტებისაგან.

ყველა ეს ფაქტები და ოპოზიციის გამოსვლები სრული სიცხადით გვიმტკიცებენ შემდეგს:

პირველი, ჯერ ერთი, ოპოზიციას აღებული ჰქონდა გეზი პარტიაში წინააღმდეგობათა გამწვავებაზე, ის სულ უფრო და უფრო შორდებოდა პარტიას, სულ უფრო ფრაქციულად ემიჯნებოდა მას.

მეორე. ოპოზიცია დაჟინებით იცავდა სოციალ-დემოკრატიულ გადახრას, აღრმავებდა თავის მენშევიკურ შეცდომებს და ოფიციალურად განაცხადა, რომ ის არ ეთანხმება თვით „ბოლშევიკური პარტიის საერთაშორისო და საშინაო პოლიტიკის საფუძვლებს", შემდეგ—ოპოზიციამ თავის ბრძოლის დროშად გაიხადა საკ. კომ. პარ. (ბ) გადაგვარების დალინ-მარტოვის თეორია.

მესამე. ოპოზიციამ დღეს მთლიანად და სავსებით პოლიტიკურად ფასი დაუკარგა და გააბათილა მის მიერ 1926 წლის 16 ოქტომბერს გაკეთებული „ისტორიული" განცხადება. ოპოზიციის დღევანდელი მოთხოვნები და, პირველ რიგში, აშკარა კავშირი კომუნიზმის რენეგატებთან, ჩემბერლენის დამქაშებთან —მასლოვ—რუტ ფიშერთან, შავით თეთრზე ამტკიცებენ, რომ განცხადება იყო პარტიის მოტყუება.

მეოთხე. ოპოზიციამ განსაკუთრებით გაიშიშვლა თავი სწორედ იმ მომენტში, როდესაც მოხდა პარტიისადმი მისი ლოიალური დამოკიდებულების სერიოზული გამოცდა. ოპოზიციამ სწორედ იმ მომენტში გაშალა პარტიის წინააღმდეგ მიმართული თავისი ფრაქციული მუშაობა, როდესაც გამწვავდა საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა. როდესაც ბრძოლასა და მშენებლობაში გაიზარდა სიძნელეები. ამ სიძნელეების პოლიტიკური გამოყენებით, ოპოზიციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა თავისი ერთგულება პროლეტარიატისა და ბოლშევიკური პარტიისადმი გაჭირვების ჟამს. ვინაიდან იმის მტკიცება, რომ „ყველა საშიშროებათაგან უფრო საშიშია" ბოლშევიკური პარტიის რეჟიმი—სინამდვილეში ნიშნავს ბანის მიცემას საბჭოთა კავშირის კლასიური მტრებისათვის.

მეხუთე. ოპოზიციის მოქმედება მთელ განხილულ პერიოდში გვიჩვენებს, რომ მას სისტემატიური გეზი აქვს აღებული ფრაქციის ლეგალიზაციაზე პარტიის შიგნით და რომ ამ ფრაქციის ხელმძღვანელობას კისრულობენ ცეკას ოპოზიციონური წევრები. ეს არის არა მარტო აშკარა დაცვა ლენინის მიერ დაგმობილი ლოზუნგისა ფრაქციების თავისუფლების შესახებ, არამედ ეს უკვე ნიშნავს დაახლოვებას ორი პარტიის თეორიისათან, რომელიც წამოყენებულია ოპოზიციის მიერ ჯერ-ჯერობით პარტიის ორი ფრთის თეორიის ნიღაბ ქვეშ.

ასეთია ოპოზიციის გზა, განვლილი პარტიის თვალწინ. ურიცხვ კრებებზე გამოტანილ ურიცხვ რეზოლიუციებში პარტიამ უკვე გასცა მკაფიო პასუხი ოპოზიციის გამოსვლებზე.

უკვე საკმაოდ მრისხანედ გაისმა პარტიულ ორგანიზაციების ხმა. მთელი პარტია რკინის სალტად ევლება ლენინის ცეკას. ის მთლიანად ოპოზიციის წინააღმდეგაა. ოპოზიციას არც ერთი უჯრედი არ უჭერს მხარს. პარტიამ გამოსთქვა თავისი ნება. მას არ უნდა ჰყავდეს პარტიაში „აზნაურები", რომლებიც არ ემორჩილებიან ბოლშევიკურ დისციპლინას; მით უმეტესი მას არ უნდა ჰყავდეს ასეთები ხელმძღვანელ ცეკას შტაბში. ყველა ორგანიზაციები მოითხოვენ გადამჭრელი ზომების მიღებას ოპოზიციონური ლიდერების მიმართ. მთელი რიგი მსხვილი მუშათა ცენტრები, საგუბერნო კომიტეტები და ასეთი ორგანიზაციების აქტივი, როგორიც არის ლენინგრადის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკის, ხარკოვის და სხ. ორგანიზაციების, მოითხოვენ ცენტრალური კომიტეტიდან ოპოზიციის ხელმძღვანელების გაძევებას.

უკეთებს რა ჯამს ოპოზიციის წლიურ მუშაობას, პარტია ნათლად ხედავს, თუ საით მიდიან, საით „იზრდებიან" ოპოზიციური დაჯგუფებების დღევანდელი ნაშთები. მაგრამ პარტია ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეურიგდება ასეთ [illegible], ოპოზიციის ასეთ პოლიტიკურ ხაზს. პარტიას, ყოველგვარი პათოსის გარეშე და რათაც არ უნდა დაჯდეს, ესაჭიროება ბოლშევიკური მთლიანობა და პროლეტარული დისციპლინა.

„პრავდა"
მოსკოვი, 22 ივნისი

ფინეთის მთავრობის ნოტის გამო

როგორც ვიცით 9 ამ თვეს საკავშირო გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს დადგენილებით დახვრეტილ იქნა ოცი გაუსწორებელი თეთრგვარდიელი ყოფ. თავადები, მემამულენი, ოფიცრები, რომელნიც თავისი ჯაშუშური და ბანდიტური მოქმედებით ძირს უთხრიდენ საბჭოთა წყობილებას და ლამობდენ მუშების და გლეხების კისერზე მონობის უღლის კვლავ დადგმას. საბჭოთა ხელისუფლების ამ აუცილებელ თავდაცვითი ღონისძიების გამო ბურჟუაზიულმა და სოციალ-დემოკრატიულმა პრესამ ერთი განგაში ასტეხა; მან თვალთმაქცური, კაცთმოყვარეობის ნიღაბი ჩამოიფარა პირის სახეზე და მორთო ყვირილი „ბოლშევიკური რეჟიმის საშინელებათა" შესახებ. ამით ბურჟუაზიის მოსყიდულმა კალმოსნებმა ერთხელ კიდევ გამოუცხადეს თავისი სოლიდარობა იმ ნაძირალებს და გარეწრებს, რომელნიც მშრომის სახელმწიფოს დასამხობად არავითარ საზიზღრობის წინაშე არ ჩერდებიან. ამავე დროს ეს ვაჟბატონები პირში წყალს იგუბებენ, როცა თეთრი ტერორი კაპიტალის სამეფოში პირდაპირ მუსრს ავლებს რევოლიუციონურ ელემენტებს, სდუმან მუშათა და გლეხთა იმ ჯოჯოხეთურ წამებაზე და მასიურ დახვრეტებზე, რასაც ადგილი აქვს იქ. ამაში აშკარად მოსჩანს ბურჟუაზიულ-სოციალ-დემოკრატიულ პრესის და მისი „მოღვაწეების" მთელი მოსყიდულობა და მათი „ჰუმანიურობის" სიყალბე.

მაგრამ მეტი რა მოეთხოვება იმ ხალხს, რომელიც კაპიტალის ნასუფრალით ცხოვრობს, ის თავისი „ხაზეინის" დავალებას ასრულებს, როგორც მისი ყურმოჭრილი მონა. უფრო მოულოდნელი და ახირებულია ის ოფიციალური გამოხმაურება, რომელიც ხსენებულ დახვრეტამ გამოიწვია. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ფინეთის მთავრობის ნოტა, რომელიც გუშინ გვქონდა გამოქვეყნებული. ფინეთის მთავრობას ეყო უტიფრობა და გამოექომაგა ერთ დახვრეტილთაგანს, სახელდობრ ელვენგრენს.

ვინ არის ელვენგრენი? მოისმინეთ ამის შესახებ გაერთ. სახ. პოლიტიკურ სამმართველოს ცნობა: „ელვენგრენი, გიორგ ევგენისძე, გვარდიის კირასის პოლკის ყოფ. შტაბ-როტმისტრი, ინგერმანლანდის და კარელიის აჯანყებათა ორგანიზატორი და ხელმძღვანელი 1918—19 წ.წ.; ტაგანცევის კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის მონაწილე ლენინგრადში, ორგანიზაციის, რომლის ლიკვიდაცია მოხდა 1921 წ.; კრონშტადტის ამბოხების მონაწილე; ბორის სავინკოვის ერთ-ერთი მახლობელი თანაშემწე თეთრგვარდიელთა „სამშობლოს და თავისუფლების დაცვის კავშირის" საქმეში; სავინკოვისვე ერთ-ერთი თანაშემწე იმ საქმეში, რომელიც ინგლისის მთავრობის ფულით და ინგლისის მზვერავთა ნაწილის და ავიაციის ოფიცრის გეორგ სიდნეი რეილის დახმარებით იყო მოწყობილი და რომელიც მიზნად ისახავდა თავს დასხმოდა გენუის კონფერენციაზე ამხ. ჩიჩერინის მეთაურობით მყოფ საბჭოთა დელეგაციას მისი ბერლინში გავლის დროს; საბჭოთა წარმომადგენლობაზე მთელ რიგ თავდასხმათა ორგანიზატორი გერმანიაში 1921—1923 წლამდე—ინგლისის მთავრობისა და პარიზის მონარქისტულ სავაჭრო-სამრეწველო და საფინანსო კავშირის ფულით; ამხ. ვოროვსკის მკვლელობის ხელმძღვანელ, საერთაშორისო ტერორისტ ობერთან და ე. წ. იმპერატორ კირილესთან ერთად ამხ. ჩიჩერინზე თავზე საფრანგეთში, 1926 წ. არალეგალურად გადმოვიდა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე იმ მიზნით, რომ ფართოდ მოეწყო კონტრ-რევოლიუციონური და ტერორისტული ჯგუფები". აი, ვინ ბრძანდებოდა ელვენგრენი; რომელსაც ფინეთის მთავრობა თავის მფარველობის კალთას აფარებს.

ფინეთის მთავრობა აცხადებს, რომ ელვენგრენი ფინეთის მოქალაქე იყო, [illegible] ელვენგრენი კი საბჭოთა კავშირში გადმოვიდა რუმინული პასპორტით და დაკითხვის დროს თავს უწოდებდა „რუს ემიგრანტს, რომელსაც არა აქვს გარკვეული მოქალაქეობა".

მაშასადამე, საბჭოთა მთავრობამ არ იცოდა, რომ ეს თავზე ხელაღებული ბანდიტი ფინეთის მოქალაქე იყო. თვით ფინეთის მთავრობა, იმის მაგივრად, რომ გაჩუმებულიყო თავის ქვეყნის ასეთი სამარცხვინო მოქალაქის შესახებ, —ელვენგრენის ჩვენება მას ამის საშუალებას აძლევდა,—მან საჭიროდ დაინახა ამ „სირცხვილის" გამხელა, კიდევ მეტი —ის პროტესტსაც აცხადებს ელვენგრენის საქმეზე გამოტანილ განაჩენის გამო, ამით არსებითად სოლიდარობას უცხადებს ამ ავანტიურიზმს და მის „საგმირო მოღვაწეობას" და ლახვარს სცემს თავის პრესტიჟს.

ფინეთის მთავრობა „ცივილიზაციის" სახელით გამოდის ამ შემთხვევაში; ის „ვალდებულად სთვლის თავს მიაქციოს საბჭოთა კავშირის მთავრობის ყურადღება იმაზე, რომ ელვენგრენის საქმეზე გამოტანილი განაჩენი ეწინააღმდეგება ყველა ცივილიზაციურ ქვეყნების მიერ აღიარებულ მართლმსაჯულების პრინციპებს"-ო. ფინეთის მთავრობას ერჩია აქ რაღაც „პრინციპების" შესახებ ხმა არ ამოეღო. ხომ ყველასათვის უდავოა, რომ ბურჟუაზიულ ქვეყნებში ფეხქვეშგათელილია მართლმსაჯულების ყოველგვარი პრინციპი, გარდა იმ „პრინციპისა", რომ რევოლიუციონერების დასასჯელად იქ „ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვაა" შემოღებული, რომ პოლიტიკურ პატიმართა სატანჯველად ბურჟუაზიის „ოხრანკა"-ში და ციხეებში საშინელი საშუალებებია ხმარებაში. ეს კარგად მოეხსენება ფინეთის მთავრობასაც, რომელიც ამ მხრივ დანარჩენ კაპიტალისტურ მთავრობებს არ ჩამორჩება. ან ეგებ ელვენგრენი უმართებულოდაა დასჯილი? აბა სცადოს ფინეთის მთავრობამ იმ ფაქტების უარყოფა, რომლებიც ელვენგრენის „საქმიანობას" ეხება. ამას ის ვერ გაბედავს, მიტომ, რომ ეს ფაქტები ურყევი ფაქტებია.

მაგრამ ყველაზე უფრო განსაცვიფრებელი შემდეგია: ელვენგრენი ხომ რუს მონარქისტების აგენტია, იმ მონარქისტების, რომელიც მეფის იმპერიის აღდგენაზე ოცნებობენ. ხოლო ჩვენ ვიცით, თუ რას ნიშნავს ეს. კერძოდ, ფინეთ ამ იმპერიაში შემავალ მცირე ერებისათვის, მათ რიცხვში ფინეთისათვის. ფინეთის ხალხმა თავის ზურგზე გამოსცადა თვითმპყრობელობის მონობის სიმძიმე, მეფის რეჟიმისაგან თავის უფლებების ფეხქვეშ გათელვა. დღეს კი ფინეთის მთავრობა გამოსულა იმ ელვენგრენის დასაცავად, რომელიც რუს მონარქისტებთან ერთად მეფის თვითმპყრობელობის აღდგენას ლამობდა, მაშასადამე, ფინეთის ხალხის კვლავ დამონებასაც. ცუდ სამსახურს უწევს ფინეთის მთავრობა თავის ქვეყანას!

ფინეთის ხალხს, ისე როგორც დანარჩენებს, მხოლოდ ოქტომბრის რევოლიუციამ მიანიჭა ნამდვილი თავისუფლება და დამოუკიდებლობა. და თუ ფინეთის მთავრობას მართლა სურს თავის ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მას მართებს კეთილმეზობლურ დამოკიდებულების დამყარება ამ რევოლიუციის მთავრობასთან. როგორც ეტყობა, ფინეთის მთავრობა სხვა „აზრისაა". ის, აშკარაა, უცხო ძალის, პირველ ყოვლისა ინგლისის იმპერიალისტების კარნახით მოქმედობს თავის ქვეყნის ინტერესების საზიანოდ. საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ მიუცია მისთვის წინადადება საგარანტიო ხელშეკრულების დადების შესახებ, ამ მიზნით მოლაპარაკებაც იყო გამართული. მაგრამ ის, „მაღალი პოლიტიკით" გატაცებული, ჩვენთან შეთანხმებას გაურბის. ეჭვი არ არის, რომ ეს „მაღალი" პოლიტიკა ფინეთის ხალხს დაღუპავს, თუ მისგან ფინეთის მესვეურებს ხელი არ აალებინეს. ფინეთის მშრომელი მასა, აგრეთვე ბურჟუაზიის გონიერი ნაწილი, სასიცოცხლოდ დაინტერესებული არიან საბჭოთა კავშირთან ნორმალურ ურთიერთობის დამყარებაში. ბოლო დროს ფინეთში სულ უფრო მედგრად გაისმის ხმა ჩვენთან შეთანხმების მისაღწევად. და ეჭვი არ არის, რომ ფინეთის მთავრობა ბოლოს და ბოლოს იძულებული გახდება ამ ხმას ანგარიში გაუწიოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯაშუშ და ტერორისტ ელვენგრენის დამცველ მთავრობას ფინეთის მასები თავის ალაგს მიუჩენენ.

გ. ქ—ლი.

საბჭოთა პრესა

რა აფერხებს სოფლის ტრაქტორიზაციას

არ დაგვჭირდება იმაზე სიტყვის გაგრძელება, რომ თანამედროვე სას.-სამ. იარაღების, კერძოდ კი ტრაქტორის შემოღება ერთი უმთავრესი პირობათაგანია სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის და კოლექტივიზაციისათვის. საბჭოთა მთავრობა კიდეც იღებს ყოველგვარ ზომას ტრაქტორების საზღვარგარეთიდან შემოსაზიდად და, რაც ხაზგასასმელია, საკუთარი სატრაქტორო მშენებლობის განსავითარებლად. გლეხობაც ეტანება მანქანა - იარაღებს და მათი შეძენა ხმარებისათვის ამხანაგობებს აწყობს. მაგრამ ერთი ნაკლი დასაწყისიდანვე თან დაყვა სოფლის ტრაქტორიზაციას, — ესაა ტეხნიკურ და საინსტრუქტორო დახმარების სისუსტე.

„პრავდა"-ში ამის გამო ამხ. ვ. კ. სწერს:

„სათადარიგო ნაწილების უქონლობა, მათი შოვნის შეუძლებლობა ტრაქტორის მოქმედების რაიონში, ხშირად კი მათი სრული უქონლობა, არა იშვიათად უბრალო რემონტის გაკეთების შეუძლებლობა, — აი ნამდვილი უბედურობა, რომელიც ტრაქტორიზაციის საქმეს ემუქრება, ხანგრძლივად შეაფერხებს, თუ არა დაღუპავს. მოვიყვანოთ მაგალითი: ყირიმში, სადაც მოიპოვება 780 ტრაქტორი, სატრაქტორო ბაზა მხოლოდ ერთია — ნოვოსიმბირსკში. მთელ ყირიმში მხოლოდ ერთი სარემონტო სახელოსნო არსებობს — სიმფეროპოლში. ტრაქტორების უფრო ფართოდ გავრცელების რაიონებში ყვებებით თითო ბაზას ოლქზე. არსებულ ბაზებში ხშირად ვერ იშოვით სათადარიგო ნაწილებს, არ არის აუცილებელი ინსტრუმენტები და ბაზები რემონტის საწარმოებლად, არ არიან გამოცდილი ხელოსნები და სხვა. ხდება ხოლმე, რომ მთელი „ტეხნიკური დახმარება" განისაზღვრება აქტის შედგენით რემონტის აუცილებლობის შესახებ. აგრონომიული პერსონალი ჩვეულებრივ სრულებით არ ეწევა ტეხნიკურ ინსტრუქტორობას ტრაქტორების ხმარების საქმეში. ერთი სიტყვით, უკეთეს შემთხვევებშიც კი ტეხნიკური და საორგანიზაციო საინსტრუქტორო დახმარება იმდენად სუსტი, არასრულყოფილი და ბიუროკრატიულია, რომ ისეთი რთული მანქანის სწორი და სარფიანი გამოყენება, როგორც ტრაქტორია, უკიდურესად ძნელდება, ზოგ შემთხვევაში პირდაპირ შეუძლებელიცაა. ამას კიდევ ემატება უცოდინარობა და დაუდევრობა ტრაქტორის გამოყენებაში, რაც მფლობელთათვის არასაკმაო ტეხნიკურ საინსტრუქტორო დახმარების გაწევის შედეგია".

ამ ნაკლულევანებათა აუცილებლად შეუძლებელია ლაპარაკი ტრაქტორების გავრცელებაზე და მათ მიერ სარგებლობის მოტანაზე. საჭიროა მთავარ პუნქტებში ტეხნიკურ ბაზების შექმნა, მოძრავ შემკეთებელ სახელოსნოების მოწყობა, სათადარიგო ნაწილების შეძენა, ტრაქტორისტების მომზადება და საერთოდ სათანადო დახმარების აღმოჩენა გლეხობისათვის, რომ მან ტრაქტორები რიგიანად გამოიყენოს.

ამხ. რაკოვსკის განცხადება ანტი-საბჭოთა ინტრიგების შესახებ

,,მოლაპარაკება რუს მონარქისტების გაძევების შესახებ პოლონეთიდან სწარმოებდა ჯერ კიდევ ვოიკოვის მოკვლამდე და ამ საკითხში უკვე მიღებული იყო შეთანხმება''

,,საბჭოთა მთავრობა მოელის ზალესკის დაბრუნებას ვარშავაში, რომ დაიწყოს მოლაპარაკება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ''

ზალესკის განცხადება პოლონეთ-საბჭ. კავშ. ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ

იაპონიის ვაჭარ-მრეწველთა წრეები აღელვებული არიან იაპონიის საქონლის ბოიკოტით სამხრეთ-ჩინეთში

გლეხთა აჯანყებები ჩჟილის პროვინციაში.—ჩან-ძო-ლინის ახალი მთავრობის შემადგენლობა

ამხ. რაკოვსკის განცხადება

პოლონეთ-ფინეთ-საბჭოთა ურთიერთობის შესახებ

პარიზი, 21 ივნისი. ყველა ფრანგული გაზეთები, მემარჯვენეთა გარდა, აქვეყნებენ ამხ. **რაკოვსკის** შემდეგ განცხადებას:

„ყალბ სენსაციურ ცნობების გამოქვეყნებას შეუძლია გამოიწვიოს მდგომარეობის გართულება. ჩვენ გვაწერდენ, თითქოს მოგვეთხოვოს კავერდას გაცემა. საბჭოთა მთავრობის მოთხოვნილება პოლონეთში არსებულ მონარქისტულ-ტერორისტული ორგანიზაციების დაშლის შესახებ ემყარება რიგის ხელშეკრულებას, შეადგენდა მსჯელობის საგანს ჯერ კიდევ ვოიკოვის მკვლელობამდე და კიდეც იქნა მიღწეული შეთანხმება ამ საკითხის შესახებ.

ცნობები საბჭოთა მესამე ნოტის გაგზავნის შესახებ პოლონეთის მთავრობისათვის ყალბია. მოსკოვი უცდის ზალესკის დაბრუნებას ვარშავაში, რათა განაგრძოს მოლაპარაკება პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ. **ამის დამამტკიცებელია ჩვენი წინადადება პოლონეთისადმი თავდაუსხმელობის ხელშეკრულების დადების შესახებ.**

რაც შეეხება ჩვენს ურთიერთობას ფინეთთან ჯაშუშ ელვენგრენის დახვრეტასთან დაკავშირებით იყო ცდა გაერთულებიათ ჩვენი დამოკიდებულება. ავრცელებდენ მრავალ ჭორებს, ნამდვილათ კი საქმის ვითარება ასეთია:

ფინეთის წარმომადგენლის სიტყვიერი შეკითხვის საპასუხოდ საბჭოთა მთავრობამ განმარტა, რომ ელვენგრენი ყოფილი მეფის ოფიცერი, რომელიც ჩამოვიდა ს.ს.რ. კავშირში რუმინეთის პასპორტით, ეკუთვნოდა მონარქისტულ ორგანიზაციას და აწყობდა ტერორისტულ აქტებს. არ შეიძლება მისი პიროვნება განხილულ იყოს, როგორც ფინეთის მოქალაქე. ფინეთის წერილობითი შეკითხვა კი მიღებულ იქნა მხოლოდ 19 ივნისს.

ფინეთ-საბჭოთა ურთიერთობის გამწვავების ცდა და აგრეთვე სხვა მრავალი გარემოებებიც ამტკიცებენ, რომ არსებობს წინასწარ განზრახული გეგმა, რომელსაც მიზნად აქვს ინციდენტების მშვიდობიანი მოგვარების ნაცვლად გამოიწვიონ კონფლიქტები; ამას კი შეუძლია საზოგადოებაში ისეთი ტენდენციების შექმნა, რომელთა წინააღმდეგობას მთავრობები ვეღარ შესძლებენ.

აცხადებს რა უარს მონახოს გაზეთებში დაწყებულ ანტი-საბჭოთა კამპანიის ხელმძღვანელნი, რაკოვსკი მიუთითებს, **რომ მონარქისტული ორგანიზაციები, რომელთაც არავითარი ნიადაგი არა აქვთ ს.ს.რ. კავშირში, მკვლელობებით და ყალბი საბუთებით ცდილობენ გამოიწვიონ უცხოეთის ჩარევა ს.ს.რ. კავშირის საქმეებში.**

„ამავე დროს ს.ს.რ. კავშირის ტერიტორიაზე მოწყობილმა მკვლელობის ცდებმა—განაგრძობს შემდეგ ამხ. რაკოვსკი—უნდა შექმნან უცხოეთის ინტერვენციის მომხრეთა შორის საბჭოთა ხელისუფლების სისუსტის და მისი ადვილად ჩამოგდების შთაბეჭდილება.

ასეთი ცდების ერთსა და იმავე დროს მოხდენა საზღვარგარეთ, საბჭოთა კავშირის სანაპირო რაიონებში და მოსკოვში, დაჭერილი საბუთების შინაარსი და დაპატიმრებულ პირთა ჩვენებები აშკარად ამტკიცებენ, რამდენად არასწორია ვერსიები მომხდარ ბოროტმოქმედებათა ინდივიდუალურ ხასიათის შესახებ და სავსებით ამართლებენ საბჭოთა მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს, რომელნიც მიმართული არიან ისეთი ცდების ალაკვეთად, რომელნიც ემუქრებიან საბჭოთა კავშირის და ევროპის მშვიდობიანობას". (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ცინდაოს ალყა

შანხაი, 21 ივნისი. ცინდაოში ამჟამად სდგას უცხოელების **16 სამხედრო გემი. 2.800 იაპონელი ჯარისკაცი** იცავს რკინისგზასთან მისავალ ხაზს. კიუ-ბიუში იმყოფება 1.300 იაპონელი ჯარისკაცი, რომელიც 48 საათის განმავლობაში შეიძლება გადასხმულ იქნეს ცინდაოში.

ტიანძინში, რეგულიარული გარნიზონის გარდა, რომლის შემადგენლობაში 1.900 ჯარისკაცია, იმყოფება კიდევ უცხოელების 4.000 ჯარისკაცი. (ადს).

ყველა საშუალებებით

შანხაი, 21 ივნისი. ტიანძინელმა გენერალმა **ბეტლერმა** პრესის წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა:

„ამჟამად ხელშეკრულებებს არაფერი საერთო არ აქვს იმ ზომებთან, რომლების მიღებაც შესაძლებელია საჭირო გახდეს ამერიკელ მოქალაქეთა სიცოცხლის დასაცავად. ჩვენ მივიღებთ ყოველგვარ ზომებს, რომლებსაც კი საჭიროდ დავინახავთ". (ადს).

იან-სენის განადგურების წინ

შანხაი, 21 ივნისი. იაპონიის სააგენტო ტოხო იუწყება, რომ უხანის ჯარების მოსვლასთან დაკავშირებით, იან სენის ჯარებმა დასტოვეს ქ. შასი ხუბეის პროვინციაში. შასის დატოვების წინ იან-სენის ჯარისკაცებმა დაარბიეს ქალაქი. მოსახლეობა აღტაცებით შეხვდა უხანის ჯარებს. მაღაზიები, რომლებიც იან-სენის დროს დაკეტილი იყო, იღება. იან-სენის ჯარების ნაწილმა დაიხია იჩანში, მაგრამ იქ ვერ დარჩებიან, ვინაიდან უხანის ჯარები მიიწევენ იჩანისაკენ. იჩანის მოსახლეობა მოელის იან-სენის განადგურებას მისი უკანდახევის დროს.

ჩან-ძო-ლინის განცხადება

პეკინი, 21 ივნისი. ჩრდილოეთ ჩინეთის დიქტატორად დანიშნულმა ჩან-ძოლინმა გამოაქვეყნა ბრძანება დროებითი სამხედრო მთავრობის ორგანიზაციის შესახებ. ბრძანებაში ნათქვამია, რომ ამიერიდან ჩან-ძო-ლინს ეძლევა რესპუბლიკის პრეზიდენტის უფლებები.

ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბარში ჩან-ძო-ლინმა განაცხადა, რომ მთავრობის მოწყობის შემდეგ იგი ფიქრობს ფინ-იუი-სიანის და ჩან-კაი-შის ჯარების წინააღმდეგ შეტევაზე გადასვლას. ჩან-ძო-ლინმა უკვე გასცა ბრძანება მისი ჯარების სამი კორპუსის გაგზავნის შესახებ ჩან-კაი-შის წინააღმდეგ. (ადს).

იაპონიის საქონლის ბოიკოტი

შანხაი, 21 ივნისი. აგიტაცია იაპონურ საქონლისთვის ბოიკოტის გამოცხადების შესახებ ძლიერ აწუხებს შანხაიში მცხოვრებ იაპონელებს. იაპონური გაზეთი „ნიცი-ნიცი", რომელიც შანხაიში გამოდის, სწერს:

„ბოიკოტი იღებს სერიოზულ ხასიათს, რასაც შეიძლება შედეგად მოჰყვეს სერიოზული დიპლომატიური გართულება—დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტამდე".

განსაკუთრებით ძლიერი აგიტაცია სწარმოებს ვაჭართა შორის. მედიკამენტებით მოვაჭრეთა კავშირმა გადასწყვიტა შესწყვიტოს მედიკამენტების დაკვეთა იაპონიაში და გადასცეს დაკვეთები გერმანულ ფირმებს. იაპონური საქონლით მოვაჭრეთა კავშირმა ტელეგრამით აცნობა თავის აგენტებს იაპონიაში—შესწყვიტონ შესყიდვები. ბევრი ვაჭრები აუქმებენ დადებულ დაკვეთებს, სხვები ინახავენ იაპონურ საქონელს ბოიკოტის მოხსნამდე (ადს).

ინგლისელები ვეი-ხაი-ვეიში

შანხაი, 21 ივნისი. ვეი-ხაი-ვეიში გაიგზავნა ინგლისელ ჯარისკაცების ერთი ბატალიონი. (ადს).

გლეხების აჯანყება

შანხაი, 21 ივნისი. ტამინფუს რაიონში, ჩჟილის პროვინციის სამხრეთით, ამას წინად მოხდა გლეხების (ე. წ. „წითელი შუბების) რაზმების) დიდი აჯანყება. ჩრდილოეთის ჯარებმა ტყვედ ჩაიგდეს და სიკვდილით დასაჯეს „წითელი შუბების" ბელადი ლიუ. ამის საპასუხოდ „წითელი შუბების" 20.000 კაცისაგან შემდგარმა რაზმმა ალყა შემოარტყა ტამინფუს. ბრძოლა „წითელ შუბებსა" და ჩრდილოეთის ჯარებს შორის რამოდენიმე დღეს გრძელდებოდა. ჯარებმა თავი შეაფარეს ქალაქს; მაგრამ მკაცრი ბრძოლების შემდეგ მათ შესძლეს წითელი რაზმების გაფანტვა. (ადს).

პან-ფუს კაბინეტი

პეკინი, 21 ივნისი. პეკინის ახალი კაბინეტის შემადგენლობაში შევიდნენ: პრემიერ მინისტრი და გზათა მიმოსვლის მინისტრი—**პან-ფუ**; საგარეო საქმეთა მინისტრი—**ვან-გუი-ტაი**, რომელიც წინანდელ კაბინეტში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგი იყო, სამხედრო მინისტრი—**ხო-ფი-პინი** (წინად შანხაის თავდაცვის რწმუნებული, თავმჯდომარე იმ სამხედრო სასამართლოსი, რომელმაც სიკვდილით დასაჯა ლი-ტაო-ჩაოს და სხვა კომუნისტები), შინაგან საქმეთა მინისტრი—**შენ-გუი-ლინი**.

იძულებითი გაწვევა

პეკინი, 21 ივნისი. „ნიპონ დემპოს" სააგენტოს ცნობების მიხედვით, ჩინეთის ხელისუფლებას მუკდენში იძულებით გაჰყავს ჯარში ის პირები; რომლებიც, ჰასაკის მიხედვით; უკვე თავისუფალი არიან სამხედრო ბეგარისაგან.

არეულობა ფუ-ჩოუში

შანხაი; 21 ივნისი. ფუ-ჩოუში ჯარსა და მშვიდობიან მცხოვრებლებს შორის მოხდა კონფლიქტი. ჯარისკაცმა, რომელიც მიაცილებდა სავაჭრო დაწესებულებიდან გადასახადების ამკრეფ მოხელეს, დასჭრა სავაჭროს პატრონი და მოჰკლა მისი შვილი. აღელვებულმა ხალხმა დაიჭირა ჯარისკაცი და ცოცხლად გაგლიჯა ის. გადასახადის ამკრეფის ბინა დარბეულია. სავაჭროები ქალაქში დაიკეტა.

პოლონეთის სეიმის კომფრაქციის წინადადება

ვარშავა, 22 ივნისი. სეიმის კომფრაქციამ შეიტანა წინადადება, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ დასდოს საგარანტიო ხელშეკრულება საბჭოთა კავშირთან და ერთი თვის განმავლობაში ეს ხელშეკრულება წარადგინოს დასამტკიცებლად სეიმში. გარდა ამისა კომფრაქცია მოითხოვს მთავრობისაგან პოლონეთის ტერიტორიაზე მყოფ ყველა რუს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების ლიკვიდაციას. წინადადებაში ნათქვამია:

„პოლონეთის ტერიტორიაზე რუს თეთრგვარდიელთა ორგანიზაციების არსებობის უარყოფა წარმოადგენს მხოლოდ დიპლომატიურ ფანდს, განსაკუთრებით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ მინისტრთა საბჭომ დაადგინა რუსეთის თეთრი არმიების ინვალიდები გაუთანასწოროს უფლებებში პოლონეთის არმიის ინვალიდებს და რომ პოლონეთი, როგორც განაცხადა მისმა წარმომადგენელმა ერთა ლიგაში, რუსული ემიგრაციის სუბსიდიაზე ყოველწლიურად ხარჯავს ნახევარ მილიონ ზლოტს. დაბოლოს, ყველასათვის ცნობილია, რომ პოლონეთის მთავრობის ხარჯზე იმყოფება ბალახოვიჩისა და პეტლიუროველების ბანდა, რომელსაც უკანასკნელ ხანში მიეცა ბრძანება თავი მოიყაროს დასავლეთ უკრაინაში". სეიმში სიტყვით გამოსულმა კომუნისტ-დეპუტატმა ვოიტიუკმა აღნიშნა, რომ ვოიკოვის მოკვლა არ არის ინდივიდუალური აქტი, აგრეთვე ყოველმა პოლიტიკურმა მოღვაწემ იცის, რომ პოლონეთის მთავრობა დახმარებას უწევს თეთრგვარდიელთა ემიგრანტულ ორგანიზაციებს ვილნოში (ადს).

ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტი

ანგორა, 21 ივნისი. ქაირიდან მიღებულია ცნობა, რომელიც იძლევა უცხო სახელმწიფოთა დამოკიდებულების სურათს ინგლის-ეგვიპტის კონფლიქტისადმი.

საფრანგეთმა მოიწონა ინგლისის მიერ მიღებული ღონისძიებები. იტალიამ ოფიციალურათ მხარი დაუჭირა ინგლისს. სამაგიეროთ ინგლისელების ღონისძიებათა წინააღმდეგ მკაცრად გაილაშქრა ჩრდ. ამერ. შ.-შ. ელჩმა ხოუელმა, რომელმაც განაცხადა, რომ უცხოელების სიცოცხლეს და ქონებას ეგვიპტეში არავითარი საფრთხე არ მოელის და იგი ზაღლულ-ფაშას და მის მომხრეებს—ეგვიპტის საუკეთესო ადამიანებათ სთვლის.

ჩრდ. ამ. შ.-შტატების ელჩის პოზიციამ განხეთქილება გამოიწვია უცხოელთა მთლიან ფრონტში. (ადს).

ინგლისის პროფკავშირების დასაცავად

კამპანია რეაქციონური კანონპროექტის წინააღმდეგ

ლონდონი, 21 ივნისი. „დეილი ჰერალდის" კორესპონდენტის ცნობის მიხედვით, ლანკაშირში დიდი წარმატებით ვითარდება პროფკავშირების შესახებ გამოცემულ ახალ კანონ-პროექტის საწინააღმდეგო კამპანია. ტრედიუნიონების დაცვის კომიტეტმა გაავრცელა 2 მილიონი ფურცელი, რომელშიაც არკვევს კანონ-პროექტის რეაქციონურ შინაარსს. დაცვის კომიტეტმა ჩაატარა 350-ზე მეტი მიტინგი კანონ-პროექტთან ბრძოლის ლოზუნგით.

კამპანიის შედეგები თვალსაჩინოა. პროფკავშირების წევრები, კონსერვატიულ და ლიბერალურ პარტიების წევრებიც კი, ერთსულოვნად განწყობილი არიან კანონპროექტის წინააღმდეგ.

საერთო აზრი ისეთია, რომ კანონპროექტმა მოსპო მუშათა კლასში კონსერვატიული იდეების გავრცელების ყოველგვარი საშიშროება. მუშათა პარტიამ ათასობით ახალი მოკავშირეები შეიძინა. (ადს).

ქალთა კოოპერატიული ორგანიზაციების ყრილობა

ლონდონი, 21 ივნისი. ლესტერში გაიხსნა ქალთა კოოპერატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა წლიური ყრილობა. ყრილობაზე გამოცხადდა 1.000 დელეგატ ქალზე მეტი.

ყრილობამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც გაკიცხულია მთავრობის კანონ-პროექტი პროფკავშირების შესახებ. რეზოლიუციაში გამოთქმულია აგრეთვე მწუხარება საბჭოთა კავშირთან განხეთქილების გამო და წამოყენებულია მოთხოვნილება მაღაროთა ნაციონალიზაციისა და სამთამადნო მუშებისათვის ექვსი საათის სამუშაო დღის შემოღების შესახებ. (ადს).

ცუდი განწყობილების აქტი

ანგორა, 21 ივნისი. საფრანგეთის ხელისუფლებამ ალეპოდან (სირია) გადაასახლეს რამდენიმე ასი მცხოვრებნი, რომლებმაც განაცხადეს ოსმალეთის ქვეშევრდომობაზე გადასვლის სურვილი. თუმცა ეს ზომა ფორმალურად ემყარება ლოზანის ხელშეკრულებას, მაგრამ ოსმალეთის წრეები საფრანგეთის მთავრობის ამ ნაბიჯში ხედავენ ცუდი განწყობილების აქტს. ოსმალეთის წრების შეხედულებას აძლიერებს კიდევ ის გარემოება, რომ ყველა გადასახლებულნი მოკლებული არიან არსებობის ყოველგვარ საშუალებას. (ადს).

პოლიტიკური ჯიბგირები

ბერლინი, 21 ივნისი. ამას წინად დანციგში გერმანიის გენერალურ საკონსულოში შეიპარა ორი ბოროტმოქმედი, რომლებიც დააპატიმრეს.

დაკითხვის დროს მათ განაცხადეს, რომ განზრახვა ჰქონდათ საკონსულოდან მოეპარათ ზოგიერთი დოკუმენტები და შენობაში კი შევიდნენ იმიტომ, რომ გადაეღოთ ზოგიერთი საინტერესო დოკუმენტების ფოტოგრაფიული სურათები.

ერთი დაპატიმრებულთაგანი აღმოჩნდა პოლონეთის ქვეშევრდომი — პოლონეთის არმიის ყოფილი ოფიცერი პოლიშევიჩი და მეორე კი დანციგის ქვეშევრდომი — ხოლი. მათ განაცხადეს, რომ მიიღეს დავალება დანციგში, პოლონეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობაში მოსამსახურე კაპიტან ბირკენმეიერიდან და პოლონელი ოფიცრის პოდოლსკიდან — აღნიშნული დოკუმენტების შოვნის შესახებ. (ადს)

იაპონიის გაზეთი ჩან-ძო-ლინის შესახებ

პეკინი, 21 ივნისი. იაპონიის ოფიციოზი, რომელიც პეკინში გამოდის „ნორდ ჩაინა სტანდარტი", ჩან-ძო-ლინის დანიშვნის გამო ჩრდილოეთ-ჩინეთის დიქტატორად, მოწინავეში სწერს:

„უცხო სახელმწიფოებმა ჩან-ძო-ლინის დანიშვნა უზენაეს მმართველად უნდა შეაფასონ, როგორც მდგომარეობის გაუმჯობესება ჩრდილოეთ ჩინეთში, რამდენადაც დღეიდან არის კაცი, რომელიც ატარებს სრულ პასუხისმგებლობას. ჩან-ძო-ლინი ირჩევს თავის საკუთარ მთავრობას და პასუხს აგებს არა მარტო სამოქალაქო არამედ სამხედრო მმართველობის საქმეებშიაც, ამნაირად არსებობს ძალა, რომელთანაც შეიძლება საქმის დაჭერა".

შემდეგ გაზეთი ამბობს რომ რუსეთ-იაპონიის ომის დროს ჩან-ძო-ლინი, ხუნხუზების წინამძღოლის სახით იბრძოდა იაპონიის მხარეზე. (ადს)

ჩინეთის პროფკავშირთა ყრილობა

ხანკოუ, 21 ივნისი. **ხანკოუში ზეიმით გაიხსნა სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა მეოთხე ყრილობა.**

პროფკავშირთა ფედერაციის სახელით ყრილობა გახსნა შრომის მინისტრმა **სოუ-ჩაო-ჟენმა**, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა პროლეტარიატის როლი ეროვნულ-რევოლიუციონური ბრძოლის უკანასკნელ პერიოდში.

პროფინტერნის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. **ლოზოვსკი**, კომინტერნის სახელით—**როი**, ყრილობას მიესალმენ აგრეთვე გომინდანის, ნაციონალური მთავრობის და ჩინეთის კომპარტიის ცეკას წარმომადგენლები.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: ნაციონალური მთავრობის ანგარიში, გომინდანის ცენტრალურ კომიტეტის მოხსენება მუშათა მსოფლიო მოძრაობის შესახებ და სრულიად ჩინეთის პროფკავშირთა ფედერაციის პოლიტიკური მოხსენება. (ადს).

ავსტრიის კომპარტიის ყრილობა

ვენა, 21 ივნისი. ავსტრიის კომპარტიის მეცხრე ყრილობამ ამოირჩია პარტიის ახალი ცენტრალური კომიტეტი.

ცეკას თავმჯდომარეთ არჩეულია ამხ. **ცინგირი**. ყრილობაზე მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც მოწონებულია ძველი ცეკას მუშაობა.

შემდეგ ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა პარტიიდან ფრეიას გაძევება და ის ღონისძიებანი, რომელიც ცეკამ მიიღო ფრაქციულობის მოსასპობათ.

ამასთანავე ახალ ცეკას მიენდო დაუზოგავი ბრძოლა აწარმოოს ყოველგვარ ფრაქციულ გადახრებთან. (ადს).

ლონდონის პრესა ჟენევის მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 21 ივნისი. ლიბერალური „ვესტმინსტერ გაზეტ"-ი, უკეთებს რა კომენტარიებს ჟენევის მოლაპარაკებას მოწინავე წერილში აცხადებს, რომ თუმცა საკითხი სახელმწიფოთა საერთო პოლიტიკის შესახებ საბჭოთა კავშირის მიმართ წარმოადგენს ჟენევაში სერიოზული განხილვის საგანს, მაინც, მიუხედავათ ამისა, ამ განხილვამ ვერავითარი ნაყოფი ვერ გამოიღო.

გაზეთის სიტყვით, „როგორც სჩანს, შეიძლება დარწმუნებული ვიყოთ, რომ საფრანგეთმა და გერმანიამ ურჩიეს პოლონეთს ზომიერი პოზიციის დაჭერა საბჭოთა კავშირის მოთხოვნების მიმართ".

გაზეთი აღნიშნავს, რომ წინასწარმეტყველება „რუსეთის დამხობის შესახებ ხშირად ყალბი იყო, და ამიტომ უკეთესია დაცდა და თვალყურის დევნება, ვიდრე იმ საბოლოო კრიზისის დაჯერება, რომელიც ბოლშევიზმს მოელის".

მომავალში, — სწერს გაზეთი,—ინგლისი კარგად მოიქცევა, თუ სხვა სახელმწიფოებს სთხოვს რჩევას რაიმე ნაბიჯის გადადგმამდე და არა მის შემდეგ". (ადს).

ლორდთა პალატის რეორგანიზაცია

ლონდონი, 21 ივნისი. ლორდთა პალატის სხდომაზე ლორდ-კანცლერმა განმარტა მთავრობის პროექტი ლორდთა პალატის რეორგანიზაციის შესახებ.

პროექტის მიღებით მოისპობა ლორდთა პალატის გაუქმების შესაძლებლობა საკანონმდებლო აქტის გზით. პროექტის მიხედვით, არც ერთი საპარლამენტო აქტი არ არის საკმარისი იმისთვის, რომ რაიმე ძალა მისცეს კანონპროექტს, რომელიც ითვალისწინებს ლორდთა პალატის უფლებების გადათვალიერებას. გარდა ამისა ლორდთა პალატას პროექტი აძლევს მთავრობის კონტროლის უფლებას ფინანსებზე კონტროლის გაწევის გზით. ლორდთა პალატის მონაწილეობა საფინანსო კანონპროექტების დამტკიცებაში უდრის ლორდთა პალატისათვის იმ მთავრობის დამხობის უფლების მინიჭებას, რომელიც მიიღებს ლორდთა პალატის მიერ დაუდასტურებელ საფინანსო კანონპროექტს. ამნაირად პროექტით ლორდებს გაცილებით მეტი უფლებები ენიჭებათ, ვიდრე ოდესმე სარგებლობდნენ.

ლიბერალური „დეილი ნიუზი" სწერს: „ლორდთა პალატის რეფორმის აზრი არის მთავრობის ცდა თავის სასიკვდილო სარეცელიდან შეზღუდოს მისი მემკვიდრეების მოქმედება. კონსერვატიზმი აშკარად ჰკარგავს ნიადაგს თემთა პალატაში და ამიტომ უნდა, რომ თავის უფლებები გადასცეს განახლებულ ლორდთა პალატას". (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

ძვირფასო ამხანაგებო!

მუშებო, გლეხებო, წითელარმიელნო და საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის ყველა პატიოსანო მოქალაქენო!

ყველა თქვენთაგანმა უწყის საერთაშორისო პოლიტიკური ხასიათის უკანასკნელი მოვლენები: ინგლისის მთავრობის მიერ საბჭოთა კავშირთან სავაჭრო და დიპლომატიურ ურთიერთობის გაწყვეტა, პოლონეთში ჩვენი ელჩის ამხ. ვოიკოვის საზიზღარი მკვლელობა, ინგლისელ ჯაშუშების და თეთრგვარდიელთა დამქაშების ვერაგული თავდასხმა ჩვენს ბელადებზე და ფაბრიკა-ქარხნებზე.

ყველაფერი ეს მოწმობს საერთაშორისო იმპერიალისტურ ბურჟუაზიის საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის უკიდურეს გამწვავებას.

ყველაფერი ეს ჩვენი კავშირის მუშებს და გლეხებს აყენებს ახალი ომის საშიშროების წინაშე. **იმპერიალისტები ამზადებენ ომს ჩვენს წინააღმდეგ, ჩვენი მოსპობის მიზნით.**

ჩვენი მოვალეობაა შევიგნოთ ეს და მოვამზადოთ ქვეყანა თავდაცვისა და გამარჯვებისათვის.

ამხანაგო მუშებო, გლეხებო და ყველა მშრომელნო! მშრომელთა დიადმა კავშირმა, ჩვენმა მუშურ-გლეხურმა მთავრობამ, ჩვენმა რკინისებურმა ბელადმა—კომუნისტურმა პარტიამ დაგაკისრეს თქვენ საპატიო და საპასუხისმგებლო მოვალეობა—მოამზადოთ ქვეყანა თავდაცვისათვის.

ხართ თუ არა თქვენ მზად ფხიზლად და ყურადღებით დაიცვათ და დაიფაროთ იმპერიალისტურ მტაცებელთა და მათ დამქაშთა და ლაქიათა—მენშევიკების—თავდასხმისაგან ჩვენი საბჭოთა ქვეყანა, მშრომელთა ხელით აგებული ფაბრიკები და ქარხნები?

მშრომელო გლეხებო!

ხართ თუ არა თქვენ მზად დაიცვათ თქვენი მეურნეობა და თქვენი მშვიდობიანი შრომა დასავლეთ-ევროპის მტაცებელ-კაპიტალისტების ხროვის თავდასხმისაგან?

სცოცხლობენ თუ არა თქვენს მეხსიერებაში 1914—18 წ. ომის საშინელებანი, როდესაც გლეხთა და მუშათა ათეული მილიონები დაეცენ ბრძოლის ველზე და სამუდამოდ დავრდომილ-დასახიჩრებულთა ათეული მილიონები განწირული დარჩენ ნახევრად მშიერი არსებობისათვის?

დღეს კიდევ არაა გვიან!

მაგრამ გახსოვდეთ, რომ ძვირფასია ყოველი დღე, ყოველი საათი. არ დაკარგოთ ძვირფასი დრო.

საქართველოს საბჭ. სოც. რესპუბლიკის „თავდაცვის და ავიაქიმის ხელისშემწყობი საზოგადოება“ 10-17 ივლისს გაატარებს „თავდაცვის კვირას“.

ეს კვირა იქნება ჩვენი შეგნების, მიმდინარე მომენტის ჩვენ მიერ გაგების, გამოცდა.—ეს იქნება კვირა დიადი ბრძოლის, ჩვენი მტკიცე შეკავშირების და ჩვენი მზადყოფნის—მკერდით დავუხვდეთ ყველა მტერს—შინაგანს თუ გარეშეს, მშრომელთა ხელისუფლების დასაცავად.

ამ კვირაში ჩვენ უნდა მოვახდინოთ ჩვენი საზოგადოების წლიური მუშაობის შედეგების დემონსტრაცია.

უნდა მოვახდინოთ ჩვენი მიღწევების დემონსტრაცია საფრონტო თავდაცვის და საავიაციო-ქიმიურ მშენებლობის საქმეში.

ამ დღეებში ჩვენ უნდა ავამოძრაოთ და დავიპყროთ მუშურ და გლეხურ მასების ფართო წრეები და მონაწილეობა მივაღებინოთ მათ ჩვენს საზოგადოებაში და მის მუშაობაში.

ამ დღეებში ჩვენ უნდა დავადასტუროთ ჩვენი ნებისყოფა მშვიდობიანობისათვის გრანდიოზულ სოციალისტურ მშენებლობის გასაგრძელებლად და ჩვენი მზადყოფნა—დავიცვათ იგი მთელი ჩვენი ძალღონით.

ჩვენმა ავიაქიმიურმა რაზმებმა, საავიაციო და ქიმიურმა წრეებმა, დაჭრილთათვის და გაზებით მოწამლულთათვის პირველი დახმარების აღმომჩენმა ქალთა რაზმებმა, მსროლელთა, სამეცნიერო, სასოფლო-სამეურნეო და სხვა პრაქტიკულმა ორგანიზაციებმა უნდა მოახდინონ მათი მიღწევების დემონსტრაცია როგორც თავდაცვის, ისე მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში.

მშრომელნო, ემზადეთ თავდაცვისათვის! თავდაცვის მზადებასთან ერთად განამტკიცეთ მშვიდობიანი მშენებლობა და უზრუნველჰყავით იგი მტრების თავდასხმისაგან.

თავდაცვის და ავიაქიმის ყველა წევრნი აქტიურ მუშაობისაკენ საბჭოთა კავშირის თავდაცვის უნარის გასაძლიერებლად!

საქართველოს ყველა მშრომელნო,—გაერთიანდით თავდაცვის და ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების რიგებში!

საქ. ს. ს. რესპ. თავდაცვის და ავიაქიმის ხელისშემწყობ საზოგადოების პრეზიდიუმის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

პასუხისმგებელი მდივანი

გზექელავა.

კონსერვატორები ბავშვების წინააღმდეგ

ლონდონი, 21 ივნისი. საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერების მიერ მოწვეული 6 ინგლისელი ბავში, გამოემგზავრა ლონდონიდან გემ „იუშარით“—უპასპორტებოთ:

კონსერვატიული „დეილი ექსპრესი“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისიდან გასამგზავრებლად არ არის საჭირო რაიმე პასპორტი, მაგრამ იგი აუცილებელია უკან დასაბრუნებლად.

ზოგიერთ კონსერვატიულ წრეებში შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ განათლების მინისტრმა აღძრას საჩივარი მათი მშობლების წინაშე, ვინაიდან მათ თავის ბავშებს უფლება მისცეს დაეტოვებიათ სკოლები სათანადო ნებართვის მიღების გარეშე. (ადს)

ღამის ცნობები

ზალესკის განცხადება

ბერლინი, 22 ივნისი. ვარშავაში მიმავალი, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ზალესკი დროებით შეჩერდა ბერლინში. პრესის წარმომადგენლებთან საუბარში, მან განაცხადა, რომ იგი ვერ ხედავს გადაულახავ წინააღმდეგობებს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ინტერესებთა შორის, მით უმეტეს, რომ უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა საგრძნობლათ გაუმჯობესდა.

პოლონეთი სცდილობს დასდოს საბჭოთა კავშირთან ურთიერთ თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. ზალესკი იმედს გამოსთქვამს, რომ „ეს ხელშეკრულება იქნება მშვიდობიანობისათვის გადადგმული პირველი ნაბიჯი, აღმოსავლეთ ევროპაში“ (ადს).

თათბირი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხებზე

ვარშავა, 22 ივნისი. ოფიციოზი „ეპოქა“ იტყობინება, რომ პატეკის ვარშავაში ჩამოსვლისთანავე გაიმართება თათბირი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საკითხების შესახებ. პირველ რიგში განიხილავენ საკითხს საგარანტიო და სავაჭრო ხელშეკრულებათა დადების შესახებ და შემდეგ იმ პრობლემებს, რომლებმაც თავი იჩინეს ვოიკოვის მკვლელობასთან დაკავშირებით. (ადს).

მიპატიჟება საფრანგეთში

მოსკოვი, 22 ივნისი. გემო-კეების კავშირის ცეკამ საფრანგეთის გემო-კეების უნიტარული კავშირისაგან მიიღო მიპატიჟება კავშირის ნაციონალურ ყრილობაზე, რომელიც გაიმართება სექტემბერში ბორდოში. (ადს).

სპარსეთის ყოფ. პრემიერი მოსკოვში

მოსკოვი, 22 ივნისი. საბჭოთა კავშირის აეროპლანით მოსკოვში ჩამოფრინდა სპარსეთის მთავრობის ყოფილი პრემიერ მინისტრი ზოკა-ოლ-მოლკ-ფოროუგი (ადს).

„ღვიძლი ძმა კანონპროექტისა პროფკავშირების შესახებ“

ლონდონი, 22 ივნისი. ეხება რა ლორდთა პალატის რეორგანიზაციის პროექტს, „დეილი ჰერალდი“ სწერს: „კონსერვატორების პროექტის მიხედვით, მომავალი მუშათა მთავრობა ხელ-ფეხ შეკრული იქნება მეორე პალატის მიერ, რომელიც შემდგარი იქნება უფლებების შემკვიდრეობით მიმღებ კანონმდებლობისაგან. კონსერვატორების ახალი პროექტი—არის ღვიძლი ძმა შტრეიკბრეხერული კანონპროექტისა პროფკავშირების შესახებ. პროექტის მიზანია მუშების დასუსტება პოლიტიკურად ზწორედ ისევე, როგორც კანონპროექტმა პროფკავშირების შესახებ დაასუსტა მუშები ეკონომიურად“ (ადს).

„წესრიგის დასაცავად“

პარიზი, 22 ივნისი. პენლევეს სამხედრო კანონპროექტის განხილვის შემდეგ, პალატამ 330 ხმის უმრავლესობით კომუნისტებისა, სოციალისტებისა და მემარცხენე რადიკალების 200 ხმის წინააღმდეგ მიიღო კანონპროექტის ის მუხლი, რომელიც ნებას აძლევს შინაგან საქმეთა მინისტრს გამოიყენოს ჯარები წესრიგის დასაცავად, კერძოთ შრომასა და კაპიტალს შორის მოსალოდნელ შეტაკების დროს (ადს).

მუშათა მიტინგის გარეკვა

ვარშავა, 22 ივნისი. პოლიციამ გარეკა გაფიცულ მშენებელ მუშათა მიტინგი (ადს).

გერმანიის პოლიტიკური წრეები კავერდას პროცესის შესახებ

ბერლინი, 22 ივნისი. გერმანიის პოლიტიკურ წრეებში დიდი ყურადღება ექცევა იმ წინააღმდეგობებს, რომელნიც არსებობენ ზალესკის ხელმეორე დათმობითი ხასიათის განცხადებებსა და პოლონეთის მთავრობისა და პრესის საქციელს შორის კავერდას პროცესის გარშემო. ზალესკის საქციელს ხსნიან, როგორც საშუალებას, რომ პოლონეთმა მიიღოს უცხოეთში სესხი.

„ბერლინერ ტაგებლატის“ ვარშაველი კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სასამართლომ არ მოისურვა კავერდას წამქეზებელთა პიროვნების გამორკვევა და მათი სამართალში მიცემა, მიუხედავათ გარკვეული ეჭვებისა. კორესპონდენტი აღნიშნავს განაჩენის ლმობიერებას იმასთან შედარებით, როგორც ეს ჩვეულებრივ გამოაქვთ პოლონეთის სასამართლოებს კომუნისტებისა და მათ შორის მცირეწლოვანთა მიმართაც (ადს).

ნარიონალის დაშრობა

ქუთაისი, 22 ივნისი. წყალთა მეურნეობის სამმართველო შეუდგა ქუთაისის მაზრაში მდებარე ე. წ. ნარიონალის დასაშრობ სამუშაოებს. აღნიშნულ ადგილას დამდგარია რიონის წყალი და ამის გამო მთელი ეს მიდამო გადაქცეულია მალარიის ბუდეთ.

ნარიონალის დაშრობით მივიღებთ ათას დესეტინა სათეს სივრცეს და მოისპობა მალარიის გავრცელების მიზეზები. (ადს)

ვის ესარჩლება ფინეთის მთავრობა

ჯაშუში გრიგოლ ელვენგრენი

მოსკოვის გაზეთებში გამოქვეყნებულია გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს დადგენილებით დახვრეტილ ერთ-ერთ კონტრ-რევოლიუციონერ ტერორისტის — რუს მონარქისტის, — შავრაზმელ **გრიგოლ ევგენისძე ელვენგრენის** ჩვენება. სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსათვის მიცემულ ჩვენებაში ელვენგრენი ფარდას ხდის ყველა თავის თანამოაზრეების და იმ პირების მოღვაწეობას, რომლებიც მიზნად ისახავდენ შეიარაღებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

განსაკუთრებით საინტერესოა მისი ჩვენება უკანასკნელ წლების მოღვაწეობის შესახებ, როდესაც ელვენგრენი ინგლისის მთავრობის მოცემული ფულებით აწყობდა თავდასხმებს საბჭოთა გამოჩენილ მოღვაწეებზე.

აი რას ამბობს ელვენგრენი თავის ჩვენებაში:

„სავინკოვმა და დერენტალმა (სავინკოვის ერთი თანამშრომელთაგანი) მიამბეს მე, რომ ლონდონიდან პარიზში ჩამოვიდა ინგლისის მზვერავ რაზმის ოფიცერი რეილი. რეილი დიდი ხანია მათთან დაახლოვებული ყოფილა და ხელს უწყობს მათ პოლიტიკურ მუშაობას. მათვე მიამბეს, რომ რეილს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ინგლისში თანხები. ამასთან ერთად წინადადება მომცეს შევხვედროდი რეილს სავინკოვის ბინაზე, როცა მე რეილს შევხვდი, მოვუყევი მას ჩემ მიერ ფინეთში მოწყობილ ორგანიზაციის შესახებ. შემდეგი შეხვედრის დროს რეილთან ერთერთ ძველ რესტორანში ლუვრის ახლოს, მე ვიხილავდი და ვარჩევდი ტერორისტული მოქმედების გეგმას. ამის შემდეგ კიდევ რამოდენიმეჯერ შევხვდი რეილს და ვაწარმოებდი მოლაპარაკებას იმავე ტერორისტულ მოქმედების შესახებ. ასეთივე მოლაპარაკებას რეილი აწარმოებდა ბ. სავინკოვთან.

შემდეგ ელვენგრენი ჰყვება თუ როგორ და რა მიზნით მიიპატიჟა იგი და სავინკოვი ცნობილმა მრეწველმა **გუსტავ ნობელმა.**

„მე და სავინკოვი გუსტავ ნობელმა მიგვიპატიჟა ერთ-ერთ რესტორანში სასაუზმოთ. დანიშნულ დროს თვითონ მან შემოგვიარა საკუთარი ავტომობილით. საუზმის დროს ნობელმა განაცხადა: „ჩვენ კომერციის ხალხი ვართ. ჩვენ გვაინტერესებს აქტიური ბრძოლა ბოლშევიზმთან და ეს აქტიური ბრძოლა ჩვენ წარმოგვიდგენია, როგორც ამ მოძრაობის მთავარ ხელმძღვანელთა მოსპობა. რუსეთის შიგნით ჩვენ უძლური ვართ რამე გავაკეთოთ; აქ კი, თუ სურვილი იქნება, ჩვენ შეგვიძლია ეს მოვაწყოთ.

მოვაწყოთ თუნდ ერთი საქმე და ჩვენი კრედიტიც თქვენდამი ერთბაშად გაიზრდება.

აზრთა გაცვლა - გამოცვლის შემდეგ, საუბარი გადავიდა პრაქტიკულ თემებზე. ნობელმა განაცხადა, რომ ეხლა გენუის კონფერენციის გამო საჭიროა დაჩქარება; რომ მათ ამჟამად სალაროში აქვთ თავისუფალი თანხა დაახლოვებით 80 ათასი ფრანკი, რომელიც მათ ამ საქმისათვის გადასდვეს და შეუძლიათ ეხლავე გაიღონ. შემდეგ ჩვენ შევთანხმდით იმის შესახებ, რომ ჩვენ წავალთ ბერლინში და გავაჩაღებთ ჩვენს მუშაობას. ნობელმა სთქვა, რომ სავინკოვთან კავშირი მათ ექნებათ ჩემი საშუალებით. მან მითხრა, რომ მე შემევლო მასთან კანტორაში, სადაც ფულს მივიღებდი. ნობელს ვკითხე, ვის თვლიან ისინი ბოლშევიკების ახეთ ბელადებათ, რომელთა „ლიკვიდაცია“ მათ საჭიროდ მიჩნიათ. ამაზე ნობელმა მიპასუხა, მათ ასეთ ბელადებად მიაჩნიათ: კრასინი, ჩიჩერინი, რადეკი, რაკოვსკი, ბუხარინი; შეიძლება სხვებიც დაასახელა, მაგრამ ახლა არ მახსოვს. ამასთან ერთად ნობელმა აღნიშნა, რომ მათ განსაკუთრებით აინტერესებს კრასინის „ლიკვიდაცია“. მეორე დღეს მე გავეშურე ნობელის კანტორაში, სადაც დამხვდა კონვერტით გამზადებული 80 ათასი ფრანკი. შემდეგ ჩვენ შევთანხმდით კონსპირაციის შესახებ და სავინკოვთან და დერენტალთან ერთად გავემგზავრეთ ბერლინში. მე მივდიოდი ჩემივე სახელით, ხოლო სავინკოვი ყალბი პასპორტით. ბერლინის სადგურიდან ჩვენ პირდაპირ გავეშურეთ მონარქისტ - მზვერავ **ორლოვის** ბინისკენ. (ორლოვი ვრანგელის მზვერავ ორგანიზაციის წარმომადგენელი იყო, რომელსაც ახლო კავშირი და დამოკიდებულება ჰქონდა ინგლისელი მზვერავი რაზმის ოფიცერ **რეილისთან**), სავინკოვმა ორლოვს შეუკვეთა ხუთი რევოლვერი, კრასინის, ჩიჩერინის, რადეკის და ბუხარინის ფოტოგრაფიული სურათები და აგრეთვე დაავალა ცნობების მიწოდება მათ შესახებ. გარდა ამისა, სავინკოვმა მასვე შეუკვეთა სხვადასხვა ეროვნების მოქალაქეთა ყალბი პასპორტები, — კერძოთ ჩემთვის შეკვეთილი იყო იტალიური პასპორტი. კონსპირაციის დასაცავად ჩვენ შევთანხმდით გვეტარებია ფსევდონიმები. სავინკოვმა დაირქვა ბორისოვი, ხოლო მე, როგორ ვიწოდებოდი, აღარ მახსოვს. შემდეგ ჩვენ გადავედით სასტუმროში, სადაც ჩაუწერლად დავბინავდით.

გარედან თვალყურის დევნებით ბერლინში ჩვენ გავეცანით იმ ადგილს, სადაც იმყოფებოდა საბჭოთა დელეგაცია. ჩვენ ასე ვიყავით მომზადებული: ყველას გვქონდა მაუზერის სისტემის რევოლვერები და ტროსტები ლითონის მოწამლული წვეტებით. მოულოდნელად მე შევიტყე, რომ ბერლინში ახლოებელ სადგურიდან მოემგზავრება ჩიჩერინი. ვინაიდან უკვე დრო არა მქონდა კავშირი გამება თანამშრომლებთან, თითონ მე გავსწიე სადგურისაკენ. იქ მე დამხვდენ ბევრი პოლიციელები, რომელნიც ყველგან იყვნენ ჩარაზმულნი. მე შიში ვიგრძენი; როგორც ქურდი, ისე ვგრძნობდი თავს. ჩიჩერინის მოსვლამდე ცოტა დრო რჩებოდა. მე მივტრიალდი მოვტრიალდი და აუარებელ პოლიციელების მეტი რომ ვერაფერი დავინახე, წამოველ სადგურიდან. მალე შევიტყე, რომ ჩიჩერინისთვის დასაბინავებლად მიეცათ სასტუმრო „პალასის“ ნაწილი, რომელიც პოტსდამერ-პლატცზე მდებარეობს. ჩვენ იქ მოვაწყვეთ ჩვენ თანამშრომელთა მორიგეობა და მეთვალყურეობა ამ რაიონში. მე ხშირად ვათვალიერებდი მორიგეებს, მაგრამ იმ ოტელს ახლოს, სადაც ჩიჩერინი ცხოვრობდა, სამინისტრო ავტომობილების გარდა არაფერი შემიმჩნევია. ჩვენ მოვაწყვეთ მორიგეობა აგრეთვე ავტომობილით იმ ანგარიშით, რომ გავკიდებოდით სასტუმროდან გამოსულ ჩიჩერინს და სისრულეში მოგვეყვანა ჩვენ მიერ განზრახული ტერორისტული აქტი, მაგრამ ეს მორიგეობაც უმიზნო და უშედეგო გამოდგა. ჩიჩერინი დადიოდა სამინისტრო ავტო-მანქანებით, რომელნიც მიმოსვლის საქალაქო წესს მიუხედავად, ძალიან სწრაფად მიმოდიოდენ და ჩვენ საშუალება არ გვქონდა ასეთივე სისწრაფით გავყოლოდით მათ.

რაკი ჩიჩერინზე თავდასხმა არ მოხერხდა, განვიზრახეთ დელეგაციის სხვა წევრებზე მოგვეწყო თავდასხმა. მე ვიშოვე ბილეთი საბჭოთა წარმომადგენლების თანამშრომელთა კრებაზე შესასვლელად, ვფიქრობთ, რომ ბოლშევიკების რომელიმე ბელადთაგანი ამ კრებაზე წაიკითხავდა მოხსენებას, მაგრამ არც აქედან გამოვიდა არაფერი. ისეთი იქ ვერავინ ვერ ვნახე.

მიღებული მისამართებით მე დავგზავნე ჩვენი თანამშრომლები ყველგან, სადაც, ვფიქრობდით, იქნებოდენ დელეგაციის წევრები. მაგრამ ამაოდ. შემდეგ მე გავიგე, რომ დელეგაციის წევრი **ლიტვინოვი** მაქსიმ გორკისთან ერთად იქნებოდა ერთ-ერთ თეატრში. მე შევიძინე ბილეთი იმ მიზნით, რომ რამე მომეწყო, თეატრს ახლო მოვაწყვე თანამშრომელთა მორიგეობა. მაგრამ აქაც არაფერი გამოგვივიდა: ლიტვინოვი გორკისთან ერთად მოულოდნელად წასულა თეატრიდან.

დადგა დელეგაციის გენუაში გამგზავრების დრო. ჩვენ თანამშრომლებისათვის შევიძინეთ ყალბი პასპორტები და იმ სალონ - ვაგონის სამეთვალყურეოდ, რომლითაც უნდა გამგზავრებულიყო დელეგაცია, ჩვენ მოვახერხეთ თანამშრომლების პერონზე გაყვანა. მაგრამ აქაც გვიმტყუნა ბედმა. პერონზე მართლა ჩამოაყენეს სალონ-ვაგონი, რომელშიდაც იყვნენ დელეგაციის უბრალო მოსამსახურენი. დელეგაციის მთავარ მონაწილეებს კი საგარეო საქმეთა მინისტთან დაგვიანებოდათ, მატარებელს მათთვის არ დაუცდია, მხოლოდ ცოტა ხნის შემდეგ ჩიჩერინი და დელეგაციის სხვა წევრები ავტომობილებით დაეწიენ მატარებელს ერთ უახლოეს სადგურზე. დელეგაციის გენუაში გამგზავრების შემდეგ მე და ჩემი ჯგუფი დავრჩით ბერლინში იმ განზრახვით, რომ ტერორისტული თავდასხმა მოგვეხდინა ბერლინში დარჩენილ ზოგიერთ ბოლშევიკურ ბელადებზე, კერძოდ რაკოვსკიზე, მაგრამ აქაც არაფერი გამოგვივიდა“.

ამგვარად, როგორც სჩანს, ელვენგრენის ჩვენებიდან, თეთრგვარდიელებს მიუღიათ ყოველგვარი ტეხნიკური ღონისძიებანი, რომ ამოეხოცათ ჩვენი დელეგაცია გენუაში:

ბერლინის ეპოპეის შემდეგ ელვენგრენს შეუწყვეტია კავშირი სავინკოვთან და მის მსგავს „დემოკრატიულ“ მკვლელებთან და აშკარად გადასულა „იმპერატორ“ კირილე პირველის და დიდ მთავართა ბანაკში. „იმპერატორ“ კირილეს ძმა ანდრეი ვლადიმირის ძესთან ერთად ვოროვსკის მკვლელ ყენეველ ადვოკატის ობერის მონაწილეობით ელვენგრენი აწყობს თავდასხმას ამხ. ჩიჩერინზე, რომელიც იმ დროს დასასვენებლად იმყოფებოდა საფრანგეთის სამხრეთ ნაწილში. ტერორისტების ჯგუფმა. როგორც ამბობს ელვენგრენი, გაიგო თა არა საგარეო საქმეთა კომისარის ჩიჩერინის ჩამოსვლა საფრანგეთის სამხრეთ რაიონში ერთ თავის კრებაზე დაადგინა მოეწყო ტერორისტული თავდასხმა და ეს საქმე დაავალა შემდეგ პირებს: ელვენგრენს, გენ. **ვოლოშინოვს,** თავად **ვიაზემსკის** და მეფის სასახლის კანცელიარიის ყოფილ დირექტორს გენერალ **კლინევს.** ამ ჯგუფმა წინასწარ შეიტყო ჩიჩერინის სამყოფი ადგილი და ყველგან იმ ადგილებში,—სადაც ჩიჩერინი უნდა ყოფილიყო, გაგზავნა თავის წარმომადგენელი, მაგრამ ამაოდ. ჩიჩერინს ვერსად ვერ მიაგნეს.

ელვენგრენი მაინც არ სცხრება და მას შემდეგ ამუშავებს უფრო ფართო ტერორისტულ მოქმედების გეგმას. თავის სამოქმედო ასპარეზად მას გადმოაქვს თვით საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

1926 წლის გაზაფხულზე იგი ჩამოდის საბჭოთა კავშირში.

1926 წლის ზაფხულზე მოსკოვის ერთ-ერთ რკინის გზის სადგურზე შეიპყრეს ვიღაც საეჭვო უცხოელი, რომელმაც წარმოადგინა რუმინეთის სამეფოს პასპორტი ვაჭარ პავლე იორდანის სახელზე. მას აღმოაჩნდა აგრეთვე რევოლვერი. მცირე გაჯიუტების შემდეგ მრავალი მამხილებელი საბუთების ზეგავლენით რუმინელი მოქალაქე იძულებული გახდა გამომტყდარიყო, რომ პასპორტი, რომლითაც იგი საბჭოთა კავშირში შამოიპარა, ყალბია, რომ ნამდვილად ის არის ცნობილი თეთრგვარდიელი გიორგი ევგენის ძე ელვენგრენი.

ჩვენ მიერ მოყვანილი ცნობები აშკარად, ყოველგვარ განმარტების გარეშე, ცხადჰყოფენ, თუ რას წარმოადგენდა ელვენგრენი,—რუსეთის რეაქციის, კონტრ-რევოლიუციის და თეთრი ტერორის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამსახურებული ბელადთაგანი.

კაშენის დაპატიმრების წინ

პარიზი, 22 ივნისი. „იუმანიტე“ აქვეყნებს იუსტიციის მინისტრის ბარტუს მიერ დეპუტატთა პალატის თავმჯდომარისადმი გაგზავნილი წერილის ტექსტს, რომელიც, წინააღმდეგ ყოველგვარი მოლოდინისა, პალატაში არ იქნა გამოქვეყნებული. ბარტუ აცნობებს დეპუტატთა პალატის თავმჯდომარეს, რომ უკვე ძალაში შევიდა სააპელაციო სასამართლოს განაჩენი, რომლითაც კაშენს მიესაჯა 6 თვის ციხე და ჯარიმა 2.000 ფრანკის რაოდენობით. ამასთან ერთად ბარტუ აცნობებს პალატას, რომ კაშენს ციხეში გამოცხადებისათვის მიეცა ორი კვირის ვადა, ხოლო თუ ნებაყოფლობით არ გამოცხადდება, მაშინ ის დაპატიმრებული იქნება პოლიციის საშუალებით (ადს).

ფინეთის დელეგაციის წერილი

ლენინგრადი, 22 ივნისი. ფინეთის **პროფკავშირების დელეგაციამ საბჭოთა კავშირის მშრომელებს მიმართა წერილით, რომელშიაც გამოხატავს აღტაცებას საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხების მიღწევების გამო და აცხადებს, რომ ფინეთის მუშები მხარს დაუჭერენ მთლიან ფრონტს და იბრძოლებენ ახალი ომების საფრთხის წინააღმდეგ.**

ბერლინი და ჟენევა

ბერლინი, 21 ივნისი. კაბინეტმა მოიწონა მოხსენება ერთა ლიგის საბჭოს სესიის შესახებ და დაამტკიცა ძირითადი დებულებები საგარეო პოლიტიკის შესახებ. (ადს).

იაბურის გარდაცვალება

ანგორა, 21 ივნისი. იაფაში გარდაიცვალა ეგვიპტის, სირიის და პალესტინის კომუნისტური მოძრაობის ცნობილი მოღვაწე **იაბური.** (ადს)

პარტიული ცხოვრება

საზაფხულო პარტმუშაობა სოფლად

ზაფხული გაცხოველებული სასოფლო-სამეურნეო მუშაობის პერიოდია. ამ ხნის განმავლობაში გლეხკაცობას, როგორც იტყვიან, თავის მოსაფხანადაც არ სცალია. თითო თვე ზოგჯერ თითო წლის სარჩოთ ეღირს მას.

ცხადია ასეთ პირობებში პარტიული და საზოგადოებრივი მუშაობა სოფლად შესუსტდება. მაგრამ ეს იმას სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ამით უნდა გამართლებულ იქნას პარტიული მუშაობის სრული მოდუნება, როგორც ამას ადგილი აქვს ზოგიერთ ადგილას.

სოფლის სხვადასხვა პარტუჯრედების მუშაობის გამოკვლევიდან ვტყობილობთ, რომ ზოგ ადგილას პარტიული კრებები არ ეწყობა რეგულიარულად, პარტიული მასა დაქსაქსულია და ვერ გრძნობს კავშირს ხელმძღვანელ პარტიულ ორგანოებთან, პარტიული გადასახადი დროზე არ შეაქვთ და სხვა. ასეთ არანორმალობის საზაფხულო პირობებით გამართლება კოვლად შეუძლებელია.

მართალია ზაფხული თავისებურ სეზონურ პირობებს ქმნის, რომელიც დაღს აჩენს საზოგადოებრივ და სამეურნეო მუშაობაზე, მაგრამ ისიც მართალია რომ საჭიროა ყოველი სახის მუშაობის ისე შეცვლა, რომ შექმნილი პირობები არ შეუშლიდეს ამ მუშაობას და ამრიგათ ზარალი არ მოჰქონდეს საქმისათვის.

ამისათვის საჭიროა, რომ პარტიული კრებები სისტემატიურათ იმართებოდეს, ოღონდ არა ისე, როგორც ზამთრობით, არამედ უფრო იშვიათად, მაგრამ განსაზღვრული გეგმის მიხედვით. ამასთან ერთად ღია პარტიული კრებები ზაფხულობით უნდა ეწყობოდეს ცის ქვეშ, ისეთ ადგილას, რომელიც უფრო დასამხრობია უმრავლესობისათვის. ზამთარში ამ პირობის შესრულება შეუძლებელია. ძალა - უნებურათ კრებები უნდა გამართო დახურულ ბინაში, რომელიც ყველასთვის მოხერხებულ და უმრავლესობისათვის მისაწვდომ ადგილასაა აგებული.

ამასთან ერთად ბიუროებმა კრებებისათვის უნდა შეარჩიონ ისეთი საკითხები, რომელნიც დაკავშირებული არიან საზაფხულო მუშაობის პირობებთან, რომელიც უფრო მიიზიდავენ პარტიის წევრებს და უპარტიო გლეხკაცობას.

ბევრ შემთხვევაში ამას ადგილი არა აქვს. უჯრედები განაგრძობენ ერთხელვე აღებულ კურსით მუშაობას, რასაც შედეგათ მოსდევს პარტმუშაობის შესუსტება და მოშლა.

ვ. გ—ი.

უმოქმედო ჯგუფი

(ს. ხორგა, ზუგდ. მაზ.)

ს. ხორგაში 1925 წლის ბოლო რიცხვებიდან დაარსდა კომპარტიის საკანდიდატო ჯგუფი, სადაც 11-ტამდე წევრი ირიცხება. ჯგუფის მუშაობა პირველ ხანებში ნაყოფიერად მიმდინარეობდა. მაგრამ ამ ბოლო დროს ჯგუფის წევრებს გული უცრუვდება მუშაობაზე, (ალბად გადარიცხვის დაგვიანების ბრალი უნდა იყოს). საკანდიდატო ჯგუფს არა აქვს უპარტიოებთან გაერთიანებული კრებები.

გარდა ამისა მოისუსტებს ღარიბებს გლეხობასთან მუშაობაც, ჩვენს საკანდიდატო ჯგუფს ერთხელაც არ ჰქონია ღარიბებს გლეხთა კრებები, თუ არ მივიღებთ მხედველობაში საბჭოთა გადარჩევის დროს მოწვეულ ერთ კრებას.

არც პოლიტიკური მომზადება მიმდინარეობს კარგათ. მე-2-რე წელია, რაც სწარმოებს წესდებისა და პროგრამის შესწავლა და ისიც ზოგიერთებს ჯერ კიდევ ვერ შეუთვისებიათ.

ა. მირცხულავა.

კომკავშირში

შეიარაღებული კომკავშირი

მიმდინარე წლის ივნისის პირველ ნახევარში ჩატარებულ იქნა ქართულ წითელი ჯარის ა. ლ. კ. კ. კონფერენციები.

ექვსი წლის გამუდმებული მუშაობის შემდეგ წრეულს პირველად მოიყარა თავი ჯარის კომკავშირმა, რომ გაეკეთებინა ჯამი ნამუშევარისათვის, აღენუსხა მიღწევები და ნაკლი და გამოენახა მუშაობის სწორი ხაზი.

კონფერენციებს ჰქონდათ უაღრესად საქმიანი ხასიათი, რამაც ცხად ჰყო ის გარემოება, რომ კომკავშირს წითელ ჯარში შეგნებული აქვს სავსებით თავისი დანიშნულება, იცის კარგად, თუ რისთვის არის იგი მოწოდებული და რა ამოცანები სდგანან მის წინაშე.

კონფერენციებმა დაგვანახვა, რომ კომკავშირს გათვალისწინებული აქვს დღევანდელი გართულებული პოლიტიკური მდგომარეობა და მთელი თავისი ძალ-ღონით სცდილობს გაამაგროს და განამტკიცოს წითელი ჯარის საბრძოლო უნარიანობა. დელეგატების ყოველი სიტყვა, თუ შეკითხვა გამსჭვალული იყო სადღეისო საჭირბოროტო საკითხების გარკვევით და კონფერენციამ ამის ირგვლივ გამოიტანა სათანადო დასკვნები, რაც, უეჭველია, შეუწყობს ხელს კომკავშირის მუშაობას წითელი ჯარის განმტკიცების დარგში.

კონფერენციის ყურადღების ცენტრში იდგა ომისათვის მზადების და მოსახლეობის გასამხედროების საკითხები. ამის ირგვლივ გამოთქმულ იქნა მრავალი აზრი, განხილულ იქნა ამ დარგში წარმოებული მუშაობა საერთოდ და კომკავშირის მონაწილეობა მასში. გამოირკვა, რომ მოსახლეობის გასამხედროების საქმეში ჯარის კომკავშირს უკავია საპატიო ადგილი, იგი სცდილობს შეიტანოს თავისი წვლილი ამ საქმეში და აქვს კიდეც თვალსაჩინო მიღწევები.

როგორია თვით კომკავშირის რიგების მდგომარეობა წითელ ჯარში? ამაზე კონფერენციებს მიერ გაცემულ იქნა გარკვეული პასუხი.

წარსულ წლებთან შედარებით კომკავშირის მდგომარეობა შესამჩნევად გამოკეთებულია. კომკავშირს მოპოებული აქვს ნდობა და პატივისცემა უპარტიო მასაში. უპარტიო წითელ არმიელნი სცდილობენ თავის საქმიანობაში მიბაძონ კომკავშირელებს. ეს მოწმობს კომკავშირის ზრდას, მის წინსვლას, განმტკიცებას. ამასთანავე კონფერენციებს მიერ არ იყო დაფარული კომკავშირის უარყოფითი მხარენი და ზოგიერთი ნაკლი.

პარტიის დამოკიდებულება კომკავშირისადმი ნორმალურია. პარტია უწევს მას საჭირო ხელმძღვანელობას, აწვდის ყოველივე მასალას მუშაობისათვის. ის ფაქტი, რომ პარტიის რიგები წითელ ჯარში იზრდება უმეტესად კომკავშირის ხარჯზე, ნათლად მოწმობს პარტიის ხელმძღვანელობის სისწორეს.

კომკავშირი მთელი 100 პროც.-ით ჩაბმულია ყაზარმის ყოველივე საქმიანობაში. სასკოლო და სკოლის გარეშე მუშაობაში, პოლიტმეცადინეობა, სამწყობრო და სამეურნეო დარგში — კომკავშირი ყველგან იღებს აქტიურ მონაწილეობას და შეაქვს სალი სული. განსაკუთრებით კარგათ მუშაობს კომკავშირი სკოლის გარეშე დარგში, ვინაიდან ამის საშუალებით შესაძლებელია წითელ არმიელთა აღზრდის წარმართვა კომუნისტური გზით.

რაც შეეხება კომკავშირის მუშაობას ტერიტორიალურ დივიზიაში შეკრებათა შორისო პერიოდში, აქ ჯერ - ჯერობით მუშაობას არა აქვს გარკვეული სახე და იგი შესამჩნევად მოისუსტებს. კონფერენციამ მიაქცია ამას სათანადო ყურადღება და გამოიტანა დადგენილებები შეკრებათა შორისო მუშაობის გამოსაცოცხლებლად და ცვალებად კომკავშირელების ჩასაბმელად აქტიურ მუშაობაში.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ კონფერენციებმა დაადასტურეს შეიარაღებულ კომკავშირის სიმტკიცე, მისი საქმიანობა. შეიარაღებულ კომკავშირის სახით პარტიას ჰყავს ძლიერი რეზერვი, რომელიც უმზადებს მას კარგათ გაწვრთნილ და შეგნებულ წევრებს.

ი. ზ.

მიხ. კახიანი

კიდევ ქართული ემიგრაციის შესახებ*)

I

ჟორდანია-რამიშვილის მებრძოლი მენშევიზმი

ყველაზედ უფრო დამახასიათებელ და შესანიშნავ დოკუმენტს, რომელიც, ზედმიწევნით აშუქებს მებრძოლი მენშევიზმის პოზიციას, უეჭველად წარმოადგენს, სოციალ-ბანდიტისა და ფაშისტ ნოე რამიშვილის წერილი. თუ ნოე ჟორდანია, მიუხედავად გადახვეწილი კაცისა და გადახვეწილთა ლიდერის არასახარბიელო და საცოდავ მდგომარეობისა, მაინც არ იშლის ფუფუნებას—ხელს კიდებს „თეორიას“ და „სიბრძნეს“ იჩენს, როცა საბჭოთა ხელისუფლების დაცემის შესაძლებლობის სამ კომბინაციაზე ლაპარაკობს (ფრთხილად, ბატონო ნოე ჟორდანია სამი თითის კომბინაცია არ გამოგიძვრეს!), მეორე ნოეს (რამიშვილს) კი „სიბრძნის“ გამოჩენა „შტატით“ სრულიადაც არ ევალება, მას სიბრძნეც არ სჭირდება, ვინაიდან ის „პრაქტიკოსია“, ყოჩაღი კაცია ხიკის ყაიდაზე. რამიშვილს ზედმეტი სიტყვები არ უყვარს, ის პირდაპირ საქმეზე გადადის (რა თქმა უნდა წერილში და არა სინამდვილეში!)—აჯანყების მომზადებაზე. ამ წერილში ფაშისტი რამიშვილი მთელი თავისი სიგრძე-სიგანით სჩანს. მივყვეთ მის „საუცხოო“ ფაშისტურ სიგრძეს და მოუსმინოთ ამ „პრაქტიკოსს“, თუ როგორ სურს მას „გაბედნიეროს“ საქართველო.

ჟორდანია თავისი სადირექტივო წერილის ბოლოში გვაფრთხილებდა, რომ რაც მას გამორჩა, იმას რამიშვილი შეავსებდა. და აი, რამიშვილიც „ავსებს“ და თავის წერილს ასე იწყებს: „აბესალომის საყურადღებოდ“ (საცოდავი აბესალომი, რომელიც გმირად უნდოდათ გაეხადათ, მაგრამ ვერ გახდა!) ნოე ჟორდანიას წერილს უნდა დაუმატო შემდეგი: „**თუ ბოლშევიზმის დაცემა შინაგანმა კრიზისმა გამოიწვია, დაუყონებლივ უნდა დავეპატრონოთ სახელმწიფო ძალა-უფლებას. ბოლშევიკები შევიპყრათ და აღვადგინოთ საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა. ამავე დროს უნდა დავეხმაროთ აზერბეიჯანის ერს და მთიელებს აღადგინონ და დაიმკვიდრონ დამოუკიდებელი რესპუბლიკები**“.

და მართლაც, ფაშისტი რამიშვილი აქ იჩენს მხატვრის ტალანტს. ის თავისი ყალმით გვიხატავს სურათს, რომლისთვისაც შეიძლებოდა მიგვეცა ასეთი სახელწოდება—„ბოლშევიკების დამხობა“. ამ სურათში ყველაფერი ისე უბრალოდ ხდება, როგორც „სიზმარში“. ხდება რაღაც „შინაგანი კრიზისი“. ბოლშევიკები „ეცემიან“ და მიდიან, მენშევიკები მაშინვე მოდიან, „დაუყონებლივ“ იღებენ „თავიანთ ხელში“ სახელმწიფო ძალა - უფლებას და ასე შემდეგ... ამას იქით უკვე იწყება საშინელი ამბები, რომლებიც აფუჭებენ „სურათს“—ბოლშევიკების დაპატიმრება და სხვა და სხვა. ყველაფერი კარგად იქნებოდა, რომ ეს საშინელი დასასრული არა... ხელისუფლება ეცემა ისე, როგორც მწიფე ვაშლი ხიდან, მენშევიკებს კი მხოლოდ პირი აქვთ დაღებული და იჭყიან. მაგრამ ასეთ შემთხვევაში რა შუაშია აქ ბოლშევიკების დაპატიმრებაო — იკითხავს ულუბრყვილო ხალხი. სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი. რამიშვილი მეტად უსინდისოთ ასრულებს ტაკი-მასხარას როლს. მან ძალიან კარგად იცის თუ რა სურს მას, მაგრამ ის ცდილობს, როგორც ეს შეფერის ყოველ გაიძვერა მენშევიკს, კიდევ ერთხელ მოატყუოს მუშები და გლეხები (ეხლა მის ტყუილს არავინ დაიჯერებს!) და აურიოს მათ გზა კვალი. **რამიშვილი ლაპარაკობს ბოლშევიზმის რაღაც „შინაგან კრიზისზე“, რაც თვითონაც არ სჯერა—ნამდვილად კი ის მოუწოდებს ახალი აჯანყებისაკენ საქართველოში.**

ეს კიდევ ცოტაა. რამიშვილს სურს ამ სისხლიან საქმეში „დაეხმაროს“ აზერბეიჯანელებს და მთიელებს და „გააბედნიეროს“ ისინი ეხლა, ვინაიდან მან ეს ვერ შესძლო 24 წლის აგვისტოში. აქ ისტორია მეორდება ცოტა სხვანაირი ვარიაციით. ჯერ კიდევ სამი წლის წინად —1924 წლის 2 ივნისს—ნოე ჟორდანიამ გამოგზავნა თავისი შესანიშნავი (ჰეროსტრატისებურად შესანიშნავი) სადირექტივო წერილი აჯანყების შესახებ, რომელიც აგრეთვე ხელში ჩაუვარდა საქართველოს საგანგებო კომისიას საზღვარ-გარეთელ ბიუროს ემისარ ბენია ჩხიკვიშვილის დაპატიმრების დროს. ამ წერილში ჟორდანია იძლეოდა დირექტივას აჯანყების მოწყობის აუცილებლობის შესახებ, „ამიერ-კავკასიის მასშტაბით“ და ლაპარაკობდა იმავე მთიელებსა და აზერბეიჯანელებზე, რომელთა შესახებაც ეხლა რამიშვილი ლაპარაკობს. ჟორდანია მაშინ სწერდა: „აზერბეიჯანში თავიდანვე უნდა შექმნენ ისეთი სამხედრო ცენტრი, რომელიც ამ პასიურ მასალას გადააქცევს აქტიურ ელემენტად საერთო ბრძოლისათვის. საუკეთესო მებრძოლ ძალას წარმოადგენენ მთიელები, რომელთაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.. ამრიგად პირველი დამწყები კომბინაცია (ისევ კომბინაციაზე ლაპარაკობს ეს ჟორდანია!) შესდგება საქართველოდან, აზერბეიჯანიდან და მთიელებიდან. პირველი გამოსვლა უნდა მოაწყონ მთიელებმა და აზერბეიჯანმა.. ჯერ საქართველოს და შემდეგ კი მათი გამოსვლა არავითარ შემთხვევაში არ არის მისაღები, რადგან მათზე დანდობა ძნელია“.. მაგრამ როგორც ყველამ უწყის ამ დირექტივების ცხოვრებაში განხორციელების დროს 24 წლის აგვისტოში მოხდა „პატარა“ ცვლილება: გამოვიდნენ ქართველი მენშევიკები და სამაგიეროდაც დამარცხდენ, მათ კი არავინ გაჰყოლია. აი, რატომ ბრაზობს თითქოს ნოე ჟორდანია 27 წლის სადირექტივო წერილში:—„მე, მთავრობის თავმჯდომარე ვიძლევი ერთ დირექტივებს, თქვენ კი მოქმედობთ სხვანაირად“. მაგრამ ნოე რამიშვილს, რომელიც ეხლა „უმატებს“ ჟორდანიას, საკითხი გამოსვლის დროის შესახებ, სრულიად არ აინტერესებს, ის მოთმინებას კარგავს და ბრძანებას სცემს: ჩვენ **დაუყოვნებლივ** უნდა ავიღოთ ძალა-უფლება „ჩვენ ხელში“, დავაპატიმროთ ბოლშევიკები და შემდეგ კი შევძლებთ დავეხმაროთ მთიელებს და აზერბეიჯანელებს.

ასეა თუ ისე, მაგრამ საკითხი აჯანყების შესახებ კვლავ ისმება, თუმცა ამას მოხერხებულად მალავენ და ბეჯითებით უარყოფენ მენშევიკები სწორედ ისე, როგორც ამას უარყოფდენ 24 წელში. 24 წელში ჟორდანია გადაჭრით უარყოფდა, რომ ის იძლოდა აჯანყების დირექტივას, ამავე დროს კი მის მიერ საქართველოში გამოგზავნილი ემისარი ვალიკო ჯუღელი, როცა საქართველოს საგანგებო კომისიაში მოხვდა, სიტყვა-სიტყვით შემდეგს სწერდა: „მე ჩამოვედი საქართველოში არა დასასვენებლად და გაზაფხულის შესახვედრად“. (როგორც ახალი ემისარი ივანე ქარცივაძე. მ. კ.) ვაცხადებ სრულიად გულწრფელად და ყველას გასაგონად, რომ საქართველოში მე ჩამოვედი აშკარა და განსაზღვრულ მიზნით. ჯერ ერთი უშუალოთ გავცნობოდი საქმის ნამდვილ ვითარებას და მეორეც, თუ საქმის ვითარება ხელსაყრელი იქნებოდა, შევდგომოდი საყოველთაო აჯანყების მოწყობას“. ამის შემდეგ განა შეიძლება ეჭვის შეტანა იმაში, რომ ისტორია არ მეორდება 1927 წელში მცირე ცვლილებებით, რომ კვლავ არ იგზავნება დირექტივა კონტრ-რევოლიუციის საზღვარ-გარეთელ ცენტრის მიერ აჯანყების აუცილებლობის შესახებ? მაგრამ ნოე ჟორდანია ოდესღაც მაინც იყო მარქსისტი (მართალია, თუმცა იმათი სკოლის, რომლებიც ამახინჯებდენ მარქსიზმს) და მან უნდა იცოდეს, რომ შეიარაღებული აჯანყება ასე უბრალოდ არ ხდება, ხელისუფლება ასე შემთხვევით არ ვარდება „ხელში“, რომ ყოველივე ამისათვის საჭიროა შესაფერი პოლიტიკური პირობები, და თუ ეს არაა —აჯანყებისაკენ მოწოდება—დანაშაული და გიჟური ავანტიურაა.

ამხ. ლენინი ხშირად იმეორებდა,—განსაკუთრებით კი 1917 წ. ოქტომბრის აჯანყების წინ—მარქსის დებულებას იმის შესახებ, რომ აჯანყება არის ხელოვნება და ასახელებდა იმ პირობებს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის, რომ აჯანყებამ გაიმარჯვოს. აქ ინტერესს მოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ ეს ადგილები ლენინიდან, რათა ცხადათ დავრწმუნდეთ იმაში, რომ მენშევიკებს, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, არა აქვთ არავითარი საფუძველი ილაპარაკონ აჯანყების აუცილებლობაზე საქართველოს პირობებში. ამხ. ლენინი წერილში—„გარეშეს რჩევა“ (დაწერილია 1917 წ. 8 ოქტომბერს ტ. XIV, ნაწ. II გვ. 270) სწერს:... „შეიარაღებული აჯანყება არის პოლიტიკური ბრძოლის განსაკუთრებული სახე, რომელიც ემორჩილება განსაკუთრებულ კანონებს, რომლებსაც ყურადღებით უნდა შესწავლა. მეტად მკაფიოდ გამოხატა ეს ჭეშმარიტება კარლ მარქსმა, რომელიც სწერდა, რომ შეიარაღებული „**აჯანყება, ისე როგორც ომი, არის ხელოვნება**“ ამ ხელოვნების მთავარი წესებიდან მარქსმა წამოაყენა:

1) არასოდეს **არ გაეთამაშოთ** აჯანყებას, მაგრამ თუ დაიწყებთ, მტკიცეთ გახსოვდეთ, რომ ბოლომდე უნდა მიიყვანოთ.

2) საჭიროა გადამჭრელ ადგილას, გადამჭრელ მომენტში **მეტი ძალების** შეგროვება, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში მტერი, რომელსაც უკეთესი მომზადება და ორგანიზაცია აქვს, გაანადგურებს აჯანყებულებს.

3) რაკი აჯანყება დაიწყო, საჭიროა მოქმედება დიდი **გამბედაობით** და უსათუოდ, ყოველივე მიზეზს გარეშე, **შეტევაზე** გადასვლა. „თავდაცვა ნიშნავს შეიარაღებულ აჯანყების დასამარებას“.

4) უნდა ვეცადოთ, რომ თავს დავესხათ მტერს მოულოდნელად, შევარჩიოთ მომენტი, სანამ მისი ჯარები დაქსაქსულია.

საჭიროა ყოველდღიურად პატარა გამარჯვება მაინც (შეიძლება ითქვას ყოველ საათში, თუ საქმე შეეხება ერთ ქალაქს) და რაც არ უნდა დაჯდეს „მორალური უპირატესობის“ შენარჩუნება“.

მარქსმა ყველა რევოლიუციების გაკვეთილებს შეიარაღებულ აჯანყების შესახებ ჯამი გაუკეთა „რევოლიუციონური ტაქტიკის ისტორიაში უდიდესი ოსტატის —დანტონის სიტყვებით: „გამბედაობა, გამბედაობა და კიდევ გამბედაობა“.

თავისი ბროშიურის— „შეინარჩუნებენ თუ არა ბოლშევიკები სახელმწიფო ძალა-უფლებას“ — „ბოლოსიტყვაობაში“ ამხ. ლენინი ამბობს: „თუ რევოლიუციონურ პარტიას (ლენინი ლაპარაკობს ბოლშევიკების რევოლიუციონურ პარტიაზე 1917 წ. ოქტომბრის წინ და არა კონტრ-რევოლიუციონურ მენშევიკურ პარტიაზე, რომელიც რევოლიუციას ებრძოდა. მ. კ.) არა ყავს უმრავლესობა რევოლიუციონურ კლასების მოწინავე რიგებში და ქვეყანაში, მაშინ აჯანყებაზე ლაპარაკიც მეტია.

გარდა ამისა მისთვის საჭიროა: 1) რევოლიუციის გაძლიერება საერთო ნაციონალურ მასშტაბით; 2) ძველი მთავრობის სრული მორალური და პოლიტიკური გაკოტრება; 3) დიდი მერყეობა შუათანა ელემენტების ბანაკში, ე. ი. იმ ელემენტების, რომლებიც სავსებით არ უჭერენ მხარს მთავრობას, თუმცა გუშინ სავსებით მის მხარეზე იყვნენ“. (ბოლოსიტყვაობა დაწერილია 1917 წლის ოქტომბრის პირველ რიცხვებში ტ. XIV ნაწ. II გვ. 255).

ჩვენ აქ საკმაოდ დაწვრილებით მოვიყვანეთ რევოლიუციონური ტაქტიკის უდიდეს მასწავლებელთა—კ. მარქსის და ლენინის შეხედულებები „ისტორიის გაკვეთილების“ შესახებ შეიარაღებულ აჯანყების საკითხში. მოვიყვანეთ, რასაკვირველია, არა იმისთვის, რომ ვასწავლოთ რამე მენშევიკებს, ვინაიდან ისინი საფუძვლიანად და საბოლოოდ გამოემშვიდობენ მარქსიზმს, არამედ იმისთვის, რომ ცხადვყოთ და დავამტკიცოთ, რომ ჟორდანია-რამიშვილის მიერ გადაღეჭილ „თეორია“-ს „გარდატეხისა“ და „კრიზისების“ დროს „ხალხის“ სტიქიურ გამოსვლისა და ძალა-უფლების ხელში ჩაგდების შესახებ არაფერი საერთო არა აქვს მარქსიზმთან, რომ ეს აჯანყების თეორია არის (როგორც იყო აგვისტოში) ბუტაფორული და უაზრო, თამაში და ამიტომ აშკარად განწირულია. და მართლაც იმ ხალხმა, რომელიც დაუსრულებლივ მოუწოდებს ავანტიურისაკენ, უნდა იცოდენ, აქვთ თუ არა მათ შეიარაღებულ აჯანყების გამარჯვების რაიმე პოლიტიკური წინასწარი პირობები? შეიძლება მენშევიკებს აქვთ ისეთი პირობები, რომელთა შესახებ სწერდა ლენინი? შეიძლება მენშევიკებს ეყოლებათ **ძალების დიდი უპირატესობა** გადამწყვეტ მომენტში და გადამწყვეტ ადგილებში (ვთქვათ, საქართველოს პროლეტარულ ცენტრებში!), ან ისინი ეყრდნობიან მუშათა და გლეხთა უკმაყოფილების გაძლიერებას „საერთო ნაციონალური მასშტაბით“ საბჭოების ხელისუფლების წინააღმდეგ, ან ადგილი აქვს ჩვენი მთავრობის „მორალურ და პოლიტიკურ გაკოტრებას“, წითელი არმიის გახრწნას და მის დემორალიზაციას; ან მერყეობას ინტელიგენციის და სხვა ფენების ბანაკში საბჭოების წინააღმდეგ; ან, ბოლოს, ემჩნევა თუ არა დაბნეულობა მმართველ კლასს.

მაგრამ ბრმაც კი იტყვის და ადვილად დაამტკიცებს, რომ არც ერთი ასეთი პირობა არ ყოფილა აგვისტოში, მით უმეტეს არ შეიძლება არსებობდეს ასეთები ეხლა, როცა საბჭოთა ქვეყანა შესამჩნევად წინ წავიდა. განა ფაქტი არ არის, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისაკენ აღებული ხაზი, საქართველოს მრეწველობის და სასოფლო-მეურნეობის აღორძინება, ამიერ-კავკასიის სიამაყის ზაჰესის ამუშავება და ქვეყნის საერთო ელექტრიფიკაცია, ახალ ფაბრიკების და ქარხნების აგება, არაჩვეულებრივად აუმჯობესებს მუშების და გლეხების მდგომარეობას? განა ფაქტი არ არის, რომ 6 წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში გააკეთა გაცილებით უფრო მეტი, ვინემ გაკეთებულა საუკუნოების განმავლობაში? განა აშკარა არ არის, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კლასები—მუშები და გლეხები მტკიცედ სდგანან თავისი ხელისუფლების მხარეზე და მას არავის არ დაუთმობენ? განა დიდათ დამახასიათებელი არ არის გარდატეხა ქართველ ინტელიგენციაში, თუ ავიღებთ თუნდინდ საქართველოს სამეცნიერო ძალების, ექიმების, მწერლების, მასწავლებლების და სხვათა გამოსვლას დეკლარაციებით იმპერიალისტ მტაცებლების და მათ სოციალ-დემოკრატ ლაქიების სისხლიან გეგმების წინააღმდეგ? საქართველოს მეცნიერთა დეკლარაციას ხელი მოაწერა აგრეთვე საქართველოს უნივერსიტეტის ყოფილ რექტორმა პროფესორ ივანე ჯავახიშვილმა. ნუ თუ გამოჩნდება ისეთი მენშევიკი, რომელიც გაბედავს და იტყვის, რომ პროფესორი ივანე ჯავახიშვილი მოსყიდულია ბოლშევიკების მიერ? განა საჭიროა კიდევ რამე დამატებითი არგუმენტები,—ასეთებიც კი საკმაოდ ბევრია,—იმის დასამტკიცებლად, რომ საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში ურყევია? ჩვენ ვფიქრობთ, რომ მოყვანილი არგუმენტები საკმარისია. ეხლა ამას ბრმებიც ხედავენ. ქვებიც კი ლაპარაკებენ ამის შესახებ. მაგრამ ბრმაზე უფრო ცუდია ის, ვისაც არ სურს არაფრის დანახვა, ყრუზე უფრო ცუდია ის, ვისაც არ სურს არაფრის გაგონება. და სწორედ ასეთ მდგომარეობაში იმყოფებიან ჟორდანია-რამიშვილი, რომლებიც კვლავ უაზრო ავანტიურებისაკენ მოუწოდებენ.

მაგრამ ასეთ სისხლიან საქმეებისათვის საჭიროა საშუალებები და ძალები. ეს კარგათ მოეხსენება რამიშვილს, რომელიც როგორც ბოროტი გენია დახეტება სხვა და სხვა ადგილებში, როგორც დამშეული მგელი ეძებს მსხვერპლს, მას სწყურია სისხლი... იმ საშუალებათა შესახებ, რომლებიც საჭირო საზიზღარ მუშაობისათვის, თეზისებში „საერთო მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ჩამოერთვა ქარცივაძეს და დაწერილია მის მიერვე, არის ერთი საინტერესო შენიშვნა, რომელიც კიდევ ერთხელ ამტკიცებს იმ აბსოლიუტიურად სწორ დებულებას, რომ მენშევიკები (და მათ რიცხვში მათი ემისარი ქარცივაძე) არიან უცხოეთის იმპერიალიზმის პირდაპირი აგენტები, კარის ძაღლები. აი, ეს ადგილი: „მთავრობას („ჟორდანიას მთავრობას“) ეკისრება გამოძებნოს საიმედო მოკავშირენი სახელმწიფოთა შორის, რომელნიც დახმარებას აღმოუჩენენ საქართველოს (ე. ი. მენშევიკებს, რათა მათ „თავის ხელში“ აიღონ ძალაუფლება“) ფულით, საქონლით და სხ.“.

ჩვენ არ ვიცით რომელ „სახელმწიფოებს შორის“ ეძებენ მენშევიკები ფულს და საქონელს, საქონელს და ფულს და მიიღებენ თუ არა ისინი მას, —ვინაიდან ეხლა უხვად არავის არიგებს ფულს. შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთები, რომლებიც ცოტას მისცემენ სახარჯოთ, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია არა ეს, არამედ პრინციპი, ლოზუნგი: „**ბურჟუაზიის და ერთი მუჭა იმპერიალისტურ მტაცებელთა საშუალებებით დაამხე მილიონ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება**“. დავიხსომოთ მენშევიკების ეს ლოზუნგი. ასეთ მდგომარეობაშია საშუალებების საკითხი, მაშ რა ძალების იმედი აქვთ მენშევიკებს?

და აი, აქ იწყება ნოე რამიშვილის წერილის ყველაზედ უფრო საინტერესო ადგილი, სადაც ის აფითარებს „ბოლშევიკების დაცემის“ პროგრამას, იძლევა პრაქტიკულ წინადადებებს. თუ ჟორდანია „აბესალომს“ აძლევდა მხოლოდ სამ დავალებას, რამიშვილი აძლევს ორჯერ მეტს—სახელდობრ 6 დავალებას. რამიშვილის პირველი და მთავარი დავალება მდგომარეობს იმაში, რომ მენშევიკებმა დაუყონებლივ უნდა გააბან კავშირი არც მეტი არც ნაკლები... ქართულ ჯართან. აი,სადამდის მივიდენ მენშევიკები. რამიშვილი პირდაპირ სწერს: „ამ მიზნით (ე. ი. ძალა-უფლების დაპატრონების, ბოლშევიკების დაპატიმრების და სხ. მიზნით **მ. კ.**) ჩვენ დღეიდანვე მეტად კონსპირატიულად უნდა გავაბათ კავშირი ქართულ ლაშქრის უფროს ოფიცრებთან, რათა შესაფერ მომენტში შევეძლოს მათზე დაყრდნობა. ლაშქარში არსებულ ბოლშევიკ უფროსთა და ჯარისკაცთა შეპყრობა და მობილიზაციის წესით მისი შევსება. ჩვენი მიზანია არსებულ ქართულ ლაშქრის გადაქცევა დამოუკიდებელ დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავარ ბურჯებათ, და მით ჩვენი ბრძოლის გაადვილება. საჭირო იქნება დაუყონებლივ ლაშქრის ხელმძღვანელთა გაწმენდა ბოლშევიკთა და ფაშისტურ - რეაქციონურ ელემენტებისაგან (?!). უნდა ვეცადოთ შევქმნათ გვარდია და მსგავსი რაზმები. პირიქით თავიდანვე შევეცადოთ ყველა მოხალისეთა რაზმები ლაშქარში ჩავრიცხოთ და სასტიკ დისციპლინას დაუმორჩილოთ“.

რამიშვილის ეს „უსერიოზულესი“ დავალება აშკარად ამტკიცებს, რომ მენშევიკების მხრით საქმე გვაქვს **არა მარტო ჯაშუშობის ცდასთან, არამედ სამხედრო ჯაშუშობის, წითელი არმიის ნაწილების გახრწნის და დამორალიზაციის ცდასთან.** ეს ამჟამად უმთავრესი ნაწილია იმ მუშაობის, რომელსაც იმპერიალისტური ბანდიტები აწარმოებენ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ამ საქმეში მენშევიკები, როგორც ერთგული ლაქიები, მათ დახმარებას უწევენ. სულ სხვა საქმეა, არის თუ არა რაიმე საფუძველი ასეთი მუშაობის წარმატებით დამთავრებისათვის. ვინც ფიქრობს, რომ რევოლიუციის არმია, რომელიც შესდგება მუშებისა და გლეხებისაგან და მტკიცე და ერთგული დამცველია მუშურ-გლეხური ხელისუფლების, შეიძლება გახდეს ბურჟუაზიულ თავად - აზნაურულ - მენშევიკურ კონტრ - რევოლიუციის დასაყრდენი, ის მწარედ მოსტყუვდება. ან, შეიძლება, რამიშვილს დავთარი აერია და იფიქრა, რომ წითელი არმია ჰგავს, ვთქვათ, ჩანკაი-შის არმიას. მაგრამ მაშინ როგორ დაავიწყდა ამ ყოფილ მარქსისტს და ყოფილ ადამიანს, რომ წითელი არმია, ეს ერთად-ერთი არმიაა მსოფლიოში, რომელიც იბრძვის სოციალიზმისათვის, რომ ეს არმა კლასიურია, რომ ის მუშაობს მუშათა კლასის და მისი პარტიის—კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ქვეშ. ჩვენ სპეციალურად ვსთხოვეთ ერთ პასუხისმგებელ პარტიულ ამხანაგს, რომელიც მუშაობს წითელი არმიის ქართულ ნაწილებში, მოეცა ჩვენთვის ცნობა. და ამ ცნობიდან გამოირკვა, რომ თუ ავიღებთ ციფრებს ერთ ერთ ქართულ დივიზიის შესახებ მივიღებთ შემდეგ სურათს, რომელიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაახარებს მენშევიკებს. წითელი არმიელთა შემადგენლობა სოციალ. მდგომარეობის მხრივ 99 პროცენტი მუშურ-გლეხურია. პარტიულობის მხრივ—40 **პროც. კომუნისტი და კომკავშირელია.** თუ ავიღებთ უფშემადგენლობას, დავინახავთ, რომ ქართულ ნაწილების უფშემადგენლობიდან 81 პროცენტი. მუშები და გლეხებია. პარტიულობის მხრივ კი უფროსთა 57 პროც. კომუნისტები და კომკავშირელებია. ეს არის უდავო ციფრები. ამის შემდეგ მართლაც რომ მხოლოდ პირველ ხარისხოვან მენშევიკურ იდიოტს შეუძლია იფიქროს, რომ **ასეთი** არმია შეიძლება მენშევიკების „დასაყრდენი“ გახდეს. მენშევიკებს, თითქოს, იმ ყოფილ ოფიცრების იმედი აქვთ, რომელნიც ქართული არმიის ნაწილებში მუშაობენ. ჯერ ერთი,—ამ ყოფილ ოფიცრებს დიდ უმრავლესობას გავლილი აქვს განმეორებითი კურსები წითელ არმიაში, ისინი საკმაოდ შესწავლილი და შემოწმებულნი არიან. გარდა ამისა—ბევრმა მათგანმა აგვისტოს ავანტიურის დროს ჩაბარება გამოსცადა. შეგვიძლია დავასახელოთ ზოგიერთი ასეთი ოფიცრები, ეხლა სამხედრო სპეციალისტები, რომლებიც ხელმძღვანელობენ მსხვილ სამხედრო ერთეულებს.

ასეთი მეთაურები, როგორიცაა გიორგი თუხარელი, გიორგი ქუთათელაძე, მამია ახვლედიანი, მიხეილ შავდია, კოლია ერისთავი—ამჟამად წითელი არმიის საიმედო მეთაურები არიან, რომლებმაც საკმაოთ დაამტკიცეს საბჭოთა ხელისუფლებისადმი ერთგულება. ეს, რასაკვირველია, სრულებითაც არ ნიშნავს, რომ ყოფილ ოფიცრებს შორის არ ყოფილა, არ არის და არ იქნება მოღალატეები და გამცემლები, მაგრამ ეს მხოლოდ ერთეულებია, რაც ვერავითარ გავლენას ვერ მოახდენს ნაწილების საერთო ბრძოლის უნარიანობაზე. საერთოდ და მთლიანად კი ქართული ნაციონალური ნაწილები, შექმნილნი სწორედ საბჭოთა რევოლიუციის ეპოქაში, წარმოადგენენ საბჭოთა ხელისუფლების დისციპლინიან და ერთგულ მებრძოლებს, რომელნიც ეხლა არაფრით არ განსხვავდებიან გმირული წითელი არმიის სხვა ნაწილებისაგან. მაგრამ მიუხედავად წითელი არმიის ქართული ნაწილების ასეთი მდგომარეობისა, ჩვენ არ შეგვიძლია დაუშვათ და ერთი წუთითაც ვერ დაუშვებთ, რომ მენშევიკების ბინძური და ბოროტი ხელები შეეხოს წითელ არმიას, რომელიც ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვართა საგუშაგოზე სდგას. **ჩვენ დაუზოგავათ ავლკვეთთ ყველა ასეთ საზიზღარ ელემენტებს, როგორც მსოფლიო იმპერიალიზმის სამხედრო ჯაშუშებს.**

მაგრამ ჩვენ დიდ ხანს შევჩერდით წითელი არმიის საკითხზე. რამიშვილი კი არ კმაყოფილდება მარტო ქართული ნაწილებით. მისთვის, რომელიც თავის თავს, ალბად, მომავალი მთავარსარდლათ სთვლის (ცოტაა,—საჭიროა კიდევ „მოხალისენი“. როგორ უნდა იქნეს შეკრებილი ეს „მოხალისენი“?. რამიშვილი ამაზე იძლევა პასუხს: „რომ გადატრიალებისას ქვეყნის ბატონ-პატრონი დემოკრატია შეიქნეს და არა ფაშისტურ-რეაქციონური ელემენტები და ან სხვადასხვა ჯურის ყოფილები (ს. დევდარიანი, პ. გოთუა და მსგავსი მოღალატენი), აქიდანვე უნდა მოვახდინოთ მოხალისეთა ჩუმი აღრიცხვა. ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო მათი თავმოყრა და მათგან ნებართვის მიღება, არამედ ფარულათ და ზედმეტ სახელის წოდებით ჩვენი მომხრეთა საიდუმლო აღწერა. ეს განსაკუთრებით საჭიროა თბილისში, სადაც უნდა ვიყოლიოთ საკმაო ძალა ამ შემთხვევისათვის“. ჩვენ არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ ისეთმა უხერხემლო და მუდამ მერყევმა ხალხმაც კი, როგორიცაა სეით დევდარიანი, დაიმსახურა ნოე რამიშვილის წყრომა. ჩვენ ამას მიულოცავთ სეითს და ვუსურვებთ, რომ ამ გარემოებამ მაინც ასწავლოს მას რამე და ამოიყვანოს გაუბედავ მოლოდინის პოზიციიდან. მაგრამ აქ დამახასიათებელი და უმაგალითოა რამიშვილის გეგმა, „აღრიცხვის“ გეგმა: ნუ ეკითხები თანხმობას, მომხრეა ავანტიურის თუ არა, ნურავის ნუ შეკრებ და ნურაფერს ნუ ეტყვი, არამედ უბრალოთ შეადგინე „მოხალისეთა“ სია! (რაღა ეშმაკის „მოხალისეები“ არიან ისინი, როცა მათ სურვილს არავინ კითხულობს მ. კ.). მხოლოდ რამიშვილის ბოროტი გენია შეიძლებოდა მისულიყო ასეთ ჯოჯოხეთურ გეგმამდე, რომელსაც შეეძლება მეტად არასასიამოვნო შედეგი მოჰყვეს „მოხალისეებისათვის“. მაგრამ „მოხალისეების“ ბედი რამიშვილს და ჟორდანიას ნაკლებ აინტერესებს. ისინი სხედან პარიზში და სტამბოლში და იძლევიან ბრძანებას „მოხალისეების“ შეკრებისა და აჯანყების შესახებ, ხოლო რა მოუვათ ამ „მოხალისეებს“ მათთვის სულ ერთია. ჟორდანია და რამიშვილი არაფერს კარგავენ (სინდისი დიდ ხანია დაჰკარგეს) სამინისტრო პორტფელებს გარდა, რომლებიც აგრეთვე მათ დიდი ხანია დაკარგული აქვთ. ასეთია რამიშვილის პირველი დავალება აჯანყებისათვის ძალების მომზადების შესახებ.

მეორე დავალება კი უკვე შეეხება საკითხს ძალაუფლების ორგანიზაციის შესახებ საბჭოთა რეჟიმის „დამხობის“ შემდეგ. მაგრამ ჩვენი წერილი ისედაც გაგრძელდა და რამიშვილის დანარჩენ პრაქტიკულ წინადადებების შესახებ ვილაპარაკებთ შემდეგ წერილში.

---

*) გაგრძელება. იხ. „კომუნისტი“, № 138.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ქუთაისის სამალიარიო სადგური

ქუთაისი, 21 ივნისი. პირველ მაისიდან ქუთაისის სამალიარიო ამბულატორიას ეწოდება ქუთაისის სამალიარიო სადგური. მუშაობა გაფართოვებულია. სადგური სამსახურს უწევს როგორც ქუთაისის მაზრას, ისე დასავლეთ საქართველოს სხვა მაზრებსაც. სწარმოებს პროფილაქტიური მუშაობა მოწაფეთა შორის. ეწყობა საგანმანათლებლო ლექციების კითხვა სანიტარული საკითხების შესასწავლად.

სადგურში მუშაობს ერთი ექიმი, რომელიც ვერ ასწრობს ყველა ავადმყოფების მიღებას, წითელმა ჯვარმა აღუთქვა ერთი ექიმის კიდევ დანიშვნა. (ადს).

ქინაქინის ნაკლებობა

ქუთაისი, 21 ივნისი. შემჩნეულია ქინაქინას ნაკლებობა. ქალაქის აფთიაქებში ქინაქინა არ იშოვება. სამალარიო სადგურში ქინაქინა მხოლოდ ერთი თვის საყოფი არის. (ადს).

აჭარისტანი

საექსპორტო ხე-ტყე

ბათომი, 21 ივნისი. ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის ბათომის განყოფილებამ საზღვარგარეთ გასაგზავნად დაამზადა 100 ტონა კარგი ხარისხის ხე-ტყის მასალა. გამბურგში გაიგზავნა 1050 ფუთი ბზა. აჭარისტანის ხე-ტყის ტრესტმა საექსპორტოთ დაამზადა 10 ვაგონი სხვადასხვა ჯიშის ხე-ტყის მასალა.

სკოლის შენობების შესაკეთებლად

ბათომი, 21 ივნისი. მაზრებში სკოლების შენობათა შესაკეთებლად სახალხო კომისართა საბჭომ დამატებით გადასდო 10.000 მანეთი. შენობათა შეკეთება აგვისტოს შუა რიცხვებში დასრულდება.

მიმოსვლის გაძლიერება

ბათომი, 21 ივნისი. მოაგარაკეთა და ექსკურსანტების სიმრავლის გამო, ბათომის რკინის გზის სამმართველომ გააძლიერა მატარებლების მიმოსვლა ბათომ-ქობულეთის და ბათომ-ოზურგეთის ხაზზე. მოქმედებაში 50 ვაგონია.

ბიდონის ქარხნების აღდგენა

ბათომი, 21 ივნისი. აჭარისტანის მრეწველობის სამმართველომ სახალხო კომისართა საბჭოს სთხოვა საჭირო თანხების გადადება ორი ბიდონის ქარხნის აღსადგენად, რომლებიც 1914 წლიდან უმოქმედოთაა.

აფხაზეთი

ფასების დაკლების კამპანიის შედეგები

სოხუმი, 22 ივნისი. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ცნობით, საცალო ფასების დაკლების კამპანიის შედეგები სოხუმში ივნისის განმავლობაში შემდეგ სურათს იძლევა:

სასოფლო - სამეურნეო პროდუქტებზე ფასები დაკლებულია: პურზე — 8,2 პროც., ფქვილზე — 1,3 პროც., ბოსტნეულობაზე — 40 პროც., რძის პროდუქტებზე — 34,7 პროც. (ადს).

თამბაქოს პლანტაციების დაზღვევა

სოხუმი, 22 ივნისი. სახელმწიფო დაზღვევის სამმართველომ აფხაზეთის მეთამბაქოეების კავშირთან დასდო ხელშეკრულება თამბაქოს სამრეწველო პლანტაციების დაზღვევის შესახებ სეტყვისა და ცეცხლისაგან მომავალ წლის 15 მაისამდე. დაზღვევის თანხა აღწევს 5 მილიონს, ე. ი. 2 მილიონით აღემატება შარშანდელს. მიმდინარე წელს ხელშეკრულების პირობები უფრო ხელსაყრელია პლანტატორებისათვის.

მიმდინარე წელს აფხაზეთში თამბაქო დაითესება 11.500 დესეტინაზე (ადს).

სამხრეთ-ოსეთი

სამელიორაციო სამუშაოები

ცხინვალი, 22 ივნისი. სამხრეთ - ოსეთის ცუნარის დაბლობი დიდ გაჭირვებას განიცდის უწყლობისა და ხშირი გვალვებისაგან, მაშინ როცა ეს სამხრეთ - ოსეთის უმდიდრესი რაიონია.

სამხრეთ - ოსეთის ცაკმა საჭიროდ სცნო სარწყავი არხის გაყვანა ამ დაბლობში დიდი ლიახვიდან. გამოკვლევების წარმოება, პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენა დაჯდება 50.000 მანეთი. არხს უდიდესი მნიშვნელობა ექნება არა მარტო სამხრეთ - ოსეთისათვის, არამედ ლიახვის დაბლობის მთელი მარჯვენა მხარისათვის. **ამასთანავე ერთად ცაკმა მიიღო გადაწყვეტილება ოკონის ჭაობების ამოშრობის შესახებ.** (ადს).

წერილები

„კეთილსაიმედოების“ მოწმობა საჭირო არაა

ჩვენ კიდევ გვიხდება წერა იმის შესახებ, რომ გლეხკორის ამორჩევა არ შეიძლება. დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც საერთო კრებაზე ირჩევდენ გლეხკორს, ან რომელიმე დაწესებულება დაავალებდა ამა თუ იმ ამხანაგს გლეხკორობას.

გლეხკორის არც ამორჩევა, არც დანიშვნა არ შეიძლება. არც არის საჭირო, ყოველ გლეხს შეუძლია იყოს გლეხი-კორესპონდენტი, სწეროს თავისი სოფლის თუ თემის ჭირ-ვარამზე, მის ავსა და კარგზე, თუ ნაკლს ეხება, უსათუოდ წინდაწინ უნდა იყვეს ცნობა შემოწმებული, რომ რედაქცია შეცდომაში არ შეიყვანოს და თავისი თავიც არ გაილანძღოს ყალბი ცნობების მოწოდებით.

ხანდახან რომელიმე გლეხი წერილს აგზავნის გლეხკორობა მინდა თქვენს გაზეთშიო და იქვე თან ართავს თემამასკომის ან რომელიმე სხვა ორგანიზაციიდან აღებულ „კეთილსაიმედობის“ მოწმობას. ესეც არ არის საჭირო. გლეხკორმა უნდა სისტემატიურად სწეროს და ამ კორესპონდენციებიდან თავის თავად შეიძლება გაეცნოს კაცი გლეხკორს თუ რამდენად სწორად აშუქებს ის სოფლის ცხოვრებას, რამდენად უტყუარ ცნობებს აწვდის რედაქციას. რასაკვირველია, ასეთ გადაჭრებს გლეხკორთა მოძრაობაში დღეს მხოლოდ ზოგიერთ ჩამორჩენილ კუთხეებში აქვს ადგილი, სადაც ეს-ეს არის ახლა იკიდებს ფეხს ეს მოძრაობა და სადაც ხელმძღვანელობა მოისუსტებს.

სოფლის ორგანიზაციებმა უნდა გაიგონ, რომ ეს გზა უკვე დაგმობილია. გლეხკორობა არ არის რაიმე თანამდებობა, რომ ამოირჩიო ან დანიშნო გლეხკორი. როგორც ვთქვით ყოველ სოფელში მომუშავე ამხანაგს, რომელიც იცნობს სოფელს და ცოტა უნარი აქვს მიაწოდოს რედაქციას ცნობები სოფლის ცხოვრების შესახებ. შეუძლია გახდეს გლეხკორი. ასევე თავისუფლად შეუძლია გლეხკორს „თავი დაანებოს წერას.

ო.

თბილისის პოლიტგანი და საგარეჯოს თეატრი

სამწუხაროთ, სათეატრო მუშაობა, როგორც ერთი დარგი პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობისა, მეტად სავალალო მდგომარეობაშია სოფლად. შესაფერი რეპერტუარის უქონლობა, სცენის მოწყობილებათა ნაკლებობა, უყურადღებობა ცენტრის ხელოვნების ორგანოებიდან და სხვ. ყველაფერი ეს ხელს უწყობს სოფლის თეატრის ერთ წერტილზე გაყინვას.

ავიღოთ მაგალითად სოფელ საგარეჯოს სახალხო თეატრი, რომელსაც 50 წლის არსებობის ისტორია აქვს. დღევანდლამდი ეს თეატრი ისეთ მდგომარეობაში იმყოფებოდა, როგორც დანარჩენი სხვა სოფლის თეატრები. არ ჰქონდა შესაფერისი რეპერტუარი, არ ჰყავდა ხეირიანი ხელმძღვანელი, განიცდიდა სიღარიბეს სცენის მოწყობილებათა მხრივ და მოკლებული იყო სარსებო წყაროს. ამ გარემოებამ ჩვენი თეატრი დაღუპვის გზაზე დააყენა. თეატრს შემოეფანტა მაყურებლები და თვით სცენის მოყვარენიც. გლეხკაცობას მოსწყინდა ერთი და იგივე პიესების ათასჯერ ყურება, ცხადია ასეთმა მდგომარეობამ გლეხობის თვალში თეატრს დაა-კარგა თავისი მნიშვნელობა. სწორედ ამან გამოიწვია ჩვენი გლეხთა კორესპონდენტების ახმაურება სხვადასხვა გაზეთების ფურცლებზე. ამ ბოლო დროს ჩვენ თეატრს ყურადღება მიაქცია თბილისის პოლიტგანმა, მან სიტყვებთან ერთად საქმეც შეასრულა. ამა წლის 1 ივნისიდან, თეატრს მოუგზავნა მომზადებული და სათეატრო საქმის მცოდნე რეჟისორი, დასის ადმინისტრატორი. წითელ თეატრიდან მოგვცა დეკორაციები და სხვა თეატრის მოწყობილობანი, ტანსაცმელი და სხვა. უკვე ჩამოყალიბდა ადგილობრივ ძალებიდან დრამატიული დასი. უმთავრესად დასში ჩაბმულ იქმნა გლეხური ახალგაზრდობა რათა შემდეგისათვის დარჩეს მომზადებული ძალები. ხალისი სათეატრო მუშაობისა საცხოველდა. მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად.

ვიმედოვნებთ, რომ საგარეჯოს სახალხო თეატრს, რომელიც 50 წლის მანძილზე ემსახურებოდა გლეხთა გათვითცნობიერების საქმეს, თბილისის აღმასკომი უყურადღებოთ არ დასტოვებს და მომავალ საბიუჯეტო წლიდან გაუჩენს მუდმივ სარსებო წყაროს.

გ. ბედიაშვილი.

წერილებიდან

— **გამგეობის თათბირი.** (ქალ. სენაკი) მაისის ბოლო რიცხვებში ქ. სენაკში შესდგა კოოპერატივების გამგეთა თათბირი. ადგილებიდან მოხსენებებმა გამოარკვიეს, რომ წევრთა რიცხვი შარშანდელთან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა. ღარიბი გლეხების კოოპერაციაში შესაყვანად უკვე გადადებულია სათანადო თანხა, მაგრამ ჯერ არ არის გატარებული მათი წევრებად ჩარიცხვის საქმე. საორგანიზაციო ხარჯები ზოგან შემცირებულია, მაგრამ ზოგან ისევ დიდია. ფასების დაკლება ძალიან სუსტად ტარდება, ზედნადები ხარჯები არაა შემცირებული. ქალების მონაწილეობა კოოპერაციაში სუსტია. ასეთია საერთოდ კოოპერაციის მდგომარეობა ჩვენს მაზრაში.

ვ. კორთხონჯია.

— **დამნაშავე უნდა დაისაჯოს.** (საჯავახო). (პროკურატურის საყურადღებოთ). 7 ივნისს დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს მიერ დანიშნული იყო გასარჩევათ საჯავახოს კოოპერატივის გამგეობის ყოფილ წევრების ს. მსხილაძის და ა. ნიკურაძის საქმე, რომელთაც მთელი რიგი ბრალდებები აქვთ წაყენებული. მაგრამ გარჩევა არ შესდგა. მიზეზი შემდეგია: გამოირკვა, რომ 10 მაისს საჯავახოში გაგზავნილი უწყებები არ ჩაუბარებიათ მოწმეებისთვის. ეს საქმე 2 წელიწადია ჭიანურდება. რაშია საქმე, რად არ ჩაბარდა მოწმეებს უწყებები? ეს საქმე უნდა გამოირკვეს და დამნაშავენი სასტიკათ დაისაჯონ.

საჯავახოელი.

ფასების დაკლების შედეგები

ამიერ-კავკასიის კოოპერაციაში

ზაკსოიუზმა ჯამი გაუკეთა ფასების დაკლებას 1 ივნისისათვის ა.-კ. მთელს სამომხმარებლო კოოპერაციაში.

1 იანვართან შედარებით ფასების დაკლება გამოიხატა.

მუშათა ცენტრალურ კოოპერტივებში:

საქართველოში: სამრეწველო საქონლის ჯგუფზე — 9,9 პროც., სასოფლო-სამეურნეო ჯგუფზე — 11,1 პროც., საერთო დაკლება—10,1 პროც.

აზერბეიჯანში: სამრეწველო ჯგუფზე—5 პროც., სასოფლო-სამეურნეო ჯგუფზე —1,24 პროც., საერთო დაკლება — 4 პროც.

სომხეთში: სამრეწველო ჯგუფზე — 7,7 პროც., სასოფლო - სამეურნეო ჯგუფზე—4,8 პროც., საერთო დაკლება—4 პროც.

საქალაქო სამომხმარებლო საზოგადოებებში

საქართველოში: სამრეწველო ჯგუფზე—9,6 პროც., სასოფლო - სამეურნეო ჯგუფზე—8 პროც., საერთო დაკლება—8,6 პროც.

აზერბეიჯანში: სამრეწველო ჯგუფზე—7 პროც., სასოფლო - სამეურნეო ჯგუფზე—3,9 პროც., საერთო დაკლება — 6,7 პროც.

სომხეთში: სამრეწველო ჯგუფზე — 8,9 საერთო დაკლება — 7,8 პროც.

სასოფლო სამომხმარებლო საზოგადოებებში

მთელს ამიერ-კავკასიაში—სამრეწველო ჯგუფზე — 8 პროც., სასოფლო - სამეურნეო ჯგუფზე — 8,2 პროც., საერთო დაკლება—7,5 პროც.

კოოპერატიულ კავშირებში (ცეკავშირი, „აზერიტიფაკ“ და „აიკოპი“)

სამრეწველო ჯგუფზე: საქართველოში—6,9 პროც.; აზერბეიჯანში — 3,6 პროც., სომხეთში — 7,5 პროც.

სასოფლო - სამეურნეო ჯგუფზე საქართველოში, აზერბეიჯანში და სომხეთში ფასების დაკლება არ არის.

საერთო დაკლება

საქართველოში — 6,1 პროც., აზერბეიჯანში —3,3 პროც. და სომხეთში — 6,7 პროც.

მუშათა ცხოვრება

სტუდენტები პრაქტიკაზე

თანამედროვე სოციალისტურ მეურნეობის განვითარების პირობებში ყოველი უბრალო ცოდნის სპეციალისტიც კი, მნიშვნელოვან განძს წარმოადგენს ჩვენთვის. ჩვენი ქვეყანაა ნორჩი სოციალისტური ქვეყანაა, აშენებული ახალ სამეურნეო სისტემით, ახალ საფუძველზე. ამ მშენებლობისათვის ფართო ასპარეზის შესაქმნელად სოციალისტურად მომზადებული სპეციალისტთა კადრია საჭირო. სპეციალისტთა კადრის შექმნაზე, საბჭოთა ხელისუფლება იმთავითვე ზრუნავდა და დღეს ჩვენ შესაფერ შედეგებთანაც გვაქვს საქმე. მაგრამ ეს არ არის საკმარისი. უმაღლესი ცოდნის სპეციალისტებს და მომზადებულ პირებს გვაწვდის უმაღლესი სასწავლებელი, სინამდვილე ამტკიცებს, რომ უმაღლეს სასწავლებელს არ შეუძლია თეორიულ მომზადების გვერდით სტუდენტს უზრუნველოდ მისცეს შესაფერი პრაქტიკა. ამ ნაკლის გამოსასწორებლად გადაიდგა სათანადო ნაბიჯები. საზაფხულო არდადეგების პერიოდში სტუდენტების პრაქტიკაზე გაგზავნას ამ უკანასკნელ ხანებში გეგმიანი ხასიათი მიეცა. თბილისის სახ. უნივერსიტეტიდან ამჟამად პრაქტიკაზე მივლინებულია რამოდენიმე ასეული სტუდენტი საქართველოს და რუსეთის დიდ სამრეწველო ცენტრებში. თითეული პრაქტიკანტი-სტუდენტი მიდის განსაკუთრებულ სპეციალობაზე განხრების მიხედვით. ეს საშუალებას მისცემს მათ მიღებული თეორეტიული ცოდნა გამოცდილებით შეავსონ და ამრიგათ, ყოველმხრივ შეიარაღებული ჩაებან მშენებლობაში. გარდა ზემო თქმულისა სტუდენტების პრაქტიკაზე მივლინებას მნიშვნელობა აქვს მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვისაც.

სტუდენტების პრაქტიკაზე მივლინება რამოდენიმედ ამსუბუქებს სტუდენტების ეკონომიურ მდგომარეობას და დროებით უზრუნველყოფს მათ. მომავალში ჩვენ უფრო მეტი შესაძლებლობა გვექნება უკანასკნელი კურსის სტუდენტები სათანადო სპეციალობით და გამოცდილებით გავგზავნოთ ამა თუ იმ სამუშაოზე.

აპ. ნუცუბიძე.

400 პროცენტი

რკინისგზების ყველა სამსახურების მომარაგება მასალებით ხორციელდება სამასალო სამსახურის ეგრეთწოდებული მთავარი საწყობის საშუალებით. ყველა მასალები, რომლებიც კი, ეგზავნება სამსახურებს, ფასდება დაფაქტურა ედება განსაკუთრებულ ფასების მიხედვით, რომელიც გამომუშავებულია ერთი წლის წინედ. აი ამ ფასებზე ღირს ცოტა შეჩერება რადგან იმ დროს, როცა ირგვლივ ლაპარაკია ფასების შემცირებაზე, საწყობი აწესებს 200 და ხან კი 400 პროც. მეტს, ვიდრე ეს ბაზარშეა. ასე მაგალითად: ხის მეტრებს ღირებულს ლითონტრესტში 1 მან. 80 კაპ. მთავარი საწყობი უშვებს 5 მ. 56 კაპ. საბრუენი მაშები ბაზარზე ღირს 10 მან. 50 კ. მთავარ საწყობში 15 მან. და ასე.

ხსენებული ფასები გავლენას ახდენს თავის მხრივ გზების სახელოსნოების მიერ გამოშვებულ საგნების ღირებულებაზე, რადგან მუშაობის დროს ანგარიშშია მიღებული მასალების ღირებულებაც.

მასალების ბაზარზე ყიდვის უფლება, როცა ასეთები მთავარ საწყობში მოიპოვება—არ არის. ფასების დაკლება, შეეხება თუ არა სამასალო სამსახურის მასალებსაც?

ახალი.

მნახველთა ინტერესებზე ვერ გავცვლით

შენიშვნაზე „სატანჯავი ხალათი“ რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტი“-ს 106 ნომერში საავადმყოფოს დირექცია გვაცნობებს, რომ „ტფილ. რკ. გზ. საავადმყოფოს ავადმყოფთა მნახველთათვის აქვს 400 ხალათი. ეს ნორმა შემოღებულია იმ მიზნით, რომ თითო ავადმყოფთან მივიდეს მხოლოდ ორ-ორი მნახველი, რომელიც უნდა დარჩეს ავათმყოფთან არა უმეტეს ნახევარი საათისა. თუ ეს წესი მნახველების მიერ დაცული იქნება, მაშინ 400 ხალათი თამამად ეყოფა მნახველებს. მაგრამ საუბედუროთ ასე არ ხდება: თვით მნახველები არღვევენ საავადმყოფოს წესს და ორის მაგიერ ავათმყოფთან მიდის 5—10 მნახველი. კიდევ კარგი, რომ მნახველთათვის 400 ხალათზე მეტი არ გვაქვს, თორემ მნახველების რიცხვი ერთი -ორად გადიდდებოდა, რაც ყოვლად დაუშვებელია სანიტარიის და ავათმყოფთა ინტერესების თვალსაზრისით.

შენიშვნის ავტორი, მართალია, აღნიშნავს მნახველების დაუდევრობას, მაგრამ მხოლოდ გაკვრით. უკეთესი იქნებოდა, რომ თვით მნახველები დაიცავდენ საავადმყოფოს დისციპლინას, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ავადმყოფების ინტერესს ვერ გავცვლით მნახველთა ინტერესებზე“.

ამხ. კამოს სახელობის საქარხნო-საფაბრიკო სკოლა

ამხ. კამოს სახელ. საქარხნო - საფაბრიკო სკოლაში სწავლობს 220 მოწაფე. მოწაფეებს ბინა სკოლაში აქვთ და განსაკუთრების ხარჯზე კვებაც უფასო აქვთ.

უკანასკნელ ხანებში მოწაფეებს სპეც-ტანსაცმელებიც მიეცათ. აქამდე კი არ ეძლეოდათ. სკოლაში არის მოწყობილი საკუთარი კლუბი, სადაც არსებობს მუსიკალური, დრამატიული, მომღერალთა, პოლიტიკური და სხვა წრეები. არის „ავიაქიმი“-ს უჯრედი, ლენინის კუთხე და სამკითხველო.

სწავლება და საქმის შეთვისება დამაკმაყოფილებელია. თუ წინეთ სკოლა დამთავრებული ახალგაზრდობა წარმოებებში ხელფასს მე-4 ხარისხით იღებდა ეხლა მე-6 და მე-7 ხარისხით იღებს. ხშირად წარმოების მოთხოვნით სკოლიდან კურს დამთავრებული მოწაფეებიც გადიან, აბარებენ გამოცდას წარჩინებით და ეწყობიან სამუშაოზე მე-7 ხარისხით.

სკოლის მოწაფეები არ ირიცხებიან ჯავშანში. თითქმის არავინ ზრუნავს კურსის დამთავრების შემდეგ მათ სამუშაოთ მოწყობაზე. მაგრამ სკოლის გამგეობის ენერგიული მუშაობით ყველა კურს დამთავრებული მოწაფეები მაინც დროზე იღებენ სამუშაოს.

სკოლა ღებულობს კერძო შეკვეთებს. წარმოება საკუთარი შემოსავლით ფარავს ხარჯებს და იძენს მასალებს.

საკუთარი საშუალებით უმჯობესდება სასკოლო მოწყობილობაც.

თეორეტიული სწავლება მტკიცე ნიადაგზე დგას. ნაწილობრივ ამითაც აიხსნება მოწაფეთა კვალიფიკაციის ამაღლება.

საერთოთ ამ სკოლის მუშაობა დამაკმაყოფილებელია.

ვ. სალუქვაძე.

— : —

ტელეფონი გვინდა

(სად. იორა)

სად. იორიდან დელექარი დაშორებულია დაახლოვებით ერთი კილომეტრით, ხოლო ნახევარ დელექარი, საგარეჯოს მხრივ, 6 კილომეტრით.

სადგურსა, დელექარსა და ნახევარ დელექარს შორის არ არსებობს სატელეფონო კავშირი, რაც უხერხულ მდგომარეობაში აყენებს და ხელს უშლის რკინისგზის თანამშრომლებს ამა თუ იმ საკითხის დროით გამორკვევა - მოგვარების საქმეში.

მაგალითად, ხშირია შემთხვევა, როდესაც ნახევარ დელექარის მახლობლად სოფლელი მწყემსები ლიანდაგის რელსზე აწყობენ რკინისგზის ტაბიკებს, რაც იწვევს გამვლელ მატარებლის საგრძნობ შერყევას.

ამის შესახებ მატარებლის და ორთქლმავალის ბუნდები ატყობინებს იორის სადგურის მორიგეს, ხოლო უკანასკნელი სადგურიდან, 6—7 კილომეტრის სიშორიდან, აგზავნის კაცს მაშინ, როდესაც ტელეფონის საშუალებით ამ საქმის გაკეთება შეიძლებოდა ნახევარ დელექარის მორიგის მიერ სულ რამოდენიმე წუთის განმავლობაში.

ტელეფონის გაკეთება სადგურსა და ხსენებულ დელექრებს შორის საჭიროა კიდევ სხვა მრავალ მოსაზრებებისა და სასარგებლო საქმეების გაკეთების თვალსაზრისითაც. რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს, პირველად ყოვლისა, სალიანდაგო დარგის ადმინისტრაციამ და მიიღოს ყოველივე ზომები ამ საკითხის უახლოეს დროში მოგვარებისათვის.

კოლარგოლი.

— : —

დროა გადაიტანოთ სააპარატო სახელოსნო

(თბილისის საყუდი)

სანგარიშო კანტორის გვერდით მოთავსებულია სააპარატო ოთახი, რომლის სიგანე შეადგენს ორი მეტრს, და სიგრძე კი 6 მეტრს. ვიწრო ოთახში უხდება მუშაობა 4—5 ხელოსანს.

ატმოსფერა ოთახში დახშულია, რადგან კარფანჯრები ვერ იღება, გამკრავი ქარის გამო. მუშები ოფლში იწურებიან და ადვილი შესაძლებელია მათი ვაციება. საჭიროა ეს სახელოსნო იქნეს გადატანილი ადგილკომის შენობაში ძირს სართულში, სადაც ადგილიც საკმაოა და უფრო ნაყოფიერად იმუშავებენ ხელოსნები. ხსენებულ ოთახში შეიძლება გადაიტანონ საყუდის უფროსის ერთ-ერთი თანაშემწის კაბინეტი. ამით მეტი შეღავათი მიეცემა კანტორის მოხელეებს. დღეს ერთ მაგიდაზე 2—3 კაცი ზის ოთახის სივიწროვის გამო. ვიმედოვნებთ, ამხ. აკიმენკო მიიღებს მხედველობაში მუშამოსამსახურეების მდგომარეობას და განახორციელებს ზემოთ ნათქვამს.

მუშკორი—ძია-ლევან.

გერმანული სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია

პირველი სხდომა

გუშინ, 107 შრომის სკოლაში (კირკის ქ.), გაიხსნა გერმანულ სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 90 მასწავლებელი საქართველოს ყველა გერმანულ სკოლებიდან.

კონფერენცია გახსნა ეროვნულ უმცირესობათა საბჭოს განყ. გამგემ ამხ. ნ. მახარაძემ, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა გერმანული სკოლების კულტურული მიღწევანი. „ასეთი კონფერენციები, სთქვა ამხ. ნ. მახარაძემ, პასუხს აძლევენ იმ კითხვებზე, რომლებსაც გვიყენებს ჩვენ ცხოვრება და რომელთა გადაწყვეტა საჭიროა ჩვენი სკოლების სათანადო გზაზე დასაყენებლად“.

მიღებულ იქნა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მასწავლებლის როლი ახალ სკო-ში, 2) მასწავლებელთა თვითგანვითარება, 3) სკოლის თვითმართველობა, 4) პიონერთა მოძრაობა, 5) ტესტები, 6) მასალის აღრიცხვა და დაგეგმვა, 7) საზოგადო სასარგებლო მუშაობა და სხვა.

კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი სამი კაცისაგან და აგრეთვე სამანდატო კომისია და მდივნები.

საზოგადო სასარგებლო მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. გ. გოგუაძემ; მოხსენებამ დიდი ინტერესი და კამათი გამოიწვია.

კონფერენცია გაგრძელდება დაახლოვებით ხუთი დღე.

ეროვნული უმცირესობანი

საქართველოს ცაკთან არსებულ ეროვნულ უმცირესობათა კომისიამ შეიმუშავა ინსტრუქცია კომისიის ადგილობრივ ორგანოების მუშაობის შესახებ.

ინსტრუქციის ძალით, ეროვნულ უმცირესობათა ბიუროებმა და კომისიის რწმუნებულებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საქალაქო, სათემო და სასოფლო საბჭოების საარჩევნო კამპანიის გატარებაში, ხელი უნდა შეუწყონ სათანადო ლიტერატურის გამოცემას ეროვნულ უმცირესობათა ენებზე, ეროვნულ უმცირესობათა მშრომელები უნდა ჩააბან სათემო და საქალაქო საბჭოებში და სხვა.

ეკონომიურ დარგში ბიუროებმა და რწმუნებულებმა ხელი უნდა შეუწყონ ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ორგანოების იმ მასალების შეგროვებასა და დამუშავებაში, რომლებიც ეხება ეროვნულ უმცირესობათა ცხოვრებას, ხელი უნდა შეუწყონ კოოპერატიულ ორგანიზაციებს ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობის კოოპერაციაში ჩაბმის საქმეში, მონაწილეობა უნდა მიიღონ საადგილ-მამულო ორგანოების მუშაობაში და სხვა.

კულტურულ-ჰუმანიტარულ დარგში ბიუროებს და რწმუნებულებს ევალებათ ხელი შეუწყონ კულტურულ-განმანათლებელ ორგანიზაციებს ეროვნულ უმცირესობათა შორის კულტგანმანათლებელ ღონისძიებების გატარების საქმეში, დაამუშავონ საკითხი ლიტერატურის ეროვნულ უმცირესობათა ენებზე გამოცემის შესახებ, ხელი შეუწყონ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს სამკურნალო დაწესებულებების ქსელის განვითარებისა და გაფართოების საქმეში და სხვა.

ინსტრუქციაში განსაზღვრულია აგრეთვე ბიუროების და რწმუნებულების უფლებები და მოვალეობანი.

საქ. ცაკის პრეზიდიუმში

ამხ. ალი-თაგი-ზადეს დანიშვნა

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა, იუსტიციის სახ. კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად, უზენაეს სასამართლოს წევრად დანიშნა ამხ. ალი-თაგი-ზადე.

წითელარმიელთა შენობების შეკეთება

ცაკის პრეზიდიუმმა გამოიმუშავა და დაამტკიცა ცირკულიარი, რომლის ძალით გაძლიერებულ უნდა იქნას ადგილობრივ ბიუჯეტიდან თანხების გადაცემა იმ შენობების შესაკეთებლად, რომლებიც დაკავებული აქვთ წითელი არმიის ნაწილებს.

საზღვრების სანიტარული დაცვა

ცაკის პრეზიდიუმმა მოიწონა იუსტიციის სახალხო კომისარიატის დასკვნა რესპუბლიკის საზღვრების სანიტარული დაცვის შესახებ და წარუდგინა ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასკომს.

თემის აღდგენა

ცაკის პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა გაუქმებულ ნინოშვილის თემის ძველ ფარგლებში აღდგენის შესახებ. პრეზიდიუმმა ოზურგეთის სამაზრო აღმასკომს მისცა წინადადება ნინოშვილის თემის აღდგენა გაატაროს ცხოვრებაში მომავალ საბიუჯეტო წლიდან.

ახალი ხიზა

დაკმაყოფილებულ იქნა გორის სამაზრო აღმასკომის შუამდგომლობა სოფელ ბეთლემისთვის ახალი ხიზის დარქმევის შესახებ.

ამხ. ერასტი ღვამიჩავა

დაინიშნა დასავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სადისციპლინო სასამართლოს თავმჯდომარეთ.

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში

გლეხის სახლის გახსნა

სრ. საქართველოს აღმასრულებელი კომიტეტის სოც. უზრუნველყოფის განყოფილებაში მიღებული ცნობით 3 ივლისს ახალ-სენაკში მოხდება ამხ. მიხა ცხაკაიას სახელობის გლეხის სახლის საზეიმო გახსნა. თბილისიდან გლეხის სახლის გახსნას დაესწრება ამიერ - კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მიხა ცხაკაია და საქ. ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილების გამგე, ცენტრალური გლეხკომის თავმჯდომარე ამხ. კ. ხომერიკი.

დახმარება

ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ სოფელ მაკვანეთში (ოზურგეთის მაზრაში) ახლად გახსნილ სკოლისათვის საჭირო ინვენტარის შესაძენათ აღნიშნულ სკოლის შენობის საამშენებლო კომიტეტს დახმარებათ მისცა ასი (100 მ.) მანეთი.

თბილისის აღმასკომის პლენუმი

გუშინ შესდგა თბილისის აღმასკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა ამხ. ვ. მუსხის მოხსენება

თბილისის აღმასკომის 1927—28 წლის ბიუჯეტის საკონტროლო ციფრების შესახებ

თბილისის აღმასკომის ბიუჯეტი 1927-28 წლისათვის ნავარაუდევია 25,744.000 მანეთის რაოდენობით, რაც მიმდინარე წლის ბიუჯეტთან (26,431.806 მან.) 2,6 პროც. ნაკლებს შეადგენს. 1927-28 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი შესდგება—საგადასახადო შემოსავლიდან—(5.610.000 მანეთი), არასაგადასახადო შემოსავლიდან (13.099.000 მან.) და სხვა შემოსავლიდან—(4.900.000 მან.); დეფიციტი კი შეადგენს—2.135.000 მანეთს.

ბიუჯეტის სახასავლო ნაწილში ადმინისტრატიულ სასამართლო ხარჯები შეადგენენ 1.933 ათას მანეთს, ე. ი. 6,9 პროც. ნაკლებს მიმდინარე წლის ადმინისტ.-სასამ. ხარჯებთან შედარებით, სოციალურ-კულტურული ხარჯები—5.995.000 მან. ე. ი. მიმდინარე წელთან შედარებით 4,4 პროც. მეტია. აქედან სახალხო განათლებისათვის ნავარაუდევია—3.585.000 მანეთი, ჯანმრთელობისათვის—2.110.000 მანეთი, სოც. უზრუნველყოფისა და შრომის დაცვისათვის—300.000 მან.

ყველაზე დიდ ჯამს შეადგენს ბიუჯეტის სახასავლო ნაწილში სამეურნეო საწარმოო ხარჯები, რომელიც უდრის 15.008.000 მანეთს. ამ თანხიდან კომუნალურ წარმოებისათვის ნავარაუდევია—8.488.000 მანეთი, კომუნალურ მეურნეობისათვის—3.623.000 მანეთი, საგზაო მშენებლობისათვის—150 ათასი მანეთი, სასოფლო მეურნეობისათვის 300.000 მან., ადგილობრივი მრეწველობისათვის—71.000 მან; სხვა ხარჯები ბიუჯეტის სახასავლო ნაწილში შეადგენს 2.808,000 მანეთს.

ასეთია მოკლეთ თბილისის 1927-28 წლის ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინა თბილისის აღმასკომის გუშინდელ პლენუმს. განხილვის შემდეგ ბიუჯეტის საკონტროლო ციფრები დამტკიცებულ იქნა.

დანარჩენი საკითხების განხილვა გადაიდო შემდეგი პლენუმისათვის, რომელიც დღეისთვის არის დანიშნული.

მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტში

გუშინ, 21 ივნისს, სასახლეში, ამხ. ფ. მახარაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ს.ს.რ. ცაკთან არსებულ მთავარ სატერმინოლოგიო კომიტეტის სხდომა.

კომიტეტმა მოისმინა წერილობითი მოხსენება ამხ. ბ. ჭიჭინაძისა ფიზიკისა და ელექტრო-ტეხნიკის ტერმინოლოგიის შესახებ, რაიც შეუმუშავებია განათლების სახალხო კომისარიატთან არსებულ ცენტრალურ სამეცნიერო სატერმინოლოგიო კომისიას.

მომხსენებელის აზრით: 1) ტერმინოლოგიას საფუძვლად დადებული აქვს ინტერნაციონალური პრინციპი, ე. ი. ფიზიკისა და ელექტრო-ტეხნიკის ყველა ის ტერმინი, რაიც დღეს საერთაშორისოდაა მიღებული, შემოსულია აღნიშნულ ტერმინოლოგიაშიაც; ქართული ტერმინი მიღებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს საერთაშორისო, ანდა თუ არსებობს ქართული მაინც ცოცხალ ენიდანაა ამოღებული, ზედმიწევნით გამოხატავს ცნებას, არ ეწინააღმდეგება ენის ბუნებასა და თვისებას და უკვე მოპოვებული აქვს მოქალაქობრიობა.

ამ შემთხვევაში ორივე ტერმინია შემოღებული: ქართული და საერთაშორისო.

2) მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც მიუხედავათ საერთაშორისო ტერმინის არსებობისა, მაინც საჭიროა ქართულის შექმნა, როდესაც უცხო ტერმინი მეტად უდრეკია და ნაწარმოებ ფორმებში მისი ხმარება ქართულად არ ხერხდება. ასეთ შემთხვევაშიაც უცხოსთან ერთად პარალელურად ქართულიცაა შემოღებული.

3) ზემოხსენებულის მიხედვით ამხ. ჭიჭინაძეს შემოაქვს წინადადება—ამოღებულ იქნას ფიზიკისა და ელექტრო-ტეხნიკის ტერმინოლოგიიდან რამდენიმე ათეული ტერმინი.

ჭიჭინაძის შესწორებანი კომიტეტმა მიიღო და თვით ტერმინოლოგია შემდგომ შესწორებათა შესატანად გადაეცა ამხ. მამია ორახელაშვილს.

შემდეგ კომიტეტმა მოისმინა ვ. კანდელაკის მოხსენება საბუჰალტრო-საფინანსო ტერმინოლოგიის შესახებ.

საბოლოო რედაქციისათვის ტერმინოლოგია გადაეცა ვუკ. ბერიძეს.

დასასრულ:

ვინაიდან მიუხედავათ ამხ. ფ. მახარაძის ცირკულიარულ წერილისა, ჟურნალ-გაზეთებში და საზოგადოთ მიმოწერისას მაინც განაგრძობენ ისეთ ტერმინების ხმარებას, რომელთა შემოღებაც არავითარ საჭიროებით არაა გამოწვეული (ქმოსანი, განწევრი, სახელსახება და მრავალი სხვა), კომიტეტმა საჭიროდ დაინახა უახლოეს პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმა ამ საკითხის მოგვარებისათვის და ამ მიზნით სთხოვა ამხ. ფ. მახარაძეს გამართოს სპეციალური თათბირი რედაქტორებისა, გამომცემლობათა და სხვ.; რათა მათ მიაქციონ ყურადღება ტერმინოლოგიის ხსენებულ აღრევას, შეეცადონ შეძლებისდაგვარად გასწმინდონ იგი ზედმეტ და მავნე ელემენტებისაგან.

მუშათა კლუბების ახალგ. სექც. საქალაქო კონფერენცია

გუშინ საღამოს საქართველოს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში გაიხსნა მუშათა კლუბების ახალგაზრდათა სექციების საერთო-საქალაქო კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 48 დელეგატი ახალგაზრდათა სექციების ბიუროებიდან.

კონფერენციამ მოისმინა ა. ლ. კ. კ. თბილისის კომიტეტის აგიტ-პროპის გამგის მოადგილის ამხ. სტეპანოვის მოხსენება ახალგაზრდათა სექციების მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ახალგაზრდათა სექციებს გასულ წელთან შედარებით აქვთ მნიშვნელოვანი მიღწევები, მაგრამ სექციები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ აკმაყოფილებენ მთელი მუშა-ახალგაზრდობის ყველა კულტურულ მოთხოვნილებებს. ზოგიერთი კლუბების გამგეობები ახალგაზრდათა საკლუბო მუშაობას არ უკავშირებენ საერთო საკლუბო მუშაობას. სექციები მატერიალურად არ არიან უზრუნველყოფილი, რაც გავლენას ახდენს მათ მუშაობაზე. კლუბები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ ახალგაზრდა მუშების ფიზიკური აღზრდის საქმეს. ახალგაზრდობის გასამხედროების საქმე მოიკოჭლებს.

ახალგაზრდობა ყველაზე მეტად ეტანება სამხატვრო მუშაობას, რაც აიხსნება იმით, რომ ჩვენმა კლუბებმა ჯერ კიდევ სათანადოთ ვერ განავითარეს პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდათა შორის.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ახალგაზრდათა სექციების მუშაობის მორიგ ამოცანებს.

მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგაც კონფერენციამ მიიღო პრაქტიკული წინადადებები ახალგაზრდათა სექციების მუშაობის გასაცხოველებლად.

დასასრულ კონფერენციამ მოისმინა პროფსაბჭოს კულტგანყოფილების გამგის მოადგილის ამხ. მხიტაროვის მოხსენება მუშათა კლუბების ახალგაზრდათა სექციების საზაფხულო მუშაობის შესახებ.

ავაშენოთ თვითმფრინავი



თანახმად ამხ. ლადო სუხიშვილის გამოწვევით „თვითმფრინავ ტფილისის პროლეტარი“-ს ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად შემომაქვს ათი მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ვარძიელი იაშა, ტალახაძე, აბაშიძე ლადო, კობალაძე სანდრო, ამირაგოვი კოლია, კალატოზოვი, კაკაბაძე კირილე, ექ. აბაკელია, პროფ. მაჭავარიანი, პროფ. კახიანი, პროფ. ალადაშვილი, ექ. მიქელაძე, ექ წულუკიძე, ექ. გელიავა, ექ. ტყემალაძე, კოლია ბახტაძე, ილიკო ჭელიძე, სერგო ხვედელიძე, პევცოვი, გვაშილავა ერასტი, ინჟენერი კაციტაძე, ლევან გამყრელიძე, და მამედ გოგიბერიძე.

ს. ჯულელი.

ამხანაგ [illegible] გამოწვევით, თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებ ფონდში შემომაქვს 10 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: თბილისიდან—**ელიზბარ კალანდაძეს**—ტექსტილსინდიკატი და **ბენო ბერაძეს**—სამშენი; ქუთაისიდან—**კაპიტონ კალანდაძეს**; სოხუმიდან—**ერმილე დამენიას, ფილიპე ანასტასიადის, ანანი გრიგოლიას, ბორის ლადარიას, კოკაიას** (მეთამბაქოეთა კავშირიდან), **ვანო კანდელაკს და დავით კიკვაძეს.**

ვ. ბახტაძე.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდში ხუთი მან. (5 მან.) და ვიწვევ ასეთივე თანხაზე შემდეგ ამხანაგებს:

კოლია დოლიძეს, გრიშა ხუნდაძეს, მიშა ბახტაძეს, თეოფანე გორგასლიძეს, კოლია ცინცაძეს, სევერიანე ბზეკალავას, გრიშა ჟღენტს, გრამიტონ სვანიძეს, დათიკო ორაგველიძეს; კოტე გორდელაძეს; ალე ჩიჩელაშვილს; სევერიანე მინდაძეს (ქუთ.), თეოფილე ჩიჩუას, ჭიჭიკო იმედაძეს.

ალექსანდრე თ. ბზეკალავა

ზინა ბაევას გამოწვევით შემომაქვს სამი მანეთი „თბილისის პროლეტარიატის“ ასაგებათ და ვიწვევ: **ლ. კალანდაძეს, დ. მოგელაძეს, გ. ადამაძეს, დ. დემეტრაძეს** (№ ქართ. დივ. პოლიტგანყოფილება), **შ. ნამგალაძეს** (მე-4-ე ლეგიონი), **საშა მამულაშვილს** (მთავლიტი), **ვანო წვენიევს** (თბილისის პარტსკოლა) **და ვანო კალამკაროვს** (მე-4-ე ლეგიონი).

ელიოზ ხუციშვილი.

ამხ. ლადო სუხიშვილის მოწოდებით შეგვაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად **15 მანეთი** და ჩვენის მხრით ვიწვევთ შემდეგი ბუჰხალტერიის თანამშრომლებს: ალმ. განათლების, ჯანმრთელობის, საფინანსის, საადგილ-მამულოს, შ/გ სალაროს, კომუნალურის, უქსის, წყალსადენის, ადმინისტრატიულის და ემს-ის.

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმის ბუჰხალტერიის თანამშრომლები: მაჭავარიანი აკაკი, 5 მან., მჭედლიძე ვასილი 3 მან.; ვახაძე ლევანი 2 მან.; ხოსიტაშვილი ბეტა 1 მან.; მგალობლიშვილი ნიკო 1 მან.; ბართაია ციცილია 1 მან.; კანდელაკი დიმიტრი 1 მან.; რუხაძე აკაკი 1 მანეთი.

— : —

შემომაქვს **1 მანეთი** ამხ. ჯავახაძის გამოწვევით, „თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1- მე-2-რე ფრუნზეს სახელობის ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილებისაგან: **სიხარულიძე, ტიკიშვილი, ბლუაშვილი, ადამიძე, სიმონ გულოვი, ადამაძე, პატარაია, მოველაძე, ხუციშვილი; მურადოვა, კალანდაძე.**

2) მე-6-ე ქართ. მსრ. ლეგიონიდან: **გრიგოლია, ელიაშვილი, სხვიტარიძე, ლორთქიფანიძე, გამსახურდია, ლომია, ცინცაძე,** ყველა ათასეულის და ოცეულის თავებს და პოლიტხელებს.

3) მე-4-ე ქართ. მსრ. ლეგიონიდან: **ნამგალაძეს და მელიქიას.**

4) 1 ლ ქარ. მს. ლეგიონიდან: **გიორგობიანს და კილაძეს.**

5) ა.ლ.კ.ს. თბილისის კომიტეტიდან—**თოდრიას.**

გაზეთ „წითელ არმიელის“ რედაქციიდან: **ჩანტლაძეს და სირაძეს.**

დავით ჭანტურიშვილი.

შემომაქვს თვითმფრინავ „თბილისის პროლეტარიატის“ ფონდის გასაძლიერებლად **10 მანეთი** და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

კიკნაძე ვალოდია, (პროფგანათლების კურსები), **ნუცუბიძე ევგენი** (კურსების გამგე), **კანდელაკი ვალერიან** (ინსპექტორი), **ჯაფარიძე ალექსანდრე** (ფაბზაუკ), **ალავიძე გრიშა** (კლ. ორგ. გამგე), **ნიკოლაიშვილი ვალოდია** (მოძრაობის რევიზ.), **ჩიხლაძე გიორგი** (ტეხნიკუმი), **ნინიძე ვიქტორ** (სამმართველო); **აგასოვ გიორგი** (ტეხნიკუმი); **რინენ-ბურგ აბრამ** ინსპექტ.); **ხოჯიაშვილი ალექსანდრე.**

ილიკო ვასაძე.

თავდაცვის კვირეული

სამზადისი მაზრებში

ამას წინეთ საქ. თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობმა საზოგადოებამ მაზრებში მიავლინა ამხ. წილოსანი, რომელსაც დავალებული ჰქონდა გასცნობოდა თავდაცვა - ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობას ადგილებზე და მიეცა მათთვის შესაფერი ინსტრუქციები მომავალი საქმიანობისა და განსაკუთრებით თავდაცვის კვირეულის ჩატარების შესახებ. თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ადგილებზე ამხ. წილოსანი გადმოგვცემს შემდეგს:

ქუთაისის მაზრაში

— ჩემს მიერ ჩამოვლილ მაზრებს შორის ყველაზე უფრო კარგი შედეგები მიუღია თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციას. უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით, როგორც თვით ქუთაისში, აგრეთვე მის მაზრაში ჩატარებული იქნა სათანადო კამპანია და თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობ საზ-ბის წევრთა რიცხვი შესამჩნევად გაიზარდა.

სოფლებში გლეხები მასიურათ შედიან საზოგადოების წევრებათ. ამჟამად, როგორც ქალაქში, ისე სოფლებშიაც ყალიბდება საზოგადოების სხვადასხვა წრეები, ზოგიერთი წრეები უკვე შეუდგენ მუშაობას.

თავდაცვის კვირეული ქუთაისის მაზრაში ბრწყინვალეთ ჩატარდება.

შორაპნის მაზრაში

სამწუხაროთ შორაპნის მაზრაში ჯერ კიდევ ვერაა შესაფერისად გაშლილი ჩვენი საზოგადოების მუშაობა. ამას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ სამაზრო ცენტრი ხან ჭიათურაში იყო და ხან შორაპანში, ხოლო ეხლა კი ზესტაფონში გადაიტანეს.

ყოველ შემთხვევაში უკანასკნელ დღეებში მიღებულია ზომები მუშაობის გამოსაცოცხლებლათ და იმედია, რომ შორაპნის მაზრა ერთ პირველ ადგილთაგანს დაიჭერს თავდაცვის კვირეულის ჩატარებაში.

გორის მაზრაში

შედარებით უკეთაა დაყენებული საქმე გორის მაზრაში. აქაც მიმდინარეობს წრეებში მუშაობა და სწარმოებს სამზადისი თავდაცვის კვირეულისათვის.

დიდი ტირის მოწყობა

საქართველოს თავდაცვა - ავიაქიმის ხელისშემწყობმა საზოგადოებამ გადასწყვიტა თბილისში მოაწყოს სროლაში სავარჯიშო დიდი ტირი. ტირში სასროლ საქმეს შეისწავლიან პირველ რიგში თავდაცვა - ავიაქიმის საზოგადოების წევრები და მუშათა წრეები.

ტირში იწარმოებს სროლის შესწავლა სხვადასხვა სისტემების სასროლი იარაღებიდან და ამ იარაღების კონსტრუქციასთან გაცნობა. სროლის შესწავლას უხელმძღვანელებენ სპეციალურათ დანიშნული ინსტრუქტორები.

ტირისათვის საჭირო შენობის გამოსანახავათ არჩეულია კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ტირის მოწყობის ხელმძღვანელობა.

ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკა

ძაფის სახვევი განყოფილების შეკეთება

მიმდინარე თვის შუა რიცხვებიდან დაიწყო ოზურგეთის აბრეშუმის ფაბრიკის ძაფის სახვევ განყოფილების შეკეთება და ხელახალი მოწყობა. იდგმება 35 ძალიანი ახალი დიზელი. რომელიც ორი რიგი მუშაობის დროს განყოფილების ნაყოფიერებას 100 პროცენტით გაადიდებს. კეთდება აგრეთვე წყალსადენის ახალი მილები, ვენტილიატორები, რემონტი უკეთდება ამოსახვევ თასებს და შინაგან მოწყობილობას. მუშა ქალების შტატი, რემონტის გამო დათხოვილია პირველ ივლისამდე. პირველი ივლისიდან განახლდება მუშაობა ფაბრიკის ყველა განყოფილებებში, სადაც ამ დროიდან შემოღებული იქნება ორი რიგი მუშაობა.

საკასრე ქარხანა

შეკვეთები მიმდინარე წლისათვის

ბორჯომის საკასრე ქარხანა, რომელმაც მუშაობა დაიწყო მიმდინარე სამეურნეო წლის შემოდგომიდან, თანდათან აფართოებს თავის სამუშაო პროგრამას. უკანასკნელ დრომდე ქარხნის მუშაობას ჰქონდა საცდელი ხასიათი, ეხლა უკვე იწყება საექსპლოატაციო პერიოდი. ქარხნის პროდუქცია წარმოადგენს დიდი ღირსების საქონელს, როგორც მასალის, ისე დამუშავების მხრით. ყველგან კი, სადაც ბორჯომის ქარხნის კასრები დაიგზავნა სანიმუშოდ,—ბორჯომის ქარხნის პროდუქცია მოწონებულია.

შრომის და თავდაცვის საბჭოს კომისიის დადგენილების თანახმად მიმდინარე წელს ყველა ორგანიზაციები, რომელნიც ღვინის დამზადებას იწევიან, ვალდებულნი არიან ბორჯომის საკასრე ქარხანასთან დასდონ ხელშეკრულება 250 ათასი კასრის დამზადების შესახებ. ხელშეკრულებები უზრუნველყოფილი არიან ღვინის დამამზადებელ ორგანიზაციების თამასუქებით, რომლის გასანაღდებლად სახელმწიფო ბანკი იძლევა გრძელვადიან სესხს. ქარხანას უკვე მიღებული აქვს საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ადგილებიდან შეკვეთები.

ელექტრო-სადგურები

თბილისის აღმასრულებელ. კომიტეტის კომუნალური განყოფილების დადგენილებით ზაჰესის ოფიციალური გახსნის შემდეგ შეჩერებული იქნება თბილისის ქალაქის ელექტრო - სადგურების მუშაობა. მარქაფ სადგურად დარჩება პირველი (ყოფ. ქალაქის) ელექტრო - სადგური და ტრამვაის ელექტრო - სადგური, რომელნიც ყოველ შემთხვევისათვის მზად იქნებიან ენერგია მიაწოდონ წარმოებებს და დაწესებულებებს. გაუქმებული სადგურები ყოველგვარ მოწყობილობით გაიყიდება. სადგურების ღირებულების გამოსარკვევად მუშაობდა სპეციალური კომისია, რომელმაც უკვე გამოანგარიშა სადგურების ღირებულება, რომელიც 250 ათას მანეთამდე აღწევს.

სადგურებზე უკვე არის მოთხოვნილება. მათი შეძენა სურს საქართველოს სამაზრო ქალაქებს.

ნათესები და ბაღ-ვენახები

დასავლეთ საქართველოდან ბაღ-ვენახების და ნათესების მდგომარეობის შესახებ მიღებულია შემდეგი ცნობები: ვენახების მდგომარეობა ქუთაისის და შორაპნის მაზრაში დამაკმაყოფილებელია. ვენახებმა ალაგ უკვე დაასრულეს ყვავილობა, ალაგ კი ეხლა ყვავიან. გოგირდის პირველი შეფრქვევა და შაბიამანით წამლობა ყველგან დამთავრდა. ზოგიერთ რაიონებში შეუდგენ ვენახების მეორედ წამლობას. ვენახების დაავადება ხშირი მოვლენა არ არის. დამაკმაყოფილებელია აგრეთვე ბაღების მდგომარეობაც, რაც შეეხება საველე კულტურებს, სიმინდის თესვა უკვე დასრულებულია, ბევრ ალაგას მიმდინარეობს სიმინდის ყანების პირველი გამარგვლა, პურის და ქერის ჯეჯილების დათავთავება დაიწყო. საერთოდ ჯეჯილების მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ჯეჯილებში ბლომად არის გარეული სარეველა მცენარეები.

მიღებულია აგრეთვე ცნობები ქართლის ბაღების მდგომარეობის შესახებ. ქართლის სამხრეთ ნაწილში გაზაფხულის ჭიალუებს ძალიან დაუზარალებიათ ხილის ბაღები, სამკურნალო მასალის უქონლობის გამო ბაღების წამლობა არ მომხდარა. ქართლის ამ ნაწილში მოსალოდნელია ხილის საშუალო მოსავალი.

ზაჰესი

1922 წ. 10 სექტემბერი

22 წლის სექტემბრის ათში ჩაესო ბარი ზაჰესთან მიწას და ითქვა მაშინ:

— აქ უნდა სჩქეფდეს ელექტრო ჩქერის შადრევნები.

დაიწყო ასე:

მშრომელებს ახლად აელოთ ძალა. ხანგრძლივ შეტევით დაქანცული იყო ქალაქი და ქუჩებს სიმშილი ეკრა ტუჩებზე.

იყო ჭიდილი, იყო შრომა გამალებული და იყო ბრძოლა...

ქუჩებს აჰკროდენ ლანდებსავით მოციქულები, რომელთაც სული შავ სამოსელში გამოეხვიათ. ყვავ-ყორნებივით ჩხავოდენ ისინი გზა-ხვეულებზე.

— გააჩანაგეს მთელი ქალაქი!

— მურტალი ხალხია... ზანგიანი.

ფრჩხილ მოუჭრელი, მომართავს განა დიდ სახელმწიფოს გოლიათ საქმეს?!

— აგერ სიმშილით იხოცებიან. აკა ჭუჭყი სჭამთ!

— შაქრის კუდებს გადაყლაპავენ, ლობიოს წვენში ჩაიხრჩვებიან...

იყო სისინი და ჩუმი ჩიფჩიფი.

და იყო კიდევ რწმენა ურყევი, ფანატიური, ძალის მიმცემი, გამარჯვების დიდი რწმენა შრომის უბნებში.

ათი სექტემბრის მოღრუბლულ დილით თბილისის სადგურს მუშათა უბნის ვიწრო ქუჩიდან მოაწყდა ხალხი. მათ ხარალიც უჩვეულო ჰქონდათ. მხარზე წალკატი, ხელში ბარი. სახეზე მტკიცე გადაწყვეტა და ნებისყოფა..

მიიჩქაროდენ სადგურზე...,

ჯერ ადრე იყო. სექტემბრის დილას ჯერ მოეხადა ღამის პირბადე. ტყვიისფერი ცა ჩამოსწოლოდა თბილისს ღრუბლებით. ბნელოდა ისევ, თუმცა განთიადს დაესერა ღამის სამოსი.

და მიდიოდა სადგურისკენ რაზმი რაზმებზე. არ იყო ტევა. მოაწყდა მსურველთ კოლონები აზღვავებული. გადატვირთული დაიძრა ფოლადის ცხენი; ქშენით მიაწყდა ზემო ავჭალას.

აქ დაესო პირველი ბარი. სტიროდა ცა...

სისინებდენ გესლიანი ენებით მშიერ ქუჩებზე.

იქ კი, კვირეულს ათასები გამოეწვია და ბარით ხელში ბელადები არღვევდენ მიწას, თხრიდენ კალაპოტს, მტკვარის დასაბმელს.

— მახარაძეც წასულა, ნახე?!

— ელიავაც იქ არ ყოფილა?!

— სუხიშვილსაც უთხრია მიწა!

— იბითურებენ, ბატონო თავს, აბითურებენ სხვებსაც.

კარგი მაგათ მოუვათ, სიმშილით კვდებიან, განა მათ რამეს გაკეთება შეუძლიათ?

ასეთი იყო „ლაპარაკები“ იმ კვირაობის შემდეგ კარგა ხანს. ასე ფიქრობდენ ზოგიერთები.

მაგრამ ჩაუქრობ რწმენით ანთილი, დაჯერებული თავის ძალაში, თუმცა მშიერი, პურს რომ ბარათით იღებდა, (შავ პურს) მშრომელის ნება ექვეთა გიჟ მტკვარს, დაიმორჩილა ის და ტურბინებში ააწრიალა.

— მიწყდა სისინი, რადგან ზაჰესის ელ ნათურამ დაახშო ბნელი საბუნაგო. მიწყდა ჩიფჩიფი, რადგან ელჩქერი თვალზე მიადგა ყველა ურწმუნოს.

ვ. ბერაძე.

როგორ უნდა ჩატარდეს კოოპერაციის დღე

საერთაშორისო კოოპერატიულ კავშირის დადგენილებით მთელი მსოფლიოს კოოპერაცია ყოველწლიურად აწყობს კოოპერაციის დღესასწაულს.

ეს დღესასწაული ამავე კავშირის დადგენილებით იმართება ივლისის პირველ შაბათს.

მიმდინარე წელში კოოპერატიული დღესასწაული ჩატარდება ივლისის 2-ს (შაბათს).

საქართველოს კოოპერაცია საქართველოს კოოპერატიულ საბჭოსა და საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირების სახით უკვე დიდი ხანია შეუდგა სამზადისს დღესასწაულის ჩასატარებლად.

საქართველოს კოოპერატიულ საბჭოსთან შექმნილია კოოპერაციის საერთაშორისო დღის საქართველოში ჩამტარებელი ცენტრალური კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობს საქართველოს კოოპერატიულ საბჭოს პრეზიდიუმის ერთ-ერთი წევრი. ამ ცენტრალურ კომისიაში, კოოპერატიულ საბჭოს პრეზიდიუმის გარდა, წარმოდგენილი არიან შემდეგი ორგანიზაციები: საქ. კომ. პ. (ბ) ცეკას საგ.-საპრ. განყოფილება, კომკავშირის ცეკას საგ.-საპრ. განყოფილება, ქალთა განყოფილება, პროფკავშირთა საბჭოს კულტ.-განყოფილება, პოლიტგანი, ცეკავშირი, სოფლის კავშირი, საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკი, ბინათ-კავშირი, საქ. სარეწაო კოოპ. კავშირი, „ზაკტპო“, თბილისის მუშკოოპი და „მეომარი“.

ცენტრალურ კომისიას უკვე ჰქონდა სხდომა და მან ჩამოაყალიბა როგორც დღესასწაულის ძირითადი ამოცანები, ისე მისი ორგანიზაციული და ტეხნიკური მხარეები.

ამ დადგენილებით მიმდინარე წელს ისე, როგორც წინა წლებში, საერთაშორისო კოოპერაციის დღეს უნდა მოხდეს მშრომელთა ფართო მასების მიერ საბჭოთა კოოპერაციის მიღწევებისა და ნაკლულევანებების სადი შეფასება და აგრეთვე მათი სოლიდარობის გამოცხადება კაპიტალისტურ და კოლონიალურ ქვეყნების მშრომელთადმი.

უკანასკნელ თვეებში შექმნილი საერთაშორისო მდგომარეობა განსაკუთრებით ხასიათს აძლევს მიმდინარე წლის კოოპერატიულ დღესასწაულს. ამ დღეს საბჭოთა საქართველოს მშრომელებმა უნდა ამცნონ მთელ ქვეყანას თავისი პროტესტი ახალ ომების მზადების წინააღმდეგ, თავისი სოლიდარობა ჩინეთის მებრძოლ მასებისადმი, „პროტესტი ფაშისტურ ტერორის წინააღმდეგ და მოუწოდონ კაპიტალისტურ ქვეყნების მშრომელთ, რათა მათ გამოიყენონ კოოპერაცია როგორც იარაღი განმანთავისუფლებელ ბრძოლისა.

ამას გარდა კოოპერატიული დღე გამოყენებულ უნდა იქნეს კოოპერაციაში მუშათა და გლეხთა ფართო მასების მოსაზიდავად. ამ მიზნით ამ დღისათვის უნდა მოხდეს შემოღება და პრაქტიკულად გატარება კოოპერაციაში წევრთა მოზიდვის გამაადვილებელ სხვა და სხვა ღონისძიებებისა. ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა გამოირკვეს, თუ რა პროცენტს შეადგენენ კოოპერატივებში პროფკავშირთა წევრები, ქალები და ახალგაზრდობა და გაირკვეს ის კონკრეტიული საშუალებები, რომელნიც უახლოვეს მომავლისათვის მოგვცემენ ამ წრეების კოოპერაციაში მონაწილეობის გაზრდას.

ახალ წევრების მიზიდვის გარდა, კოოპერატიულ დღისათვის უნდა მოხდეს კოოპერაციაში უკვე გაერთიანებულ მასების აქტივობის ამაღლებაც. ეს მიზანი მიღწეული იქნება, თუ კოოპერატივის წევრები მონაწილენი გახდებიან ისეთ ღონისძიებების გატარებაში, როგორიცაა: ფასების დაკლება, კოოპერაციის საკუთარ საშუალებათა გადიდება, მომჭირნეობის რეჟიმის გატარება, საკუთარ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, ბრძოლა ბოროტმოქმედებასთან, გაფლანგველებთან, ზრუნვა მშრომელთა ყოფა-ცხოვრების პირობების გაჯანსაღებაზე, კოოპერატიულ ორგანიზაციათა მმართველ ორგანოების შერჩევაში ნამდვილ არჩევითი წესებისა და პასუხისმგებლობის საფუძვლების გატარება, კოოპერაციაში გაერთიანებულ მასების კულტურული დონის ამაღლება.

მიმდინარე წლის კოოპერატიულ დღესასწაულის შინაარსის შესახებ ცენტრალურ კომისიის მიერ მიღებულ დადგენილებებიდან აღსანიშნავია კიდევ ის, რომ კოოპერატიული დღე დაკავშირებულ უნდა იქნეს ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლისთავის მოახლოვებასთან. ეს დღესასწაული უნდა გახდეს შემზადებად და მომზადებად საბჭოთა კოოპერაციის მოღვაწეთა იმ გენერალურ შეფასებისათვის, რომელიც მოხდება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავზე.

რაც შეეხება დღესასწაულის ჩატარების ორგანიზაციულ და ტეხნიკურ მხარეებს, ამის შესახებ ცენტრალურმა კომისიამ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

საქართველოს მაზრებში და ოლქებში უნდა შეიქმნეს დღესასწაულის ჩამტარებელი სამაზრო (ან საოლქო) კომისიები. ეს კომისიები შეიქმნება სამაზრო (ან საოლქო) პარტკომების საპროპაგანდო-საააგიტაციო განყოფილებებთან შემდეგის შემადგენლობით: თითო წარმომადგენელი მაზრკომის საგ.-საპრ. განყ., პოლიტგანის, ქალთა განყოფილების, კომკავშირის, პროფბიუროსი, მაზრის (ან ოლქის) ცენტრის მომხმარებელთა კოოპერატივის, მაზრაში არსებულ სხვა და სხვა სახის მსხვილ კოოპერატიულ ამხანაგობების.

რაიონებში იქნებიან სარაიონო კომისიები რაიონებში არსებულ სხვა და სხვა სახის კოოპერატივებისა, პარტუჯრედებისა, კომკავშირთა უჯრედებისა და სხვა დაწესებულებათა წარმომადგენლებისაგან.

ცენტრალურ კომისიაში წარმოდგენილი ორგანიზაციები თავიანთ ხაზით დაუგზავნიან სადირექტივო მითითებებს ადგილობრივ ორგანიზაციებს. კერძოდ კომისიაში წარმოდგენილი ცენტრალური კოოპერატიული ორგანიზაციები დაუგზავნიან თავის მოკავშირე ძირითად კოოპერატივებს მოწოდებებს, თეზისებს, პლაკატებს, ლიტერატურას და ლოზუნგებს.

ამავე დღისათვის ცეკავშირი გამოსცემს თავის ორკვირეულ კოოპერატიული გაზეთის პირველ ნომერს, რომელიც მიძღვნილი იქნება კოოპერატიულ დღისათვის. ამ ნომერში იქნება მასალები საქართველოს სხვა და სხვა კოოპერატიულ სისტემათა მიღწევებზე და პერსპექტივებზე. ეს გაზეთიც ცენტრალურ კავშირების მიერ გაეგზავნება ძირითად კოოპერატივებს რამოდენიმე დღით ადრე დღესასწაულამდე.

წინა წლების გამოცდილების თანახმად, ცენტრალურმა კომისიამ სასურველად სცნო დღესასწაული გაიმართოს შაბათს, ივლისის 2-ს, მხოლოდ საქართველოს ქალაქებში, ხოლო სოფლებში კი კვირას, ივლისის 3-ს. მუსულმანებით დასახლებულ რაიონებში კი პარასკევს 1-ლ ივლისს.

ადგილებზე დღესასწაულის ჩატარების ტეხნიკურ მხარეებს განსაზღვრავენ ადგილობრივი კომისიები ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირებიდან მიღებულ მითითებითა და ადგილობრივ პირობების მიხედვით.

დღესასწაულის ჩატარებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯებს კისრულობენ კოოპერატიული ორგანიზაციები.

შ. დ—ძე.

ჩაის მრეწველობა

ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმის დამტკიცება

საქართველოს უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილული და მიღებული იქნა საქართველოს ჩაის მრეწველობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა.

ხუთი წლის განმავლობაში, 1928 წლიდან 1932 წლამდე, განზრახულია ჩაის პლანტაციების მთელი სივრცე გადიდებულ იქნეს 20.000 ჰექტარამდე. ამჟამად არის მხოლოდ 1904 ჰექტარი: ამაში შედის, როგორც ძველი, ისე 26-27 წელში ჩაყრილი პლანტაციები.

გეგმის მიხედვით ხუთი წლის განმავლობაში განზრახულია 18.037 ჰექტარი (ანუ 16.500 დეს.) ჩაის პლანტაციების ჩაყრა გლეხთა მეურნეობებში და 100 დესეტინა სათესლე პლანტაციების მოწყობა.

საგლეხო მეურნეობებისათვის საჭირო მასალების მიწოდება გეგმისმიხედვით ეკისრება სასოფლო - სამეურნეო ბანკებს და სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო ამხანაგობებს.

ჩაის პლანტაციების სივრცის ასეთი ზრდის უზრუნველყოფად აუცილებელია ჩაის რაიონები უზრუნველყოფილი იქნეს ჩაის კულტურის ინსტრუქტორებით და ტეხნიკოსებით. ამ ხნის განმავლობაში განზრახულია ინსტრუქტორების რიცხვი გადიდებული იქნეს 10-დე, ტეხნიკოსების რიცხვი კი — 65-დე

ჩაის გადამუშავების ახალი წესების გასაცნობად და შესასწავლად განზრახულია ექსპედიციების მოწყობა და პერსონალის გაგზავნა შორეული აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ამჟამად სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს აქვს 6 ჩაის ფაბრიკა, რომელთა ნაყოფიერება უდრის 2,600.000 გირ. ჩაის წელიწადში.

ხუთი წლის განმავლობაში აგებული იქნება 10 ახალი ფაბრიკა, მათ შორის პირველ რიგში ქობულეთში (1928 წ.) და ჩაქვაში (1929 წ.).

გლეხებისათვის კრედიტების მისაწოდებლად, კაპიტალურ აღმშენებლობაზე, აგრო-კულტურულ ღონისძიებებზე და სხვ. ხუთი წლის განმავლობაში დახარჯული იქნება 44.949.000 მანეთი.

ამავე დროის განმავლობაში შემოსავალი ნავარაუდევია 38.761.000 მანეთი. ამრიგად, საქართველოს ჩაის მეურნეობის გაფართოებისათვის საჭირო იქნება მხოლოდ ექვსი მილიონი მანეთი.

სად? როდის?
„მოხეტიალე ვარსკვლავები“
ამაღლვებელი ფურცელი ევროპის ცხოვრებიდან
შოლომ ალეიხემის ცნობილი რომანის მიხედვით
სად? როდის?

სურებ-ჩოხატაურის გზა

სურებ-ჩოხატაურის გზის გასაყვანფონდში ამხ. ფ. მახარაძემ შეიტანა 20 მანეთი.

თანახმად კ. ეზიაშვილის გამოწვევისა, შემომაქვს 5 მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

ოზურგეთიდან: ლეო სალუქვაძეს, დიომიდე სალუქვაძეს; თამარა ბარამიძეს; სვიმონ ბარამიძეს. ბათომიდან: თეო სვანიძეს; შუშანა და კალე ირაკლის ასულს სანიკიძეებს;ხატილა წულიკიძეს; გოგიბერიძის ასულს. ჩოხატაურიდან: ელპიტი რამიშვილს; ქუთაისიდან: ლეონიდე კალანდაროიშვილს; კატო რამიშვილს—ხუნდაძის ასულს. (საქამია სერიდან):ალექსანდრე კოტრიკაძეს (ზემო ხეთიდან); მაშიკო უნგიაძეს ბერაძის ასულს; მარია ბარამიძეს უნგიაძის ასულს (ჯვარცხმიდან); მოსე ძნელაძეს (კოხნარიდან): სურებიდან ლიუბა ლომინეიშვილს; იონა ლომინეიშვილს; გრიგოლ სანიკიძეს; ნიკიფორე თავბერიძეს; ალფესი გავუას. სამტრედიიდან: სონია კონსტანტინეს ასულს ბარამიძეს. ბორჯომიდან: მარგო გვინცაძეს; გრიშა გურგენიძეს; ხაშურიდან: ტასო თევზაძეს რამიშვილის ასულს; გურჯაანიდან: ლიდა ცინცაძეს; პელაგია და კოსტა რამიშვილებს; მიშა ცინცაძეს. წინანდალიდან: მირიან სანიკიძეს; თბილისიდან: მარგარიტა ამირაჯიბს ჭაფოძისას; მარო და ელენა ეზიაშვილებს; მარგარიტა პავლეს ასულს ბარამიძეს; ვერა მოწონელიძეს რამიშვილის ასულს; თამარა ჯაყელს; ნინა და შურა ბერიძეებს; თამარა სერაპიონის ასულს რამიშვილს; მადლენა ჟღენტს; მადლენა ბიბინეიშვილს, კაკო ჟღენტს; სერგო კალანდაძეს; ისიდორე კ. ბარამიძეს.

ოლია ბარამიძე

ქრონიკა

ამერიკელი ჟურნალისტები ამხ. ჯუღელთან

გუშინ, დილით საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ს. ჯუღელმა მიიღო ამერიკელი ჟურნალისტები, ნიუ-იორკის გაერთიანებულ მემარცხენე პრესის წარმომადგენლები ბ. ბალდუინი და გარტცი, რომლებთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

ტრიკოტაჟის ქარხანა ამუშავდა

შრომის კოლექტივმა — ტრიკოტაჟის ქარხანამ უკვე დაიწყო მუშაობა. ეს ქარხანა დღემდე გაუქმებული იყო. ქარხანა მოთავსებულია [illegible] მოედანზე. იგი ამზადებს ყოველნაირ ქსოვილებს (წინდებს, ხალათებს და სხვ.) ამჟამად ქარხანაში მუშაობს 44 კაცი, ახლო ხანში მუშათა რიცხვი აყვანილი იქნება 120 კაცამდე. ქარხნის ასამუშავებლად გაღებული იქნა 6.000 მანეთი. შრომის კოლექტივების კომიტეტი ქარხანას ნისიად აძლევს 7 ათას მანეთის ნართს.

საზამთრო საკურორტო კამპანიის შედეგები

რესპუბლიკის სოცდაზღვევის კომიტეტის ცნობით, შემოდგომა - ზამთრის სეზონის განმავლობაში (1926 წ. 1 ოქტომბრიდან 1927 წ. 1 აპრილამდე) საქ. დამზღვევ სალაროების მიერ საზამთრო სანატორიუმებში და კურორტებზე გაიგზავნა 450 დაზღვეული. მათ შორის არაზინდოში — 223 კაცი, აბასთუმანში — 28, ქობულეთში — 125, სოხუმში — 39, კისლოვოდსკში — 29, ალუპკაში (ყირიმშია)—4, იალტაში—2. გაგზავნილთაგან 69 პროც. მუშაა, დანარჩენი — მოსამსახურე. სქესის მიხედვით: 23 პროც. ქალია.

აღსანიშნავია, რომ გასულ წელში საზამთრო კურორტებზე გაიგზავნა მხოლოდ 230 კაცი. ე. ი. წლევანდელის ნახევარი.

საფეიქრო მრეწველობის შესასწავლად

ს. მ. უ. ს. შრომის ეკონომიკის განყოფილებასთან არსებულმა მუშახელის მომზადების საქმის ხელმძღვანელმა კომისიამ დაადგინა გაგზავნოს საბჭოთა კავშირის სამრეწველო რაიონებში 55 ახალგაზრდა მუშა საფეიქრო მრეწველობის შესასწავლად.

თბილისის წარმოებებიდან საფეიქრო ქარხნებში გასაგზავნათ გამოყოფილია 48 კაცი. ხოლო დანარჩენი ადგილები შენახულია ქიმიური და ინდუსტრიალური ტეხნიკუმები მოსწავლეთათვის.

1-ლი ივლისიდან მოსკოვის რაიონის ქარხნებში გაგზავნილი იქნება — პირველი ჯგუფი. 5 ივლისს გაემგზავრება მეორე ჯგუფი. მოსამზადებელ მუშა-ხელის გასანაწილებლად საფეიქრო მრეწველობის ქარხნებში, დღეს მოსკოვში მიემგზავრება ამხ. ეირანოვი.

თბილისის ალმასკომში

◆ **ქალაქის სასაკლაო.** თბ. ალმასკომის დადგენილებით ქალაქის სასაკლაო კომუნალურ მეურნეობის გამგებლობიდან გადადის საბჭოთლო [illegible] განკარგულებაში.

◆ **სანიტარული ზედამხედველობა.** თბ. ალმასკომმა დაადგინა გააძლიეროს მაზრაში ოთხფეხ საქონელზე სანიტარული ზედამხედველობა.

◆ **აბანო.** სუმბათაშვილისეული აბანოსთან მოეწყო ახალი საერთო განყოფილება.

◆ **მასწავლებელთა მიღება.** თბ. ალმასკომის განათლების განყოფილება 25 ივნისიდან სწყვეტს განცხადებების მიღებას თბილისში მასწავლებლობის ადგილის მიღების შესახებ.

მიწად-მოქ. კომისარიატში

◆ **გამოკვლევა.** მიწად - მოქ. კომისარიატი ამ დღეებში შეუდგება სასოფლო - სამეურნეო კოლექტივების გამოკვლევას აჭარისტანში.

◆ **აგრო - პუნქტები.** მიწად - მოქ. კომისარიატმა გადასწყვიტა აგრო-დახმარების პუნქტებთან მოაწყოს პატარა მიწის ნაკვეთებზე საჩვენებელი მეურნეობანი ადგილობრივ გავრცელებულ მეურნეობათა ხასიათის მიხედვით.

◆ **მიწად - მოწყობა.** მიწად-მოქ. კომისარიატმა მთიულეთში მიავლინა მიწისმზომელთა რაზმი მიწადმოწყობის ჩასატარებლად.

◆ **მინდვრის მავნებლებთან** საბრძოლველად მიწად-მოქ. კომისარიატი აწყობს მინდვრის მავნებლებთან მებრძოლ რაზმებს.

სხვა და სხვა

◆ **დალტონ - გეგმა.** დღეს, საღამოს 8 საათზე მე-116-ტე შრომის სკოლაში შესდგება იმ სკოლების მასწავლებელთა კონფერენცია, სადაც სწავლა სწარმოებს დალტონ-გეგმის მეთოდით.

◆ **საუწყებო მილიცია.** ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ ხელშეკრულება დასდო ქალაქის მილიციასთან საუწყებო მილიციის გამოყოფის შესახებ ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ქონების დასაცავად საბაზისო საწყობში.

შემთხვევები

სახლის დანგრევა

გუშინ, საღ. 5 საათზე და 50 წუთზე მე-4-ე მეხანძრეთა რაზმი გაწვეულ იქნა ლენინის ქუჩაზე № 44, სადაც დაინგრა სახლის კედელი. უბედურ შემთხვევას ადგილი არ ქონია. ზარალი გამოურკვეველია. სახლი ეკუთვნის გაბაშვილებს.

ქურდ რეციდივისტის დაპატიმრება

გუშინ, სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა თბილისში „საგასტროლოდ" ჩამოსული ცნობილი ქურდი - რეციდივისტი კონსტანტინე პლოტნიკოვი. პლოტნიკოვი დაპატიმრებულ იქნა იმ დროს, როცა ის აპირებდა მოქ. ბილანიშვილის სავაჭროს (საბჭოთა ქ.17) გაქურდვას. გამოირკვა, რომ პლოტნიკოვი ნაქურდალს იბარებდა ვინმე მარტიროსოვთან, რომელსაც შუა ბაზარში საჩეინკლო სახელოსნო აქვს. ს. ს. მილიციამ შეიპყრო მარტიროსოვიც.

მკვლელობა დავითის მთასთან

8 მაისს დილით, არშაკუნის წყაროსთან (მე-2 უბანი, დავითის მთის ძირთან) გამვლელმა მოქალაქემ იპოვა დამორჩილი ახალგაზრდა ქალის გვამი, რის შესახებ, მან დაუყოვნებლივ შეატყობინა სისხლის სამართლის მილიციას.

სისხლის სამართლის მილიცია შეუდგა გამოძიებას ქალის ვინაობის გამოსარკვევად და დამნაშავეთა შესაპყრობათ. დამორჩილი ქალი აღმოჩნდა არაქსი მალხაზოვა - მურადოვისა, რომელიც 4 მაისს აღნიშნულ წყაროსთან გაჰყოლია არ. მალხაზოვს, ან სიმონიანცს, ან. ზაალიანცს და პ. ხუბაევის ქალს.

სეირნობის დროს აღნიშნულ პირებს უსიამოვნება მოსვლიათ მალხაზოვა - მურადოვასთან და თოკით დაუღრჩვიათ იგი. დამნაშავენი შეიპყრეს, ისინი გამოტყდენ მკვლელობაში.

◆ **ნაყინით მოწამვლა.** რუსთაველის გამზირი 12. მდებარე საკანდიტეროში ნაყინით მოიწამლა მოქ. ელისაბედ გელოვანი, რომელიც გადაიგზავნა საავადმყოფოში.

◆ **რძით მოწამვლა.** 21 ივნისს ნიკოლოზ გეგეშიძე მოიწამლა ლენინის ქუჩაზე (№ 10) მდებარე საკანდიტეროდან ნაყიდი რძით. გეგეშიძე მოთავსებული იქნა საავადმყოფოში. კვლევა-ძიება სწარმოებს.

◆ **მცირეწლოვანი ჯიბგირები.** 21 ივნისს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს მცირეწლოვანი არამ პეტრეს ძე აგანეზოვი და ანდრონიკ მიხაკიანცი.

◆ **ცეცხლი.** 21 ივნისს ველიამინოვის ქ. 14 მარიამ ეგიაზაროვის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

◆ **რუსთაველის გამზირზე** სკამზე ჯდომის დროს ივლიანე ჯანელიძეს ჯიბიდან ამოაცალეს 55 მანეთი.

◆ **ქურდი.** 21 ივნისს. ვარანცოვის ქ. 54 აივანზე მძინარე ევგენი ავრუიძეს მიეპარა ქურდი გააძრო ფეხსაცმელები, შემოხსნა ქამარი და როცა კოსტუმის გახდაც დააპირა ავრუიძეს გამოეღვიძა და ქურდი ისრაილ კასუმოვი იქვე დააპატიმრეს.

◆ **მუშკოოპის მაღაზიის გაქურდვა.** 21 ივნისს ღამით კედლის გამონგრევის საშუალებით გაქურდეს საბჭოთა ქუჩაზე მდებარე მუშკოოპის მაღაზია № 3,წაიღეს 5.500 მანეთის საქონელი.

◆ **ქურდობა.** 21 ივნისს 19 თებერვლის ქ. 7 გაქურდეს დავით კაზარიანცის ბინა.

◆ იმავე დღეს კრასნოგორის ქ. 48 გაქურდეს ვასილ ზარქუაიას ბინა. წაიღეს 88 მანეთის ნივთები.

◆ იმავე დღეს კოოპერაციის ქ. 12 გაქურდეს კარლ მაიერის ბინა.

ხელოვნება

ოპერის დირექტორის მოწვევა

საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის ხელოვნების განყოფილების გამგე ამხ. შ. დუდუჩავა ამჟამად მოსკოვში მოლაპარაკებას აწარმოებს ქ. სვერდლოვსკის ოპერის დირექტორთან არკანოვთან მისი მოწვევის შესახებ თბილისის სახელმწიფო ოპერის დირექტორად.

იმ შემთხვევაში, თუ საკითხი დადებითად იქნა გადაწყვეტილი, ამხ. დუდუჩავა არკანოვთან ერთად შეუდგება მომღერლების მოწვევას ოპერის დასისათვის.

შრომის კოლექტივები

საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის ცენტრალურმა გამგეობამ დაადგინა აღძრას შუამდგომლობა შრომის ბირჟის წინაშე, ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმფონიური ორკესტრის შრომის კოლექტივის და სომხური მუსიკალური დრამის შრომის კოლექტივის დამტკიცების შესახებ.

ამასთანავე საშუამავლო ბიუროს ეთხოვა გამოჰყოს შრომის კოლექტივებს პასუხისმგებელი ხელმძღვანელები.

◆ **ზაჰესი.** 25 ივნისს სახკინმრეწვის ყველა კინო-თეატრებში (ეთერი, დარბაზი, აპოლო) ნაჩვენები იქნება სურათი „ზაჰესი", რომელშიც გადაღებულია ზაჰესის მშენებლობის ყველა საყურადღებო სურათები დღიდან მისი დაწყებისა.

კბილის ექიმები

პროვინციისათვის

ამ დღეებში ჯანმრთელობის სახ. კომისარიატში შესდგა კბილის საექიმო სექციის კომისიის სხდომა. რომელზედაც განხილულ იქნა პროვინციისათვის კბილის ექიმების მომზადების საკითხი.

აღნიშნული საკითხის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სექციის გამგე ექ. **მარგველაშვილი**, რომელმაც აღნიშნა, რომ კბილის ექიმების მოსამზადებლათ რესპუბლიკაში არსებობს მხოლოდ ერთი დაწესებულება—კბილის [illegible] კურსები, რომელიც გახსნილია სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ექ. **ჭიჭინაძემ, ურუშაძემ** და სხვ.

სხდომაზე გამოტანილ იქნა დადგენილება, რომლის ძალითაც აღძრულ უნდა იქნეს შუამდგომლობა, რომ აღნიშნული კურსები გადაიდის განათლების კომისარიატის განკარგულებაში.

ყოველწლიურად კურსებმა უნდა გამოუშვან კურსდამთავრებულნი. მიღებული იქნა ზომები, რომ კურსდამთავრებულნი გამოდიოდენ უმაღლესი ცოდნით.

ბორჯომის წყალი

ბორჯომის წყალთა სამმართველომ, რომელმაც მინერალური წყლები და ქარხნები გასულ წელს ჩაიბარა — მიმდინარე წლისათვის შეაკეთა ყველა ქარხნის შენობები, შეიძინა ახალი მანქანები და საფუძვლიანად შეაკეთა ქარხნების ძველი მოწყობილობა. ერთი წლის განმავლობაში ძირითადი კაპიტალის განახლებაზე სამმართველომ დახარჯა 200 ათასი მანეთი. მიმდინარე წლისათვის სამმართველოს განზრახვა აქვს ძირითადი კაპიტალის აღსადგენად გაიღოს კიდევ 300 ათასი მანეთი.

მანქანების და იარაღების შეკეთებამ გააორკეცა ქარხნების ნაყოფიერება.

თუ გასულ წელს ჩამომსხმელი ქარხანა დღეღამეში ავსებდა 16—17 ათას ბოთლს, წელს ქარხნის ყოველდღიური ნაყოფიერება 40 ათასიდან — 50 ათასამდე აღწევს. გასულ წელს შუშეულობის ქარხანა ყოველდღიურად ამზადებდა 17—18 ათას ცალ ბოთლს, ეხლა ამზადებს—30 ათასს.

წყლის ჩასხმის მექანიზაციის შემდეგ ყოველ საათში ივსება 3 000 ბოთლზე მეტი. ამჟამად სამმართველოს ერთს ძირითად ამოცანას შეადგენს — საფუძვლიანად გადააკეთოს და მოახდინოს შუშის ქარხნის მექანიზაცია, რასაც სჭირდება ერთი მილიონი მანეთი

რკინის-გზეზე

დახმარება

გზათა სახალხო კომისარიატმა დააკმაყოფილა ა.-კ. რკ. გზათა გამგეობის შუამდგომლობა ა.-კ. რკ. გზ. დამზღვევ სალაროსათვის დახმარების გაცემის შესახებ. სანატორიუმებისა და დასასვენებელ სახლების შესანახად რკ. გზ. დამზღვევ სალაროს გაეცა 50.000 მანეთი.

ზაჰესში

„ზაჰესის" გახსნის დღისათვის, ა.-კ. რკ. გზ. სამმართველომ თბილისიდან ზაჰესამდე დანიშნა 4 [illegible] მატარებელი. პირველი [illegible] მატარებელი გავა დღის 3 საათზე, [illegible] დაბრუნდება ზაჰესიდან ღამის 12 საათზე.

ახალი ვაგონები

ა.-კ. რკ. გზის სამმართველო მოლაპარაკებას აწარმოებს ომსკის რკ. გზასთან მაგარი ვაგონების რბილ ვაგონებზე. გადასაცვლელათ.

სამსახურიდან დათხოვნა

ა. წ. აპრილში სად. ფუთაში საბარგო მატარებელი № 70 ლიანდაგს აცდა. რაც გამოიწვეული იყო სადგურის მორიგე **გუსეინოვის** დაუდევრობით და გულგრილობით.

ამის გამო უბედურ შემთხვევებთან მებრძოლმა სგზაო კომისიამ დაადგინა მოხსნას სამსახურიდან მოქ. **ჯანგირ გუსეინოვი.**

პურის გადაზიდვა

საქართველოს გზათა სახ. კომისარიატის რწმუნებულმა მიმართა შუამდგომლობით ა.-კ. რკ. გზ. გამგეობას მოახდინოს განკარგულება პურის შეუფერხებლად შემოსაზიდათ საქართველოში.

ქუთაისის ცხოვრებიდან

სახლების შეკეთება

ქუთაისის სახლები ძლიერ დაძველდა და დაზიანდა შეუკეთებლობის გამო.

არის შემთხვევები, რომ სახლები მოუვლელობის გამო პირდაპირ ინგრევა. ზოგიერთი სახლის პატრონი არამც თუ მიუცილებელ საჭირო რემონტს უკეთებს სახლს, პირიქით, განგებ ანგრევს მას და საცხოვრებლად უვარგისად ქმნის, რომ თავიდან მოიცილოს „არასასურველი" მდგმურები, რომელნიც სახლის ქირას არსებული ტარიფით იხდიან.

ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ადგილობრივმა სამაზრო ალმასკომმა და გამოსცა სავალდებულო დადგენილება სახლების შეკეთების შესახებ.

ამ სავალდებულო დადგენილების ძალით სახლის პატრონებს ევალებათ დაუყოვნებლივ შეუდგენ სახლების შეკეთებას, როგორც კაპიტალურს, ისე წვრილმანს. კაპიტალური შეკეთებისათვის მათ ეძლევათ ექვსი თვის ვადა, (ივნისის 20-დან დაწყებული), წვრილმანი შეკეთებისათვის კი — ორი თვის. სავალდებულო დადგენილების შეუსრულებლობისათვის სახლის პატრონი გადახდებათ ჯარიმის სახით 100 მანეთი, ან დაპატიმრებულ იქნებიან ორი თვის ვადით.

საჭიროა — ასეთივე ყურადღება მიექცეს საბჭოთა სახლებსა და სავაჭრო შენობებსაც, რომლებიც (განსაკუთრებით უკანასკნელნი) ძლიერ დაზიანებული არიან და ესაჭიროებათ დაჩქარებით შეკეთება.

კლუბის წევრთა საზოგადო კრება

ივნისის 18-ს, საბჭოთა და სავაჭრო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის კლუბში შესდგა ამ კლუბის წევრთა საზოგადო კრება. განხილულ იქნა კლუბის გამგეობის 8 თვის საქმიანობის ანგარიში. როგორც გამოირკვა, გამგეობას თავის მუშაობაში საკმაო უნარი და ენერგია გამოუჩენია და კლუბი მკვიდრ ნიადაგზე დაუყენებია. შედარებით მოკლე ხნის განმავლობაში მას შეუქმნია საკუთარი დრამატიული წრე, მომღერალთა გუნდი რომელმაც მომღერალთა გუნდების შეჯიბრზე მიიღო ჯილდო, წიგნთსაცავი, სამკითხველო, რადიო-მიმღები, შეუძენია სხვადასხვა ინვენტარი; თვეში ორჯელ - სამჯერ უმართავს წარმოდგენები, კონცერტები, ლექციები და სხვ. საანგარიშო დროის განმავლობაში კლუბს ქონია შემოსავალი სულ 6.100 მანეთი, გასავალი კი 5.800 მ. კლუბის წევრთა რიცხვი 600-ს აღემატება.

საზოგადო კრებამ გამგეობის საქმიანობა დამაკმაყოფილებლად სცნო.

კრების დამთავრების შემდეგ, კავშირისა და კლუბის წევრთათვის გამართა უფასო წარმოდგენა და კონცერტი.

ორიოდე მეგობრული შენიშვნა კლუბის წევრებისა და გამგეობისადმი.

საზოგადო კრება დანიშნული იყო საღამოს 6 საათისათვის; გაიხსნა კი 9-ზე. ზოგიერთი წევრი, 6 საათზე მოსული, პირდაპირ სთვლემდა და დიდ უკმაყოფილებას გამოსთქვამდა გამგეობის მისამართით კრების გახსნის ასე დაგვიანებისათვის. ბევრმა კიდეც დასტოვა დარბაზი და შინ წავიდა. აქ, რასაკვირველია, მეტი დანაშაული მიუძღვით კავშირის იმ წევრთ, რომელნიც დანიშნულ დროზე არ ცხადდებიან და თავის დროზე მოსულ ამხანაგებს 2—3 საათით აყურყუტებენ და უნაყოფოდ აკარგვინებენ დროს. მაგრამ არც გამგეობაა უდანაშაულო, რომელიც ასეთი სამწუხარო მოვლენის წინააღმდეგ სათანადო ზომებს არ ღებულობს.

საკმაოდ ხშირად დავდივართ კლუბში და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ წარმოდგენა, ლექცია, თუ სხვა რამ თავის დროზე დაწყებულიყოს და 1—3 საათამდი ცდა არ დავვჭირვებოდეს. დროს დაუფასებლობა და ამხანაგების უპატივცემულობა ჩვენი უკულტურობა, უდისციპლინობაა. უნდა მივიღოთ ზომები მის მოსასპობად.

ქვ. ამხანაგი.

სასამართლო

აქა ამბავი მილიციის უფროსის გამიჯნურებისა

1926 წლის დასაწყისში ჭოპორტის რაიონში (დუშეთის მაზრა) სოფელ ახატანში, რომელსაც თავს ესხმოდა ყაჩაღი ფავლენიშვილი, მილიციის უფროსად დაინიშნა მოქ. სტეფანე ქილიფთარი.

მკითხველი მოუთმენლად მოელის ამბავს ქილიფთარის ზომების შესახებ ფავლენიშვილის წინააღმდეგ.

მაგრამ აქ ყაჩაღი ფავლენიშვილი მკითხველმა უნდა დაივიწყოს ისევე, როგორც ის დაივიწყა „სტეფანემან, ვითა გმირმა".

ქილიფთარის რაზმი მებრძოლთა რაზმს აღარ წარმოადგენს. მოხდა „რეორგანზაცია". შეიცვალა ფუნქციები.

სტეფანე სათავეში უდგას მაჭანკალებს, რომლებიც მუდამ დღე დადიან ქვრივ მაშო ღარიბაშვილის სახლში... უქებენ მათ უფროსს და სთხოვენ, რომ მაშომ თავისი ქალიშვილი დენა მიათხოვოს სტეფანეს, რადგან მას დეუნა ძალიან მოსწონს, მოსწონს კი არა, უყვარს ისე, რომ დნება და „ბნედა" მოსდის..

— თუმცა გაჭირვებული ვარ, მაგრამ ქალს ვერ გავათხოვებ, ჯერ ძალიან ახალგაზრდაა, —უპასუხებს მაშო შეიარაღებულ მაჭანკლებს.

როცა მოციქულებმა ჰკადრეს ეს პასუხი „სწორ უპოვარს", სტეფანე განრისხდა და ბრძანა, რომ ყველანი წაყოლოდათ ქვრივ მაშოს მაზლის მოსე ღარიბაშვილის სახლში

წინააღმდეგობას ვინ გაბედავდა..

მოსე ღარიბაშვილის დაუპატიჟებელი სტუმრები სადღეგრძელოებს სვამენ... გადადიან ალავერდს. სტეფანე დგება და ბრძანებს:

— კაცი გაგზავნეთ და მაშო ღარიბაშვილი აქ მოაყვანინეთ! ჩქარა!

მაშო მოჰყავთ. ჩვენი „გმირი" ეხლა უკვე ბალღივით გულჩვილია. თავ ჩაქინდრული ზის, ვითომ, მზად არის ტირილი მორთოს ისე აწვალებს „ტრფობა". ტრისტანია სანახეეროდ!

დაღვრემილი ვაჟკაცის მუდარამ მოალბო მაშოს გული. ის თანხმაა თავისი ქალი მიათხოვოს სტეფანეს...

— აბა, ეს 30 მანეთი იყოს ნიშნის სახით. ეხლა კი ამხანაგებო, მომილოცეთ ბედნიერება...

— რა ვიცი იქნებ ცოლ-შვილიც კი გყავთ, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ ეს იკადროთ...

— როგორ გეკადრებათ, როგორ გეკადრებათ,—მიაძახეს.

სჭექს მრავალჟამიერი...

სტეფანე ქეიფობს ღარიბაშვილის ოჯახის ხარჯზე. შემოაკლდა ფული.

— სიდედრო, ჩემგან მიღებული 30 მანეთი, თუ შეიძლება, „სესხის" სახით ვადმომეცით რამდენიმე დღით.. და...

— [illegible], შვილო.

გავიდა „რამდენიმე დღე".

— სიდედრო, მთებში მივდივარ და იქნებ ეს „ფუფაიკა" მათხოვოთ „რამდენიმე დღით", თუ არ გეწყინებათ!

— ინებე, შვილო.

სტეფანემ ყველაფერი „ინება", რასაკვირველია.. და ერთ დღეს გაქრათ ვალიდან.

თვალცრემლიანი დაეძებდა მაშო თავის „სიძეს". აქამდ, თუ ფიქრობდა ფავლენიშვილთან შებმის დროს დაიღუპა!

როგორ თქვენ ჩან-ძო-ლინი არ გინახავთ, ისე სტეფანეს—ფავლენიშვილი.

დაიკარგა სიძე უგზო-უკვლოდ.

გაიკითხა, გამოიკითხა მაშომ დაკარგულ რაინდის ამბავი. რაიონულ მილიციაში უთხრეს, რომ გორის მაზრის მილიციაში ირიცხებაო.

მაშომ რომ ეს ამბავი გაიგო, სიხარულით ცას სწვდა. მაშინვე მოემზადა და ესტუმრა „სიძეს".

მაგრამ ვაი ასეთ სტუმრობას! სტეფანე ქილიფთარი დატვირთული ყოფილა ცოლ-შვილით.

ის მიცემულია პასუხისგებაში და მისი საქმე ამ დღეებში გაირჩევა ოლქის სასამართლოში.

გერ.

მოწაფის დაჭრა მოწაფის მიერ

მესამე შრომის სკოლის მოწაფემ ფრიდრიხ ყორყოლიანმა ამას წინად მესამე გაკვეთილის შემდეგ დასვენების დროს დანით დასჭრა თავისი ამხანაგი არჩილ დადიანი.

ამ შემთხვევას წინ უძღოდა შემდეგი ვარემოება: არჩილ დადიანსა და ფრიდრიხ ყორყოლიანს თამაშობის დროს მოსვლიათ ჩხუბი. დადიანს სილა გაურტყამს ყორყოლიანისთვის. უკანასკნელს შემოუკრავს სახეში დადიანისთვის. არჩილ დადიანს მეორეჯერ ისე ძლიერ გაურტყამს სილა ყორყოლიანისთვის, რომ უკანასკნელი წაქცეულა. ცოტა ხნის შემდეგ ყორყოლიანი წამომდგარა ზეზე, და როცა დადიანი მიბრუნებული იყო მისკენ ზურგით, მივარდნილა და დანა დაურტყამს ფეხში და მიუყენებია საგრძნობი ჭრილობა.

ყორყოლიანი მისცეს პასუხისგებაში.

ამ საქმის გარჩევა დაიწყო გუშინ, 22 ივნისს. ოლქის სასამართლოში. მოწმეების დაკითხვა უკვე დამთავრდა, დაიწყო მხარეების კამათი.

სასამართლოს შემადგენლობა: თავმჯდომარე —ამხ. **ბურკაძე**, სახალხო მსაჯულები: **ჭელიძე** და **ხუჭუა**, პროკურორი — **კიკაბიძე**, მდივანი — **ტატიშვილი.**

განაჩენი ყაჩაღების საქმეზე

აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სესიამ სიღნაღის მაზრაში, სოფ. გურჯაანში ამხ. ბერიშვილის თავმჯდომარეობით გაასამართლა ყაჩაღები: **გიორგი ივანესძე მანიჯაშვილი, სოსო დათასძე გელაძე, გიორგი სიმონისძე ბუალაშვილი და ნასყიდა ავეტისძე სულხანიშვილი.**

ოთხივე ბრალდებულს სისტემატიური თავდასხმის, მკვლელობისა და მძარცველობისათვის სისხლის სამართლის კოდექსის 191 მუხლის ძალით სასამართლომ მიუსაჯა უმაღლესი სასჯელი—**დახვრეტა.**

მსჯავრდადებულებმა ოლქის სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს უზენაეს სასამართლოში, რომელიც ამ დღეებში გაარჩევს საკასაციო საჩივარს.

ღამის გასათევი სახლი

თბილისის ალმასკომის კეთილმოწყობის განყოფილება უკვე შეუდგა ღამის გასათევი სახლის აგებას ფეიერვერკის ქუჩაზე—რკინის გზის სადგური ახლოს, ყოველგვარი საშენებლო მასალა სახლის ასაგებად მომარაგებულია და ადგილზეა მიტანილი. სახლი შენდება უბინაო უმუშევრებისა და სამუშაოთ ჩამოსულ პირთათვის დროებით თავშესაფარის მისაცემად. ერთდროულად სახლი დაიტევს 300 კაცს, სახლის აგება დამთავრდება მომავალი წლისათვის.

კოდორის აგარაკი

ა.-კ. უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ აუცილებლად სცნო ახლო მომავალში დაწყებულიქნეს კოდორის სატყეო აგარაკის შესწავლა. რისთვისაც საქართველოს სახკომსაბჭოს და ა.-კ. საგეგმო კომისიას დაევალა კოდორის აგარაკის გამოკვლევა და მოწყობა შეტანილი იქნეს ამიერ - კავკასიის სატყეო მეურნეობის ხუთწლიან პერსპექტიულ გეგმაში.

აგარაკის გამოკვლევისა და მოწყობისათვის საჭირო თანხები გათვალისწინებული უნდა იქნეს 1927—28 წლის ბიუჯეტში.

ბიბლიოგრაფია

„მემარცხენეობა"

ქართველ „ფუტურისტების" ალმანახი

თბილისი—1927 წ. გვ. 84.

დეკლარაციიდან ვგებულობთ, რომ სარეცენზიო ალმანახში „გაერთიანებული" წვრილბურჟუაზიული ახალგაზრდობა **გარეგნულად** სიმბოლისტურ აზროვნებას ებრძვის, სურთ **„იგრძნონ ახალი საზოგადოებრივი დგამი (!) და საბჭოთა საქართველოს მასალებრივი სპეციფიკა"** და სხვ.

ამისათვის გადავხედოთ მათ „მხატვრულ პრაქტიკას"!

ერთი „მემარცხენე" მელექსეს განწყობილება ასეთი ტიპისაა:

„ჩვენ ვართ მტრედები—ვერიდებით მარტო ხეტიალს
კენგივით ვდგევართ ქვეყანაზე და ვიფერფლებით.
სევდა გვაყრია ნაბადივით ყოველის მხრიდან,
შორს მთაწმინდაზე დაკაწრულებს დავაწყობთ ფიქრებს".

ან: **„ვფრინავთ ჰაერში, მეგობრებო როგორც ბურუსი**
და ქვეყნის ზურგზე ჩვენ თბილისის მზეს ვეფიცებით" და სხვ.

ლიფსიტა მელექსე ნ. ჩაჩავასათვის ავტომობილი „სახედარი", „პირუტყვი" ყოფილა.. (იხ. „ლაპარაკი შოფერთან"...) თურმე „მემარცხენეობა" ყოფილა საჭირო, რომ ს. ს. რ. კ. ინდუსტრიალიზაციის ხანაში **ავტო ვირისათვის შეგვედარებინა და საჭე ულლისათვის,** ს. ჩიქოვანი ვიღაც „კისეიან" დედაკაცთან ერთად მოგზაურობს... წვიმს... სასტიკად დასველდენ... და უსალამოვდათ.. „ლექსიც" თავდება; ეს ობივატელური განწყობილება დამძიმებულია სინესტის რევმატიზმის მისტიკით.

„წვიმა წუხილს შლის ამ მწუხრს აკნესებს
წვეთთა სიმები დანესტავენ ღრუბლების ნაღველს
მთაწმინდის წუხილს ეს წვეთები ესხურებიან
სოველი ვრჩებით მსოფლიოში მხოლოდ მე და შენ
შემოდის წვიმა ყოველ რბილში ნეკრესებივით" და სხვ.

განწყობილებათა ასეთი პატალოგია, დამძიმებული სიმბოლიზმი, ტ. გრანელის პესიმიზმის და ელეგიურობის განვითარება და მემარცხენეობა?!! არ შეიძლება პატივცემულო მელექსენო „მემარცხენეობიდან" სპეკულიაცია მემარცხენეობით. მემარცხენეობა „მამულიშვილობა" არ არის, რომ რესტორანიდან რესტორანამდე გზა და გზა წარამარა აცოდვილოდ და ახუროდვოდ!...

ს. ჩიქოვანი მიმართავს ნ. ბარათაშვილს („მიძღვნა ნ. ბარათაშვილს" **დაპირისპირების განწყობილება** კი არაა, როგორც მაგ. **ალიო მაშაშვილის „მე და ბარათაშვილი"**, არამედ **ბარათაშვილისეულ რომანტიზმის მობრუნების რეაქციონური** ცდა) და „გოდებს დღეთა დაფაზე გადაუშლელ **ჭეშმარიტებას, და გრძნობები ეჩვენება ხალხის ფეხებით ნათელი და გადაცელილი"**, (sic!) „შევასო ბარათაშვილის გრძნობები, რომ დამდგარიყო **ქვეყნად სუნი მაგნოლიების"** და სხვ. ყველა ამის შემდეგ „მემარცხენე" მგოსანი კომიკურად აცხადებს: „ამ საუკუნის მე ვარ საყვირიო". (sic!)..

პროზის განყოფილებაში ნაწყვეტები დამაკმაყოფილებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დ. შენგელაიას და ბელიაშვილის ზოგიერთ ყალბ და საეჭვო მომენტებს.

„მემარცხენეების" თეორია: ვიწრო კუსტარული—ეკლექტიური ხედვა, იდეოლოგიური გაუგნებლობა, რაც ძირითად **პოლიტიკურ რევიზიას** საჭიროებს, დილეტანტი ბ. ჟღენტი ყველგან და ყოველთვის მოძველებულ და მტვერწაყრილ „ფორმულებს" იმეორებს, როგორიცაა: **„ფორმალური და არა თემატიური" რევოლიუცია"** და სხვ.

რაც შეეხება „პროდუქციის" ხარისხობრივ „ზრდას", ლექსის შენების და თქმის ახალ ტეხნიკაზე **ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია:** 20 მარცვლოვანი მივიწყებული ლექსის რესტავრაცია, ლექსის რომანტიული დამუშავება, განწყობილების შეუკვრელობა, მისტიური კოლორიტი, მეგრულ სიტყვების საეჭვო კონსტრუქცია, პლაგიატი და სხვ. ანალოგიური „მიღწევების, მაგალითად „ღრუბლების კრიახის" შემდეგ მართლაც რომ უფლება აქვთ **ცინიკურად, თავაგდებულად და უპასუხისმგებლოდ შემდეგი განაცხადონ:**

„ჩვენ ვართ დასრულებული და უკანასკნელი მიღწევა ქართულ ხელოვნების" (sic!)

ასეთია **„ცისფერ ყანწელების" გადაგვარებულ ნარჩენების უკანასკნელი გამოფენა.**

პროვოკაციულია და უპასუხისმგებლო ვინმე ს. ჩ—ს „ბიბლიოგრაფია" ჟურ. **„პროლეტარულ მწერლობა"-ზე.**

საერთოდ ალმანახი სოციალისტურ მშენებლობის პერიოდში თანდროულობიდან დაცილების განწყობილებას ანვითარებს, რომელიც შეთავსებულია აგრეთვე **შემოქმედებით უუნარობასთან.**

ლიტერატორი.

ნავთსადგურებში

საქ შრომის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა დადგენილების პროექტი ფოთის ნავთსადგურში ავდარში მუშაობის შეწყვეტისა და ამის გამო გაცდენილ დროისთვის ჯილდოს მიცემის შესახებ. დადგენილების მიხედვით ფოთის ნავთსადგურში დიდი წვიმების ან სხვა მძიმე ატმოსფერულ მოვლენების დროს ცის ქვეშ წარმოებული მუშაობა შეწყვეტილი იქნება. ასეთ ამინდებში არ იწარმოებს შავიქვის, ქვანახშირის, ცემენტის, დაფნისფოთლის, ბამბის, ჩაის და სხვ. გემებზე დატვირთვა და გადმოტვირთვა. ავდრის გამო გაცდენილ დროისთვის მუშა-მოსამსახურეთ ეძლევათ საშუალო ხელფასი.

მეცნიერება და ტეხნიკა

უდიდესი გვირაბი

მიმდინარე წლის ივლისში შეერთებულ შტატებში. ქ. დენვერის ახლო დამთავრდება მაფფატის გვირაბის გაყვანა. გვირაბი გაყვანილია კლდეებში, იგი იქნება ყველაზე გრძელი სარკინიგზო გვირაბი მსოფლიოში, მის გათხრაზე 1923 წლიდან მუშაობს 650 კაცი. მისი გაყვანა დაჯდა 12 მლიონი დოლლარი. გვირაბის გათხრის დროს ააფეთქეს 3.000.000 ტონა კლდე, რაზეც დაიხარჯა 2.500.000 გირვ. დინამიტი.

„107"

გერმანიის ექიმებმა ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს ახალი საანესტეზიო საშუალება ცნობილ „107" სახელწოდებით, რომელიც წარმატებით გამოსცადეს რამოდენიმე ასეულ ქირურგიული ოპერაციის დროს. „107"-ს მრავალი უპირატესობა აქვს ხლოროფორმისა და ეთერის წინაშე: მისი გამოყენების დროს, ავადმყოფის პულსი და სისხლის მიმოქცევა ნორმალური რჩება. გულზე, ფილტვებზე და ნერვულ სისტემაზე ანესტეზია არავითარ გავლენას არ ახდენს და ოპერაციის მოხდენა (თუგინდ ამან დიდი დრო მოითხოვოს) შეიძლება ავადმყოფზე. რომელსაც ფილტვების ანთება აქვს, აქვს გულის მანკი, ან შეპყრობილია ჭლექით (მძიმე ფორმებში), სრული ანესტეზიის მისაღწევათ „107"-ის განსაზღვრული ხსნარი რეზინის მილის საშუალებით შეჰყავთ ნაწლავებში, საიდანაც იგი სისხლს უერთდება. ამრიგად ოპერაციების დროს საჭირო აღარ არის ნიღაბის ხმარება და ახალი საანესტეზიო საშუალება ფართე პერსპექტივებს უშლის ოპერაციებს სახეზე, კბილში და ყელში.

ნარევი

უხელო მხატვარი

ცნობილმა კალიფორნიელმა მხატვარმა ვილიამ ჯონსმა უბედური შემთხვევის გამო დაკარგა ორივე ხელი და ხელოვნური ხელებით [illegible] ხანგრძლივი მეცადინეობით [illegible] შეეჩვია ხელოვნურ ხელებს, რომ დაუბრუნდა თავის საყვარელ [illegible] მხატვრობას.

საათი-სალარო

სკანდინავიის ქვეყნებში და ავსტრიაში ხმარებაში შემოვიდა განსაკუთრებული საათი-სალარო. საათი იმართება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში ჩააგდებენ ფულს. ამრიგად საათის პატრონმა ძალაუნებურად უნდა მიმართოს ფულების შენახვას, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში საათი არ ასრულებს თავის დანიშნულებას. საათები გამოშვებულია დამზღვევ საზ-ბის მიერ, რომელიც ამ გზით აგროვებს დაზღვევის პრემიებს. დამზღვევ საზ-ბის სპეციალური აგენტი ყოველთვიურად მიდის დაზღვეულის ბინაზე, აღებს საათს, [illegible] ფულებს და პატრონს აძლევს ხელწერილს [illegible] მიღებაში. განსაზღვრული ვადის [illegible] საათი სალარო გადადის დაზღვეულის კუთვნილებაში.

დამზღვევი სალარო ცხოველებისათვის

ბავარიის მსგავსად ბერლინშიც მოეწყო დამზღვევი სალარო ცხოველებისათვის. ამ კასის მონაწილეები შესაფერი „საავადმყოფო ფურცლებით" იღებენ ფულებს ავადმყოფ ცხენების და სხვა საქონლის სამკურნალოდ.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ქალ. ზესტაფონში მცხოვრ. ნიკ. გოწაძეს

პასუხი

თანახმად მიწის კოდ. მუხ. 24-ისა სათანადო განცხადებით თქვენ უნდა მიმართოთ ადგილობრივ სარაიონო საადგილ-მამულო სასამართლო კოლეგიას, იგი ვალდებულია კანონიერ ფარგლებში აღადგინოს მიწის მფლობელობაში.

მოლარე ს. ი. ჩიტაძეს

პასუხი

თანახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 82-სა, როდესაც მუშა ან მოსამსახურე გადაჰყავს ადმინისტრაციას ერთი ადგილიდან მეორეში ბინადრობის გამოცვლით, იგი ვალდებულია გადაყვანილს მისცეს საგზაო ფული, დღიურები და დამატებით ექვსი დღის ხელფასი ყოველ დღიურად თვიურ ხელფასის არა ნაკლებ ერთი მეოცდაოთხედი რაოდენობისა. ამას გარდა მასვე უნდა მიეცეს ერთდროულად დახმარება მისი თვიური ხელფასის რაოდენობით, მისი წინანდელი სამსახურის მიხედვით. გარდა ამისა, თუ კი მასთან გადავლენ საცხოვრებლად მისი ოჯახის წევრები (ცოლი, შვილები 18 წლამდე და მოხუცი დედ-მამა) თითეულ წევრზე მასვე უნდა მიეცეს დახმარება მისი თვიური ხელფასის არა ნაკლებ ერთი მეოთხედისა

გირჩევთ მიმართოთ შემფასკომს ან და შრომის სასამართლოს.

კავშირის წევრს (წიგნ. № 5381) ვანო გეგეშიძეს

პასუხი

როგორც კავშირის უმუშევარი წევრი საცხოვრებელი მოედნის თითეულ კვადრატ. მეტრზე ბინის ქირას გადაიხდით არა უმეტეს ოთხი კაპეიკის რაოდენობით. ამაზე მეტს სახლის პატრონი ვეღარ მოგთხოვს და ვერც გამოგასახლებს ბინიდან. (იხ. სამოქ. სამართლის კოდ. მუხ. 166)

თამბაქოს ქარხნის მომუშავე კავშირის წევრს (წიგნ. № 1793) კ. ცეცხლაძეს.

პასუხი

ბინის ქირად თითეულ კვად. მეტრზე თვიურად გადაიხდით, როგორც თვიურად 130 მან. მიმღები თუ კი ეს ხელფასი სატარიფო განაკვეთითაა და არა პერსონალური 36 კაპეიკის რაოდენობით. (იხ. საბ. ტარიფის მუხ. 4).

რადგან ოთახი ქალაქის განაპირა უბანშია, ამიტომ ბინის ქირა უნდა განახევრდეს (ე. ი. გადაიხდით 18 კაპ. თითეულ კვად. მეტრზე.

ა. კ. რკინის გზათა მთავარ სახელოსნოს მუშას. კავშირის წევრს (წიგნ. № 16132). ამხ. ალ. სურამავას.

პასუხი

თანახმად სამოქ. სამართლის კოდექსის მუხ. 159-და 178-ისა, ძირითადი (კაპიტალური) რემონტი უნდა გაუკეთოს სახლს და ბინას სახლის პატრონმა თუ კი იგი ამაზე უარს იტყვის და ბინას თვით მდგური შეაკეთებს, ამ უკანასკნელს აქვს უფლება ბინის ქირიდან დაუჭიროს სახლის პატრონს რემონტზე დახარჯული ფული.

ბინის ძირითადი რემონტი თქვენ გვაკეთებიათ და თავისთავად ცხადია, რომ თქვენ გაქვთ უფლება სახლის პატრონს რემონტზე დახარჯული ფული ბინის ქირიდან დაუჭიროთ.

კავშირის წევრს (წიგნ. № 10357) ივ. უჩავას

პასუხი

თანახმად საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. 20 მარტის დეკრეტის მუხ. 10-თისა (გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი-"ს № № 99 და 101-ში 1927 წ. 5 და 7 მაისიდან). გირჩევთ მიმართოთ აღმოსავლეთ საქართველოს და სახლის პატრონს, როგორც ხელშემწეს (საბინაო საქმეთა პროკურორს ამხ. ჩუბინეიშვილს).

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელი განყოფილება** სთხოვს ქვემოდასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტის საღრიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი 34) ამხ. **თარხნოვთან.**

1) ისააკ მარ. ბლიუგლარი, 2) ბესარიონ გრიგოლის ძე კაჩეიშვილი, 3) ვასალია პავლეს ასული კალანდაძე, 4) ა. ჩხუბიანი.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის აგიტპროპკოლეგიის სხდომა** შესდგება დღეს, 23 ივნისს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის აგიტპროპგანყოფილებაში.

— **ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების მეორე რაისაბჭო** იუწყება, რომ ხუთშაბათს 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე, რაიკომის ბინაზე (პლეხ. 96), **მოწვეულია რაისაბჭოს გაფართოებული პლენუმი** უჯრედთა ბიუროების მდივნებთან და წევრებთან ერთად.

— **საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომი** წინადადებას აძლევს ქვემოდასახელებულ ამხანაგებს გამოცხადდენ ხუთშაბათს 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე რაიკომის საღრიცხვო - განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. გოგოლაძესთან.

1) პავლე ბაიანდუროვი, 2) ნინა საკურაშვილი, 3) გიორგი ახმეტელაშვილი, 4) აკოპ ბაიანჯიანი, 5) არამ გევორკოვი, 6) ი. კარავაევი, 7) სტეპან ასლამაზოვი. 8) ივანე ვასილიევი, 9) გრიგოლ გაჩავა, 10) გრიგოლ არუთუნოვი, 11) გრიგოლ მიროტაძე, 12) ვალერიან დაშნიანი, 13) მამიკონ სარქისოვი, 14) ალექსანდრე ვართანოვი, 15)დავით ტომარაძე, 16)მიხეილ ფას, 17) ნიკოლოზ დავითაძე, 18) ადამ ჯავახოვი, 19) თედორე პოტანოვი, 20) შალვა კოტორაშვილი, 21) მიხეილ სარუხანოვი, 22) ვალერიან დამშევსკი, 23) ანასტასია მელნიკოვა, 24) მიხეილ ლინევი, 25) მიხეილ სიდორენკო, 26) მიხეილ ავანესოვი, 27) ივგენი კერესელიძე, 28) მიხეილ კაზაროვი, 29) სერგეი ჯიხვარია, 30) გიორგი ტომაევი, 31) ბეჯლარ ასატოვი, 32) ხაჩიკ დავთიანი, 33) ალექსანდრე რუხაძე, 34) იაკობ საგატელოვი, 35) გრიგოლ გრემოვი, 36) დავით ხორხელაური, 37) იმან სემიონოვი, 38) ვასილ ვოროტნიკოვი.

— ხუთშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 ნახ. საათზე, ს. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპში მოწვეულია რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მუშფაკების კურსდამთავრებულთათვის ადგილების განმანაწილებელ კომისიის სხდომა, რომელზედაც უნდა დაესწრონ აუცილებლად შემდეგი ამხანაგები: თათარიშვილი, მეძმარიაშვილი (გან. სახ. კომ.), ასრიბეკოვი, მხიტაროვი (პრ. კავ. ქ. განყ.), ჯაფარიძე (ც. კ. ქალ. განყ.), ორაგველიძე (კ. ქ. ცეკა) და მდივანი პრ. ს. ცენტრ. ბიურო).

— პარასკევს 24 ივნისს, 10 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტში, რექტორის კაბინეტში **მოწვეულია გაერთიანებულ უჯრედის ბიუროს საგანგებო სხდომა,** რომელსაც უნდა დაესწრონ ფაკულტეტის უჯრედის მდივნები.

უნდა გამოცხადდენ ის ამხანაგები, რომელთაც შეტანილი აქვთ განცხადება პარტიაში მიღების შესახებ.

— თბ. სახ. უნ. სამკ. ფაკ. ა. ლ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება ყველა წევრთა და კანდიდატთა საყურადღებოთ, რომ დღეს ხუთშაბათს, 23 ივნისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია ამავე უჯრედის კრება. დასწრება სავალდებულოა, როგორც წევრთა, ისე კანდიდატებისათვის. ბიუროს წევრები ვალდებულნი არიან გამოცხადდენ 1 საათით ადრე, ე. ი. 5 საათზე.

— სახ. უნ. სოც. ეკ. ფაკ. ალ. კ. კ. უჯრედის ბიურო იტყობინება ქვემოთდასახელებულ ამხ: საყურადღებოთ, რომ ისინი ვალდებულნი არიან გამოცხადდენ ბიუროში ორი დღის განმავლობაში 12—2 საათამდი საკავშირო ბილეთების მისაღებათ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბილეთები დაუბრუნდება რაიონულ კომიტეტს:

ახალაძე გიორგი, რაფავა ივანე, ლეიაშვილი, კუპატაძე, ტოროტაძე ქეთო, მამალაძე ალექსანდრე, ზოდვა ანდრო, მაიროვი ბიქტორ, ნოზაძე ნიკოლოზ, გვეკვეცია არჩ., რუხაძე ივანე, ხუბუკელაშვილი, თოთიბაძე, აბულაძე, სვანიძე, კერესელიძე. ბახტაძე სერგო, მაჭავარიანი ვ., ლევიძე კონსტ., ფარცხალაძე, ფანცხავა, კუხაშვილი, კვაჭაძე, ცაგარეიშვილი დავით, გორგილაძე; თევდორაძე, ქაცარავა, პირველი ბიძინა, ცერცვაძე ნინო, ხვედელიძე სერგო, მდივანი, მდივანი ვლადიმერ, სახაროვი.

„კომუნისტი"

დიდი პოლიტიკური გაზეთი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა
და
თბილისის კომიტეტის
და
სრულიად საქართ. მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და
მეზღვაურთა ცენტ. ალმასრულებელი კომიტეტის ორგანო

მიიღება ხელისმოწერა წლის მეორე ნახევარზე

გაზეთი ეღირება

მუშა-მოსამსახურეთა, გლეხების, წითელარმიელების, მოწაფეებისა და მასწავლებლებისათვის

1 თვით	1 მან.	3 თვით	2—90	5 თვით	4—80
2 „	2 „	4 „	3—85	6 „	5—75

დაწესებულებათა, ორგანიზაციებისა და კერძო პირთათვის

1 თვით	1—30	3 თვით	3—80	5 თვით	6—25
2 „	2—60	4 „	5—00	6 „	7—55

საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებში

1 თვით.	1 მან. 50 კ.
1 წლით	18 მან.

საზღვარ-გარეთ

1 თვით	1 ნახ. დოლ.	6 თვით.	8 ნახ. დოლ.
3 „	4 „	1 წლით	16 „

0—1

სია

იმ პირთა და ორგანიზაციათა, რომელნიც გატარებულნი არიან რეგისტრაციაში ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოში. (გაგრძელება № 10).

№№ რიგ.	რეგისტრაციის დრო	საწარმოოს მეპატრონე	მისამართი	საწარმოოს საგანი	ძირითადი კაპიტალი	სარეწ. მოწმობის ხარისხი
238	11 ივნისი 27წ.	მაჭარაძე აკაკი ერმილეს-ძე	ქ. ხონი წულუკიძის ქ. № 65.	სასადილო	100 მ.	მე-4-ხე
239	„	სიმონიძე ნოე სოლომონის-ძე	„ წულუკიძის ქ. № 5.	„	100 „	„
240	„	გიორხელიძე მელიტონ ლუკას-ძე	„ წულუკიძის ქ. № 13.	„	100 „	„
241	„	მუშკუდიანი გიორგი ნესტორის-ძე	„ წულუკიძის ქ. მე-2 შესახ. № 11.	„	200 „	„
242	14 ივნისი	ქუთაისის სამაზრო ალმასკომი	ქუთაისი კუთხე წულუკიძის და 1905 წლ. რევოლიუც. ქუჩებ.	საფართლო	11267 მ. 83 კ.	მე-6-ე
243	„	კირვალიძე გალაქტიონ ივანეს-ძე	ქუთაისი წულუკიძის ქ. № 50.	სასადილო	300 „	მე-4-ე
244	15 ივნისი	ფიჩხაძე ისრაელ მათათიას-ძე	„ ა. წერეთლის ქ. № 7.	ფქვილის საწყობი	6500 „	„
245	„	გელენიძე გიორგი ანდრიას-ძე	„ რ. ლიუქსემბურგის ქ. № 6.	სასტუმრო	500 „	„
246	„	ობოლაძე რაჟდენ დიმიტრის-ძე	დაბა ხრესილი.	სასადილო	200 „	„
247	„	ქარქაშაძე ერისტო ვასილის-ძე	დაბა ხრესილი.	„	200 „	„
248	„	გვენეტაძე ალექსანდრე ბესარიონის-ძე	დაბა ხრესილი.	„	200 „	„
249	„	ვაჩაძე სილოვან ნიკოლოზის-ძე	ქუთაისი მე-3 ინტერნაც. ქ. № 87.	„	200 „	„
250	„	მორჩაძე ილიკო კონსტანტინეს-ძე	სოფ. ორპირი.	„	100 „	„
251	„	ჭეიშვილი ირაკლი ექვთიმეს-ძე	ქუთაისი წულუკიძის ქ. № 191.	„	500 „	„
252	„	ჭეიშვილი დავით მარკოზის-ძე	„ ქ. ლიბკნეხტის ქ. № 30.	„	300 „	„
253	„	ჭეიშვილი დავით მარკოზის-ძე	სოფ. წყალტუბო.	„	300 „	„
254	„	სააქციონერო საზ. „ტრანსპორტი"	ქუთაისი ა. წერეთლის ქ. № 12.	სატ. ოპერაც. წარმოება	საკუთ. თანხა არ აქვს	„
255	„	ასათიანი პლატონ ტარასის-ძე	ქუთაისი ტროცკის ქ. № 11.	„	300 მ.	„
256	16 ივნისი	მანაგაძე სარდიონ იაკოფის-ძე	სოფ. ნაშზვანი.	„	100 „	„
257	„	ჩიხლაძე გიორგი მაქსიმეს-ძე	სოფ. წყალტუბო.	„	200 „	„

ა.-კ. ვაჭრობის სახკომის რწმუნებულის სამმართველოს საქმეთა მმართველი **შ. მჭალობლიშვილი.**

ნ. 1355.

სავაჭრო რეგისტრაციის განყოფილების გამგე **ქ. ორჯონიკიძე**

მიიღება ხელისმოწერა 1927 წლისათვის

ყოველთვიურ

სამკურნალო სამეცნიერო ჟურნალ

„თანამედროვე მედიცინა"-ზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმის გამოცემა.

ჟურნალში შემდეგი განყოფილებებია:

თეორიული მედიცინა, კლინიკური მედიცინა, პრაქტიკული მედიცინა, საზოგადოებრივი მედიცინა, მიმოხილვები, ბიბლიოგრაფია, რეფერატები და სხვ.

თვითეულ ორიგინალურ შრომას დართული აქვს ავტორეფერატები რუსულ და ფრანგულ ენებზე.

ჟურნალის ფასი:
1 წლით . . 10 მან.
½ წლით . . 5 მან.
ცალკე ნომერი 1 მან.

რედაქციის მისამართი: პლეხანოვის გამზირი № 58, ცენტრ. კლინიკ. ინსტიტუტი—ნერვ. სნეულებ. კლინიკა.

3062 25—1

ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლ. ს. სვისტოდუხოვი

ამით აცხადებს, რომ ის 28 ივნისს 1927 წ. დღის 12 საათზე სახლში № 57 კომუნალურ ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ისმაილ-ისა-სალილ-ოღლის მოძრავ ქონებას: ბინის მოწყობილებას შეფასებულს 291 მანეთად, სევკავტორგის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის მე-2 რაიონის სახალხო სასამართლოსაგან 11 აპრილს 1927 წ. თარიღით, № 1532 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1—1 3114

ზუგდიდის და ხობის უბანთა სახ. სასამართლოების აღმასრულებელი ი. დგებუაძე

ამით აცხადებს, რომ 3 ივლისს 1927 წ. დღის 12 საათზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** საჯიჯაოს თემის ალმასკომის სამმართველოში საჯიჯაოს თემის მოძრავი ქონების—ბორანის ჯაჭვისა და 28 საავიაციო ბოძების გასაყიდათ. ქონება შეფასებულია 386 მან. და იყიდება დასაკმაყოფილებლად ლევანი თირქიას და სხ. ვალისა, თანახმად ხობის უბნის სახალხო სასამართლოსაგან 30 ნოემბრის 1926 წ. თარიღით № 5965 გაცემულ აღმასრულებელი ფურცლისა.

საჯარო ვაჭრობა დაიწყება შეფასებული თანხიდან.

ნ. 1356

ეთერი
(სახელმწ. ოპერის ბაღში)

დარბაზი
(ბაღში, პლეხანოვ. № 91)

აპოლლო
(არტის ბაღში).

0—19 ნ. 1289

პირველად თბილისში! სეზონის საუკეთესო სურათი
„ბანდიტი ქალი" მთავარ როლში მილტონ სილსი

მერი პიკფორდი მხატვრულ შედევრში
„საპნის ქაფი"
სიმებიანი ორკესტრი გ. რეიზნერის ხელმძღვანელობით
ბაღში სიმშვიდეა და სიგრილე

კონრად ვეიდტი და შიუნტცელი
მხატვრულ შედევრში
„გრაფი კალიოსტრო"
იშვიათი ანსამბლი, უაღრესად საინტერესო სიუჟეტი.
ვინც კინოში შესასვლელ ბილეთს იყიდის, ბაღში შესასვლელი ბილეთი აღარ სჭირდება.

ანონსი: მალე უკრაინის საუკეთესო სამხატვრო სურათი „მოხეტიალე ვარსკვლავები" შოლომ ალეიხემის რომანის მიხედვით.

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს") პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი, (ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8.

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყ.
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი დი მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს.-დან 11 ს.-მდე, საღამოს 5—7 ს.-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის მოედანთან ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 13—1

პროფ. გ. მ. მუხაძე
დაბრუნდა
და განაახლა ავადმყოფების მიღება, პლეხანოვის პრ. № 58. 13—1

დავკარგე დამზღვევ სალაროს წიგნაკი, ლუკა ნინუას სახელზე, ჩ. გ. 3113

დავკარგე სამხედრო ბეგარის მოწმობა, მიღებული 1-ლი სამილიციო უბნიდან ევგენი შურღაიას სახელზე ჩ. გ. 3117

დავკარგე კავშირის წიგნაკი № 7599 ქეთევან ფხაკაძის სახელზე, ჩ. გ. 3115

დავკარგე ხელოსანთა საზოგ. საწევრო წიგნაკი № 437 ვანო ხიზანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3116

დავკარგე სამხ. საღრიცხვო ბარათი მიხეილ ტერ-ხაჩატუროვის სახელზე, ჩ. გ. 3118

დავკარგე აღმასრულებელი ფურცელი ზუგდიდის უბ. სახალხო სასამართლოს მიერ გაცემული პილა ქარდავას ვალის დასაკმაყოფილებლად ივანე ჯოლ[illegible]ნძეს სახელზე, ჩ. გ. ნ. 1356

დავკარგე ხეების გაცემის მოწმობა ნიკო კვარაცხელიას სახელზე, გაცემული ზუგდიდის სატყეო განყოფილების მიერ, ჩ. გ. ნ. 1356

ალმასკომის სტამბა, კამოს ქ. 64.